

9(47,922)

ბ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი.

09/K 8988  
2

ა. ს. 2013-2634

## ჯ გ ა რ ი ს ა ნ თ ა დ რ ი დ ა ნ

ოთხი საისტორიო ნარკვევი.

პარიზი—Paris

1820 წ.



133<sup>00</sup>-27 n<sup>o</sup> 1 - 351  
30<sup>00</sup> 2 m. 1. 1930.  
S. I. 1930.



გამომცემლობა „საქართველო-“ს სტამბა.

## ჭინასიტყვაობა.

ჭინამდებარე ცდანი ეხებიან ჩვენგან დაშორებულ ხანას; მაგრამ ისეთს რომა საქართველოს ცხოვრება წარმოადგენდა სურათს, მერმინდელ დაჩაგრულ თაობათათვის აზრითაც მიუწოდეს.

ამ ეპოქამ ქართველების სსოფნასა და გადმოცემებში განსაკუთრებული ადგილი უაიჭირა, და ჩვენს ცროს მათ შორის გაღვიძებულმა ცნობის-მოყვარეობამ ეს წარსულიც ერთ-ერთ თავის საგნად დაისახა.

ამისათვის შესაძლებელია, რომ ამ წიგნში მოთავსებული და განხილული ცნობებიც ზედმეტად არ ჩაითვლებიან.

ზოგიერთი შენიშვნები განვეძი შემოკლებულია, და თვით ნარკვევებში საკითხები ხშირათ გაკვრით არის აუდრული: მათი უფრო წესიერი და დაწვრილებითი დამუშავება წიგნს ხომ უზომოდ გაადიდებდა, მკითხველსაც უმიზეშოდ შეაწუხებდა.

ამ თხზულების გამოსაცემად საჭირო თანხა ბ. ვასილ დ უმბაძა ძე მ სამაგალითო და უანგარო ხალისით შემოსწირა; ავტორი მას აქაც ლრმა მადლობას უძღვნის.

---

## ଶ୍ରୀନାନ୍ଦିନୀ

---

ବାହିଲୋ କିମ୍ବାପାତ୍ର

- I. ଯରତି ଜ୍ଞାନିରେ ଗାନ୍ଧୀଚା.
  - II. ଗାନ୍ଧୀଚା ଯରତିରେ ଅନ୍ତିମିତା.
- 

ବାହିଲୋ ମେନର୍ଜ

- III. ପରାମିକନିରେ ସାଜ୍ଞୀ.
  - IV. ଉତ୍ସିଗୁ ଫାସାଙ୍ଗାଳିତା.
-

## ჯგაროსანთა დროიდან

ნაწილი პირველი.

**1125-1925**

აღმაშენებელის (+ 1125) ქება დიდის მჭერმეტყველობით უკუკე ძეველად მისის ცხოვრების აღმწერმა აღამადლა; ამას აქეთ, სარიტორო ხელოვნებით გაზვიადებულმა და სარწმუნოებრივი შარავანდედით მოფენილმა, მემკვიდრეობით ჩვენამდე მოად წია მისმა სახემ.

ახალს დროს მეტი გავიგეთ აღმაშენებლის საქართველოზე სურათს ჯერ კიდევ სისრულე აკლია: შესაფერ, ლირს წარმოდგენას-თან კი ახლო მივიდნენ მკვლევარნი.

წინამდებარე ნაწერს მიზნად აქვს მხოლოდ ცოტაოდენი მასალის მიწოდება და დამუშავება, რათა დავით II-ის დროინდელი საერთაშორისო გარემოებანი უფრო გავითვალისწინოთ და საქართველოს ამბები წინა-აზიის საერთო მდგომარეობას უფრო დავუკავშიროთ. შენახულ წყაროთა სიღარიბე (თუ ვიფიქრებთ რა მრავალი და დიდი ამბები ხდებოდა) ხომ ისეთია, რომ ყოველი სტრიქონი, ყოველი მოწმობა, მით უფრო შორსა მდგომ მხილველთა, უნდა ფასობდეს; ამითვე აშკარავდება ისტორიულ საქმეთა გავლენის სფეროც.

ქვემოდ მოყვანილი ადგილები ჯვაროსან ფრანგთა ნაწერები-დან ეკუთვნიან თვით დაუით აღმაშენებლის ხანას.

ბერუსალიმელი კლერიკის (ხუცესის) ან სო ეპისტოლებში დასულია საყურადღებო ცნობები საქართველოში იესო ქრისტეს ჯვარის ნაწილთა და ამ საგარენე მწიგნობრულ გადმოცემათა ისტორიის გამოსარკვევად; აგრეთვე მოწმიაბა ქართველთა და ლათინთა ურთიერთობისა სირია-პალესტინაში ნე-XI-ე საუკუნის დამდეგს; მკაფიო ფორმულა იმისი თუ როგორი აზრი პეტრი ჯვაროსანთა საქართველოს მნიშვნელობაზე; და ზოგი რამ, დავით II-ის პირად ისტორიისათვის გამოსადეგი.

ვოტიე-კანტლერის ქრონიკიდან *Bella Antiochena* ამო-ლებულ ნაწყვეტში-კი აღნუსხულია, სხვა მრავალ წყაროებიდანაც კარგათ ცნობილი 1121 წლის დავით II-ის ძლევამოსილი ლაშქრობა. მაგრამ მოწმობს თანამედროვე ანტიოქიაში მყოფი ფრანგი, და ამას თავისი ფასი აქვს.

ცოტა რამ შენიშვნები შეადგენს ერთგვარ უფრო სპე-ციალურ დამატებას.

როი ნარკვევი კი წინ რომ უძლვის ტექსტებს ზოგადი შინა-არსისაა და დაწერილია იმ სმედით, რომ კლიო, ისტორიის მუ-ზა, გულკეთილი მანდილოსანი ბრძანდება.

1925.

ଯତନ ଅମ୍ବାଳିର ଗାନ୍ଧୀ

## ერთი ჯვარის გარშეშო

1108.9

### 1

ჯვაროსნებმა აერუსალიმი აიღეს; დიდი სისხლის დკრით 1099 წ. იქ და სხვაგან სამთავროები დაუარსებიათ. ფეოდალური წესით. ქრისტეს საფლავზე სინანულით და ცრემლებით ლოცულობდნენ; მახვილით კი სცდილობდნენ მეტი დაეპყრათ, მეტი დაერბიათ. მეტი სიმდიდრე და განცხრომა ერგოთ.

ხოლო მოჩტმუნე ეკროპისათვის ეს ღიდი ხანა იყო—ხანა ოცნებათა განხორციელებისა, გაგონილის ხილვისა, ზეპირად ნასწავლის შეხებისა. აღმოსავლეთიდან ნადავლ ხალიჩა-ოქრო-ვერცხლის გარდა ისევ მოდიოდა სინათლე, სიბრძნე, ცოდნა. იქ, ზღვის გალმა—outre mer—ისმოდნენ საქმენი საგმირონი; და იქ იყო ქრისტეს საფლავი, აწ გახსნილი, წყარო ნეტარებისა.

როგორ არ გაესარდებოდა ასეთს დროს პარიზის მღვდელმთავარს გალონს და მის ეკლესიას, ფრანგთა სამეფოში წარჩინებულს, როცა ცნობა მიიღეს—წელიწადი იყო ქ. ა. 1108—რომ ყოფილმა მათმა მოწაფემ, აწ იერუსალიმს მყოფმა, წმინდა საფლავის კატორმა—მეფსალმუნებ—ან სომ ანუ ანსელუსმა მათ უცხო და ძვირფასი რამ უძლვნა: ჯვარი, ჰელი-ცხოვრებისგან ამოღებული?

ამის მოსატანად პარიზითგან იერუსალიმს სანდო კაცი გაემგზავრა — ანსელმე ბერი; და მის დაბრუნებას მოელოდნენ.

1109 წ. ზაფხული იყო როცა პალესტინითგან წამოსული, გზაში გარდა ცვლილ ანსელმ ბერის შვილმა, ფულკმა<sup>1)</sup> მისი თანამგზა-

1) Foulques.

ურებით, საბერძნეთის, პუნგრეთის და გერმანიის გზით საფრანგეთს მიაღწია. შამპანი გაიარეს და პარიზს მიუახლოვდნენ. ფონტენედან<sup>\*)</sup> — ეპისკოპოზ გალონს მახარობლის. პირით შეატყობინეს; და ის მთელი კრებულით მაშინვე წამობრძანდა ჯვარის შესახვედრად. ფონტენედან იგი დიდის ამბით წამოილეს და ჯერ სენ-კლუს ეკლესიაში დასვენეს პარასკევს, 30 ივნისს 1109 წ. მერე კი—კვირა დღეს, 1 აგვისტოს, მ ო-ს და ს ა ნ ლ ი ს -ის<sup>\*\*</sup>) ეპისკოპოზთა მონაწილეობით, ურიცხვი ხალხის თანადასწრებით, ზემით მიიტანეს პარიზის ღვთის მშობლის ტაძარში. როგორი იქნებოდა პარიზელთა აღვრთოვანება, სარწმუნობრივი სიხარული—აღვილი წარმოსადგენია. არც უბრალო სანახავის მოყვარენი, არცა ქუჩის ბრბო დაკლავებოდნენ ამ პროცესიას.

ჯვაროსანთ ლაშქრობათა ღროის სულიერი განწყობილება უნდა გვახსოვდეს, სარწმუნოების სიმხურეალე და სიმარტივე; აგრეთვე ასრეთ წოდებული ცრუ-მორწმუნობანი, ხალხში გავრცელებულნა; მაშინ აღვილათ ავხსნით ამნაირ ნაშთთა თაყვანისცემას.

კერძოდ ჯვარი პატიოსანის, ქელის-ცხოველის უშუალო ტრადიციები და ამის შესახები თქმულებანი და სწავლანი უფრო აღმოსავლეთში იყვნენ გავრცელებული: აქაურ ეკლესიებს და ხალხებს აზგარ საკითხებში დასავლეთთან შედარებით მეტი გამოცდილება ჰქონდათ. საფრანგეთში ეს თითქმის პირველი შემთხვევა იყო, რომ იყსო ქრისტეს ჯვარის დიდი ნაკვეთი პირდა-პირ იერუსალიმიდან შიელოთ: და ეს ხის ნატეხი, ზღვის იქითეან მოტანილი ამ ლრმად და ბრმად მორწმუნე ფრანგებს ნამდვილ, ნივთიერ ნიშნად ეჩვენებოდა იმ სიმართლისა, რომლისთვის მათი მოძმე გმირი-რაინდები პალე ტრინაში იბრძოდნენ.

ჯვარ-ცმული ქრისტე ხომ მთელი ქრისტიანობის საძირკველია. აი—ასე აუხსნეს ხალხს — იმ ნივთიერი ჯვარის, რომელზედ სული დალია მაცხოვარმა, უკველელი ნაწილი: მისი ხილვა მორწმუნეს როგორ არ გაახარებს? და შეიძლება, რომ მისი თაყვანისცემის საგადად არ გახდეს ეს ხის ნაჭერი?

<sup>\*)</sup> Fontenet en Parisis.

<sup>\*\*) Meaux, Senlis.</sup>

## ერთი ჯვარის გარშემო

ასეთი სულთა მისწრაფების ჩიხედვით, საჭიროა ამ თაყვანი-სცემის პატრონობა; რაიც არის ეკლესიის საქმე. ესაა სარწმუნოების მოწესრიგე ორგანიზაცია, უშუალო-მგრძნობ ხალხის ხელმძღვანელი და ლეთის წინაშე შუამდგომელი.

სარწმუნოებრივი აღგზნების ნიადაგზედ იზრდება ეს თუ ის წესი; სარწმუნოებიდან წარმოდინებული ქცევა თან-და-თან მტკიცე ჩვეულებად იქმნება; მიღებული ადათი კი, სხვა-და-სხვა გარეგნული გარემოებით და ანგარიშით გართულებული, ბოლოს თითქოს თავისთავად, ავტომატიურათ არსებობს; სანამდინ, შესაფერ სულიერ საფუძველს უკვე მოკლებული, გაქვავდება და დაირღვევა, ახალი პირობების და აზროვნების ზედ-გავლენით და ზედ-მოქმედებით.

ამნაირი ბედი ერგო ჩვენს ჯვარსაც, რომლის ისტორია ანუ «ცხოვრება» საკმაოდ საყურადღებოა. მოვიყვანთ მას შემოკლებით.

### 2

ჩვენი ჯვარის გამოჩენილი კარიერა მარტო მისი ზემოდ უკვე აღნიშნულ ქრონოლოგიური პირ ველ თბით არ აიხსნება; მაგრამ—იქნებ უმთავრესად—იმითაც რომ ის საჭუთრებათ მიანიჭეს ისეთს დიდებულ და ბორწყინვალე საეკლესიო დაწესებულებას როგორიც იყო პარიზის მთავარი ლეთის-მშობლის ტაძარი.

აწინდელი გოთური პარიზის Notre-Dame 1109 წ. ჯერ სსენებაში არ იყო; არც ის საყდარი რომელიც მალე, 1115-1130 წლებში, აშენებულ და რომლის ადგილზე, 1163-ან დაწყებული პარიზის განთქმული საკათედრო ეკლესია ააგვი (ნავი 4200-ის ახლო ხანებში დაუმთავრებიათ; ფასადი — 1240; თაასრულეს XIV საუკ.) მაგრამ უცველეს დროიდან იქ ეკლესია არსებობდა; ასე რომ 1109 წელს N.-D.-ის ბაზილიკას უკვე ხანგრძლივი წარსული ჰქონდა.

ამ სახელოვან ბაზილიკის თავ-გადასავალში, პარიზის და საფრანგეთის სამეფოს ზრდასთან დაკავშირებულს, ზღვის გაღმიდან წამოღებულ ჯვარსაც თავ ჲი ადგილი ეჭირა.

თავითგან მისი ნახვის, თაყვანისცემის და მისგან მადლის მიღების მსურველთა რიცხვი მეტად დიდი იყო; და პარიზში არც საკმაოდ კრისტიანული ეკლესია მოიპოვებოდა, არც ისეთი მოედანი,

რომ შესძლებოდათ მთელი ხალხისათვის წესიერად ეჩვენებინათ ეს ჯვარი და გამოეფინათ, ალემართათ სათაყვანოდ. (ალმოსავლეთიღან-ეს წესიც მოიტანეს ალბათ). არც პარიზის ახლო მიდამოებში ყოფილა მინდორი ანუ ადგილი ამისათვის გამოსადეგი—სულ ვენახე-ბით, ყანებით, ანუ ტყით და ბუქებით იყო დაჭერილი. ამისათვის ამოირჩიეს ერთი აღილი სენ-დენისის ველზე, განთქმულ სააბბატის ახლო; ეს მინდორი თავისი სისწორით და სიფართოთი კარგი იყო; ამასთანავე საეკლესიო-საეპისკოპოსოში ითვლებოდა. და დააწესეს აქ ამ ზღვის-იქიდან მოტანილი ჯვარის (croix d'outre-mer—ასე იწოდებოდა ეს ჯვარი მე-XIII საუკუნეში) ყოველ წლიური ალმართება—ინისის მეორე ოთხშაბათობით. აღრე გამოდიოდნენ პარიზიდან ეპისკოპოზი. კრებული, სამლელოება, ხალხი. სასინანულო პროცესიად მიაჩნდათ; ფსალმუნებს და ლოცვებს გალობდნენ გზაში. იმ მინდორზე—კი ტრიბუნა იყო აშენებული, რომლიდან ეპისკოპოზი, ქადაგების შემდეგ, მთელ ხალხს იმ განთქმული ჯვრით დალობავდა. ჯერ ალმართის-კენ მიმართავდა, საიდან ეს ჯვარი მოსვლიათ; მერე სამხრეთის-კენ—იქ იყო პარიზი, ამ ჯვარის შემნახველი.

რომ ამნაირი ჩვეულება უკვე მე-XII საუკუნის პირველ ნახევარში მტკიცედ შეთვისებული ყოფილა, ამისი საბუთებიც შენახულია. ცნობილია აგრეთვე, რომ შემდეგში პარიზის უნივერსიტეტიც და აგრეთვე პარიზის ძველი სასამართლო-პარლამენტიც, რომა გაიზარდნენ, პროცესიაში მონაწილეობას ღებულობდნენ ჰოლმე.

ალწერილი სახით ეს ივნისის პროცესია და ჯვარით ხალხის დალობა საუკუნოთა განმავლობაში ჩვეულებად შეინახეს; და წარმოადგენდა ძველი პარიზის ცხადოების სავალდებულო ხაზს. მე-XV საუკუნის გასულსაც ამ ჯვარის დღეობას იხდიონ ძველებურად, შეუსტელელად. მერე თან და თან, პარიზის განვითარებასთან ერთად, ეს ძველი, თითქმის სოფლური ჩვეულება დაუკიშებიათ. მაგრამ «ანსელის ჯვარი»— croix Anselli—ისევ დიდი საუნჯედ. ითვლებოდა, მას ეტროფოდნენ მორწმუნენი. და ნოტრ-დამის განძულობაში ინახებოდა.

თუ რა იყო ეს ჯვარი ქრისტიანე ფრანგთათვის, იყიდგანაც

## ერთი ჯვარის გარშემო

ჩანს, ომ ჩვენ დრომდე პარიზის ეკლესია ლოცვით ახსენიებდა  
მისი მიღების დღეს—აგვისტოს პარველ კვირადღეს.

3

1109 წ. დაწყებული, თითქმის შვიდი საუკუნის განმავ-  
ლობაში ეს განთქმული ანსოს ჯვარი (Ansellus, Anselle—მდაბიურად  
Ansællus) ინახებოდა პარიზის დვინისმთამლის ბაზილიკის სალაროში.  
შესდგებოდა თავითგან ორი ჯვარისაგან—ერთი, თეთრი ხის (ფიჭ-  
ვისა მსგავსის), მეორე, მოშავო, მუხის მსგავსი ხისაში ჩართული  
ყოფილა; და ეს ხის ორნაირობა უკვე თვით ანსოს წერილში ახსნი-  
ლი იყო.

როგორც ძველ აღწერებიდან სჩანს, ჯვარი, ძელი-ჭეშმარი-  
ტის ნაწრებიდგან გაკეთებული, მოოქრული ვერცხლით ყოფილა  
მოქედილი, და მთლიან აღმოსავლეთის მარგალიტ-ალმას-ზურ-  
ღმუხთ-იაგუნდ-საფირონებით შემკული. საფიქრებელია, რომ ასე  
მოქედილი და შემკული ე. ი. ამგვარ ბუდეში ანუ ლუსკუმაში  
ჩადებული იერუსალიმითგან მოიტანეს,

4

გაიარა 682 წელიწადმა და ეს ჯვარი, უკვე მცვდარ დროთა ნა-  
ტეხი სულ სხვა-გვარ გნებათა ქარიშხალის მსხვერპლად ჩდება. სად  
ჯვარისანთა საფრანგეთი და სად მე-XVIII საუკუნის მოძრაობანი და  
აზრთა მიმართულება! დიდი რევოლუციურის დროს—სახელდობრ  
1793 წ. ჩვენს ჯვარს იგივე დაემართა, რაც ბევრს სხვა საეკლესიო  
რაჩალს, ნივთებს, ქანდაკებათა და შენობებს, და აგრეთვე ცოცხ:ლ  
ადამიანებს; და რაიც რევოლუციათა მიღებულ წესად უნდა ჩაით-  
ვალოს. ეს მოხდა ...., 1793 წელს, ოდეს გარყვნილ კაცთა რიცხოვან.  
რაზებმა ლვის წმიდა ეკლესიები დაარბიეს "... ასე ჩივის ერთი  
ნაპოლეონის დროინდელი საეკლესიო საზური, სწორეთ ჩვენი ჯვა-  
რის თაობაზე. ნამდვილათ რა დაემართა ამ ძველს ნივთს, ოდეშე და  
ხანგრძლივ მთელი ერის სათაყვანოს, ძნელი გამოსარკვევია. ნოტრ-  
დამ-ის საუნჯე დაარბიეს; გარდა ამისა, ეკლესიებიდან სცდილობდენ  
გამოელოთ რასაც ხელოვნების ნაწარმოების ფასი ჰქონდა, მაგრამ  
ისიც, რაც ხალხის ცრუმორწმუნებას საზრდოს აძლევდა. თვლე-

171



## ჯვაროსანთა დროიდან

ბით შემკული გარეგნული ჯვარი ანუ ლუსკუმა, უეჭველია, გაცარცვეს; მისი კვალი არსადა სჩანს. რაც თვით ხის ჯვარს შეეხება, ოფიციალური. საკლესიო მთავრობის მიერ წარმოებული გამოძიება შემდეგს ამტკიცებს. განსაცდელის თავიდან მოსაშორებლად და რომ ძვირფასი ჯვარი როგორმე შეენახათ, ორად გაანაწილეს; ერთი ნახევარი საუნდეს გამგეს წარმოებულის მიერ დაწესებული კომისიის ერთს წევრს (მორწმუნეს). ამ მეორე ხახევრიდან იმ კაცს ოთხი პატარა ჯვარი გამოეჭრა, რომელ რიცხვიდან სამი მანვე ეკლესიას დაუბრუნა, რომა დევნის დრო შესრულდა; და ზედმიწევნითი შემოწმების და ს.ინჯვის შემდეგ, პარიზის არქიეპ-კარდინალმა მათი სინამდვილე იცნო, და ნება დართო ანსოს ჯვარის ნაშთთა ხელახლად გამოფენას, მორწმუნეთა მიერ სათაყვანოთ (1804 წ.).

მიუხედავად ამ, ასე ვსთქვათ, მკვდრეობით აღდგენისა „ზღვის-იქით“-ური ჯვარისათვის დაცემის ხანა დაიწყო.”)

### 5

ანსოს ჯვარი ყველაზე უძველესი და ოდესმე იშვიათი რამ იყო საფრანგეთში. შემდეგ-კი ჯვაროსანთა თაოსნობით ძელი-ჭეშმარიტის ნაწილები ძალიან გამრავლდნენ ევროპაში. და თვით პარიზის, მეფეთა განთქმულ სამლოცველოში (Sainte Chapelle) მე-XIII

\*) ამ ჯვარის მდგომარეობა ბურბონთა საფრანგეთის ტახტზე აღდგენის შემდეგ (1814) აღნუსხულია ერთს 1828 წლის ალწერილობაში. მალე-კი, 1830 წელს ახალი რევოლუციის დროს, პარიზის ლევის-მშობლის განძეულობა ისევ გაცარცულ იქმნა. და „ანსოს ჯვარი“-ც ცოტა დაზიანდა.

1867 წ. სრული ალწერიდან ირკვევა, რომ იმ ძელი ჯვარის ნაჭრები ინახებოდნენ ამნარიად: ერთი პატარა შავი ხის ჯვარი ჩართული ყოფილა უბრალო დიდ ჯვარში. შავი ხე ნამდვილი ძელი-ჭეშმარიტის ნაწილად მაშინ უკვე არ ითვლებოდა. ამისათვის ამ შავს ორი ნაწილი დაუმატეს იმ წმ. ლუის ჯვარიდან, ამ მეფემ 1241 წელს ძლვნად რო მიიღო (იხ. აქვე ტექსტში). ეს ჯვარი-კი ეკლესიის თვალში უეჭველი იყო, და ინახება იქვე ლევის-მშობლის ტაძარში. დანარჩენი, შავი და თეთრი ხის ნაწილები, ანსოს ჯვარის ნაშთი, მოთავსებულია, სამს ახალ შემკულ ჯვარში. მათში ერთი—ნაპოლეონე I-ის ნაჩუქარია, მეორე—შარლ X-ისა:

## ერთი ჯვარის გარშემო

საუკუნედან ის ჯვარის ინახებოდა, იესო ქრისტეს ჯვარის დიდი ნაჭერი, რომელიც მეორე ბოდუენმა, კონსტანტინეპოლის ფრანგ ხელმწიფემ, ლუდოვიკ ანუ ლუი IX-ს, საფრანგეთის მეფეს, წმიდად წოდებულს, უძლენა როცა მისგან დახმარებას ითხოვდა.)<sup>1)</sup> ეს არის წმ. ლუის ესრედ წოდებული „დიდი რელიგია“: ნაწილი შეიცავს 220.000 კუბ. მილიმეტრს. და ანსოს ჯვარიდან, რაც დარჩა ნატეხები (მხოლოდ თეთრი რო ვიანგარიშოთ), არ აღემატება აზლა 154 კუბ. მილიმეტრს.

ასე რომ მე-XIX საუკუნეში, პატიოსანი ჯვარის შენახული ნაწილების დარგში, სენ-ლუის ნაჭერი სჭარბობს და პირველობს საერთოთ კი უზრიცხვია ამნაირ ძეგლთა სიმრავლე. და უკავე რენე-სანსის ხანაში საქმის კრიტიკულ შესწავლასაც შეუდგნენ.

ერაზმე როტერდამელი შენახულ ქრისტეს ძელის ნაწილთა ამორენა ს. მრავლებე თავისებურად ოხუნჯობდა. და ამ მოვლენის ასახსელად საკმაოდ ადრე საჭიროებამ ისეთი აზრიც წარმოშეა, რომ მიუხედავად წმიდა ჯერის ნაწილთა ამოკვეთისა, ეს ჯვარი ისევ მთელი რჩებოდათ.

მაკოლეის თქმით კი ამ ქრისტეს ჯვარის შეერთებულ ნაწილებითან მთელი სამხედრო ხომალდიც აშენდებოდა მორწმუნე მკვლევარებმა, ტრადიციის დამცველებმა, ვერ მოითმინეს და იმის დამტკიცებას ეცარნენ, რომ ყველა ის ხის ნაჭრები რომელნიც ძელი ჭეშმარიტის ნაწილებად ითვლებიან, რომ გავზომოთ და მათი საერთო კუბი შინაარსი, რომ იმას შევადაროთ, რა უნდა ყოფილიყო იესო ქრისტეს ჯვარი, გამოჩნდება, რომ ცნობილ ნაწილების ჯამი, სამჯერაც გადიდებული. ერთს მეათედსაც არ შეადგენს იმ ხის

<sup>1)</sup> ეს ჯვარი, 1204 წ. ნადავლი, დრანგებმა რო კონსტანტინეს ქალაქი გაცარცვეს და დაიპყრეს, ძვირფას მუდები (ჯვარში) ინაზო ბოდა. შემდეგში ფრანგთა მეფემ ან ჩი III-ემ მისი შესანიშნავი თვლები ამოილ და დააგირავა, ასე ამბობენ. ვენეციელ მევატშე-ებთან და ანრი IV-მა ვერ გახსნა; უნდოდა-კი. თვით შემკული ბუდე რევოლიუციაში დაიკარგა. „ძელი ცხორების!“ ნაჭერი შეინახეს და მერე ლვთის-მშობლის ტაძარს მიანდვეს.

ამ წმ. ლუის დიდი ნაშთის უძველესი ისტორია მეტად ბუნ-დაგანია.

მასისიას, რომელიც უნდა ჰქონოდა იესო ქრისტეს ჯვარს მეცნიერული გამოკვლევით და გამოანგარიშებით.

მაგრამ, ბევრიც რომ ზომონ და სწონონ ამ ხის ნაჭრები, შინჯონ რა უიშისაა და საიდან და როდისაა მოტანილი, ამნაირი გამოკვლევებით ქრისტიანობა ვერც განმტკიცდება, ვერც დაირღვევა. რელიგია, სარწმუნოება ისეთი რამეა, ისე ცეკვებადია და მრავალგვარი მისი სახეები, რომ გალრმავებული ქრისტიანობა ალბათ არც საჭიროებს ნიგოზიერ „ხის“ პატიოსან. ჯვარს ანუ ძელს, იესოს სიკვდილის მომასწავებელს, რომლის მნიშვნელობა ძველად ხალხისათვის უაღრესი იყო. მერე საქმე ხომ ალდემაა და არა სიკვდილი, და ამ მხრივ აბა რას მოწმობს ჯვარის ხე?

ჯვარის კაცი ბრძოლის დამხსნელად აღიარება. ამ სახით ადამიანთა მიერ მათი ზნეობრივი დანიშნულების შეგნება და ამ გზით მეტაფიზიკური თვითგამორკვევა სულ სხვა საგანია. მაგრამ ამგვარ აზრთა დასასავად, გამოსარკვევად ანუ საბრძოლველად, ჩვენ არ გვჭირია ქრისტეს ჯვარი როგორც ნიგოზიერი რამ, ოდესმე დუბლის ხელით გაკეთებული. და როცა ეს ნაწილები ხალხის სათაყვანო საგანს შეადგენდენ, ძალა ამ საგანში კი არა, არამედ რწმენაში და შეგნებაში იყო.

ასეთი იყო ამ იერუსალიმის ჯვარის, ასე ვსთქვათ, „ცხოვრება“ პარიზს, საუკუნოთა მანიოლზე. ეხლა დავუბრუნდეთ იმას, როთაც დავიწყეთ, ე. ი. ანსელის მიწერ-მოწერას პარიზის ეპისკოპოზ გალონთან. სწორეთ იქ ირგვევა იმ ჯვარის ვინაობა ანუ სადაურობა.

ამ მიწერ-მოწერილან. ჩვენამდინ მოალწია ორშა წერილ მა ზემოხსენებული ანსელისა. ეს ორი ეტრატის საბუთი საფრანგეთის სახელმწიფო არქივის მუზეუმში ინახება, და ესენი მოულოდნელად უკავშირებენ დავით ალმაშენებლის საქართველოს ძველ კაპეტიანთა პარიზთან. ოდესმე ეს ნაწერები სიამაყეს პბადავდა და ძვირფასი რამ ყოფილა პარიზის ეკლესიისათვის და მთელ საფრანგეთისათვის—ამ წერილებით ხომ განთქმული ჯვარის სინამდვილე მტკიცდებო-

## ერთი ჯვარის გარშემო

და ალბათ ამისათვის იყო რომ ასე გულმოდგინეთ შეინახა ეს ეტ-  
რატები ეკლესიამ; და ეხლა, მათი სიძველის გულისთვის, სახელმწი-  
ფო მათ ასე აფასებს და იცავს.

პირველი წერილი არის ეპისტოლოზ გალონის, სტეფანე  
მთავარ დიაკვნის და ერთობლივ პარიზის ღვთისმშობლის კრებუ-  
ლის სახელზე მიმართული იერუსალიმითგან. ამ წერილით ი. ქ.  
ჭმიდა საფლავის კანტორი ანსელუსი ატყობინებს პარიზის სამ-  
ღვდელოების აღნიშნულ გვამებს, რომ მის მიერ გაიგზავნა პარიზი  
ჯვარი პატიოსნის (ძელის) ნაწილი, ქართველთა მეფის დავი-  
თის ქვერიცისაგან შექენილი.

ნამეტანი სარწმუნოება მთებს თუ ამოძრავებს, გონიერას ტურად აბრმავებს. მაშინაც ასე იყო. სასწაულნი, ჩვენებანი და ამისთანები საყოველდღეო ცხოვრებაში ტშირი იყო. მაინც პარიზიდან როგორც სჩანს, სანამდინ დაიჯერებდენ, შეუკითხავსთ იერუსალიმისათვას, აგვისტებით ამ ჯვარის ნაწილის საქმე; და აი საპასუხო წერილში (რომელიც იქვე ინახება) ჩვენი ლოტბარი - ხუცესი, ანუ მგალობელთ - უხუცესი უხსნის ამ ცოტა ჩამორჩენილ დასავლეთოებს ჯვარი - პატიოსნის ისტორიას, თუ როგორ მოხდა, რომ ნაჭრებად დაკვეთეს და მოპყავს სრული ნუსხა ამ ჯვარის ნაწილთათანახმად სირია-პალესტინაში გაერტყობულ შექედულობისა და ტრადიციის. ამ მხრივ ეს წერილები ფრიად შინაარსიანია.

საქართველო ხომ ადრე მონაწილე გახდა აღმოსავლეთის ქრისტიანობის ცხოვრებისა, მისი აცნების, იმედის და ცოდნის. ერთის მხრივ სირია-პალესტინასთან დაკავშირდულს, მეორე მხრივ კი საბერი ქვეთთან, მას ადვილათ შეეძლო ის თქმულებანი და სწავლანი შეეფეხისებინა იესო-ქრისტეს ჯვარის გარშემო რომ ტრიალებინენ; მერმე კი ამ გადმოცემათა მთავარი პანგები, დროთა და გარემოებათა შიხედვით. ქართველებმა გამოიყენეს მათი საკუთარი ეროვნული და საეკლესიო შეგნების დასამტკიცებლად.

— უნიკალური იცის, მომ რ. ქ. ჯვარის აღმოჩენას ქრისტიანული  
ტრადიცია მიაწერს ელენეს, კონსტანტიან ეკისრის დედას. თვით ეს

აღმოჩენა ამ სახით უარყოფილია მეცნიერ-მკვლევართა მიერ. ევსები, ეკლესიის განთქმული ისტორიკოსი პირადად დაესწრო იმ ბაზილიკის კურთხევას, ი. ქ. საფლავზე რომ ააშენეს, 335 წ. და ამ ჯვარის აღმოჩენას-კი არ იხსენიებს. მაგრამ თვით ეს თქმულება ძველია: ჯვარის თაყვანის ცემაც უედარებით ძველია (ე. ი. მე 1V საუკუნისაა); მე-IV საუკუნეში უკვე მიღებულია კონსტანტინეპოლს და ყველგან აღმოსავლეთში.

როდის მოინდომეს ამ უმთავრეს თქმულებაზე ქართლის გაქრისტიანების ამბავი გადაებათ? ამ ტენდენციის მიზეზები და მისი განვითარების საფეხურები ჯერ გამოსარკვევია. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ქართულმა ეკლესიამ, ქართლის მოქავეიდან რამოდენიმე საუკუნის შემდეგ წმ. ნინოს ცხოვრებას საბოლოო, ოციციალური სახე მისა, ეს მოქცევა, სხვა და სხვა თქმულებათა საშუალებით, ჯვარის აღმოჩენის ლეგენდას დაუკავშირებს; და თანახმად აქედან წარმოდინებული ქართული ტრადიციისა, თვით კონსტანტინე კეიისარი მიფე მირიანს ახლად აღმოჩენილი ძელის ცხოვრების ნაწილს უგზავნის.

მაგრამ ჩენ ვერ გავჩერდებით აქ იმის გამოკვლევაზე თუ რა მიზეზით ძველ ქართულ ნაწერებში მოქცევის შესახებ ჯვარს; ჯვარის აღმართებას, ძელს ცხოვრებისას ისეთი დიდი ადგილი უკავია; არც იმაზე თუ როდის და როგორ შემუშავდნენ საქართველოში ცნობილი გადმოცემანი ქრისტეს ჯვარშის ნივთიერ ნაშთთა შესახებ (კვართისა, „სამშუალთა“ ე. ი. ლურსმების, და თვით ჭეშმარიტი ძელისა).

ამ მხრივ იერუსალიმის და სხვა წმიდა აღვილთა ტრადიციების გავლენა ლრმა უნდა ყოფილიყო. ქართველებმა კერძოდ იერუსალიმთან ადრე დაიჭირეს კავშირი; დაახლოვებით ათასი წლის განმავლობაშა იქ მუშაობდნენ, მრავალი ძეგლის დარჩა მათი იქ მოღვაწეობისა.

ქრისტეს ჯვარი, მისი საფლავი, გოლგოთა მათთვის თან და თან გახდა არა მარტო სარწმუნოების საგნად, არამედ ცხოვრების ასპარეზადაც. განთქმული ჯვარის მონასტერი იმ ხის ძირზე აშენებული ეგონათ, რომლიდას ქრისტეს ჯვარი ამოჭრილი იყო; და

## ერთი ჯვარის გარშემო

თვით ის ადგილი სადაც ეს ჯვარი იდგა, როდესაც იქსო იგნო, მათ ხელში იყო. მთელი მათი იქ ცხოვრება ამგვარად ამ ჯვარის თქმულებაზე ყოფილა აშენებული. და თუმცა შენახული ცნობები, ნათექვამის დამახასიათებელი, უფრო გვიან ხანას ეკუთვნის, თვით იმ გრძელებათა და აზრთა ფესვები და პირეველი ნასახები უკუკველათ უფრო ძველია.

მის შემდეგ რაც ასე თუ ისე ქრისტეს ჯვარი გათაყვანების საგნად გახდა იერუსალიმს, უფრო თვალსაჩინო ამბავს მის ისტორიაში შეადგენს მისი „წარტყუენვა“ 614 წ., როცა სპარსელებმა ხოსრო ანუ „ქასრე“ მეფის დროს ეს ჯვარი იერუსალიმიდან წაიღის, როგორც სამხედრო ოროფეი. თვით ამ ამბავმა, და შემდეგ, 628 წ. ერეკლე კეისრის მიერ ქრისტეს ჯვარის ტყვეობიდან დაბრუნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს თანამედროვე ქრისტიანობაზე. „ძელი ცხოვრებისა“ ჰეიმით თავის ადგილზე გამართეს: თითონ კეისარმა ჯვარი ზურგზე იტვირთა. ჯვარისადმი ნივთიერი, პირ და პირი ინტერესი მაშინ ფრიად გაპოცხლდა. ჩვენს დროსაც მეცნიერებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ეპიზოდს.

ათი წლის შემდეგ კი ე. ი. 638 წ. იერუსალიმს, სარკინოზთა ანუ არაბთა მიერ დაპყრობილს, და ქრისტეს ჯვარს სხვა უბედურება დაემართა, რომელიც აღწერილია სწორედ ანსო-მღვდელის წერილში აქ რომ იბეჭდება.

### 9

სვეტი ცხოველის ამბავი შმინდა მწიგნობრული ლეგენდა? იქნება მის კულტში ძველი ხეთა თაყვანისცემის გამოძახილი გვაქვს; ანუ სწორედ სვეტის სხვაგანაც ცნობილი წარმართული გათაყვანების კვალი აქ ძელის-ცხოვრების აზრს უერთდება? ყოველ შემთხვევაში ცხადია ქრისტეს ჯვარის გაღმერთების ერთნაირი მიბაძვა: სვეტი-ცხოველიდანაც ჯვრებს სჭრიდენ რაგორც ძელი ცხოვრებისიდან, და თითქმის განგებ უნდოდათ სახე ჯვარისა მიეპათ მისთვის; თორებ მისი პირველი სახ-სვეტისა, ხისა-ქრისტეს ხომ არაფრით მოაგონებდა. შესაძლებელია, რომ ამგვარად ძველი წარმართული სვეტის გაქრისტიანებაც შოხდა.

რომა კი მისგან ჯვრები გამოსჭრეს და ეკლესიებს, დაურიგეს (ეს სულ „ქართლის ცხოვრებაში“-ა), მაშინ ვინ იცის რაიმე ეროვნული ადგილობრივი რწმუნება და კულტის ტრადიცია საბოლოოდ ქრისტიან სიმბოლიკას შეურიგეს. ეს უკვე გაწვრთნილი და გამოცდილი სამდვდელოების გამარჯვება იქნებოდა. მაგრამ კანა ამნაირად სვეტი ცხოველის განაწილება და მისი თაყვანისცემის გავრცელება საქართველოში იმას არ იმეორებს, რასაც „ძელი ცხოვრებისა“ საერთოდ საქრისტიანოში ასრულებდა? ამ მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორეთ ანსო-ხუცესის წერილში აღწერილია ქრისტეს ჯვარის განაწილება და ეკლესიათა შორის დარიგება.

ცხადია, ვგონებ, რომ ამ შემთხვევაში ქართული სუვეტი-ცხოველის გადმოცემა იესო ქრისტეს ჯვარის თქმულებათა გავლენას ვანიციდის.

10

აქ დაბეჭდილი წერილები გვისურათებენ აგრეთვე ქართულ მონასტერთა იერუსალიმში ფრანგთა ე. ი. ლათინთა სასულიერო მთავრობასთან ურთიერთობას. ამ, მოწმობის ღირსება უკეთესია. მე-იუ შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს იესო ქრისტეს ჯვარის ნაწილთა საქართველოში თავებადასავალის გამოსარკვევად. რამდენად მართალია იქ დაცული ფაქტები, სხვა საკითხია. ის კი ცხადია, რომ საქართველო, როგორც შეეფერებოდა მის მაშინდელ მდგომარეობას, „ძელი ცხოვრების“ მხრივ მდიდარი ყოფილა. მეფეს საკუთარი ჯვარი ჰქონებია ამ ჩისა, კათალიკ აზსაც.

ფრანგი ხუცესის თქმით, მეფისეული, საქართველოდგან წამოლებული ჯვარი მან, ანსომ, შეიძინა და პარიზის ეკლესიას უძღვნა. მკითხველი იფიქრებს უნდღიერდ: ნუ თუ დასაჯერებელია, რომ ქართველთა მეფე შემკვიდრეობით მიღებულ საუნჯვეს, ყოველ ქრისტიანის თვალში უძვირ ვასესს, არ შეინახვდა საშვილიშვილოდ. თავის ოჯახში, და შვილს არ უანდერძებდა? კანსაკუთრებით ისეთი. მეფე როგორიც იყო დავით II, რომლის ბეჭედზედ (გადმოცემით) „ჯვარითა მტერთა მძლეველი—მე დავით ვარ უძლეველი“ იკითხებოდა? მერე ბაგრატიონთა, ასე ვსოდეთ, საგვარეულო რელიგიად არ ჩაითვლებოდა ეს ჯვარი (თუ მოვიგონებთ მათ „დავითიან-იესოიანობას“)?

## ეჭვი ჯვარის გარშემო

ამნაირი მოსაზრება და ამაზე დამყარებული ეჭვი ცალმხრივი იქნება: და, ძალიან შესაძლებელია, რომ ანსოს მიერ შეძენილი ჯვარი ქართველთა მეფისული ჯვარი (იერუსალიმით საქართველოში მოტანილი) კი არ იყო, არამედ მხოლე დ ერთი მისი ნაწილი, ცალკე ჯვარად გაკეთებული და მოჭედილი. „სხოვრების ძელის“ ნაწილები საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იქნებოდა, და მასალად ჰოგიერთებისა იქნება სწორეთ ის უფრო დიდი და განთქმული ორი ჯვარი გამოიყენეს, ფრანგი ხუცესი მის წერილში რომ იხსენიებს.

აქ დაუმატებთ მხოლოდ, რომ ჩოგორუ საბერძნეთსა ისე საქართველოშიც იქსო ქრისტეს ჯვარის ნაწილები, შესაფერი სამყაულით, სხვა და სხვა სახით ხმარებაში ყოფილან, და ამ რიგად ხელოვნების ისტორიაში გვხვდებიან. ასეთია, მაგალითად, ერთი პატარა ჯვარი (წმ. კონსტანტინეს და წმ. ელენეს სახეებით) ხახულის ხატს რომ ამობს; მაგრამ ყველაზე სახელოვანი საგანი ამ დარგისა, რასა-ავირველია, თამარ მეფის საკუთარი გულზე საკიდი ჯვარია, ხოვის მონასტრის (სამერკლოში) ბერებმა ჩვენ ღრმომდინ რომ ერთგულად შეინახეს, და რომლის ასომთავრული წარწერა შემდეგია: „ელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინაწარძლომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“.

### 11

ქვემოთ დაბეჭდილ წერილებიდან ამოსალებია სხვა ცნობაც, საყურადღებო რადგანაც მით იჩვევება ცოტაოდნად მაინც დავით აღმაშენებელის ცხოვრების ერთი საკითხი. მაგრ. მ ამასთანავე ცხადდება, რომ ფრანგი ხუცესი სიმართლეს არ სწერდა მის პარიზელ *alma mater*-ს, ანუ სიმართლე არ იცოდა, როდესაც ჯვარი შეიძინა:

იქ მოხსენებული ქართველთა მე ფის დავითის ქვრივი ნამდოვილი ქვრივი არ იქნებოდა, რადგან ეს წერილი გაიგზავნა აღმოსავლეთიდან პარიზში 1108წ. ანუ 1107წ. ქ. ი. რომა დავითი II ჯანმრთელი და ჯერ შედარებით ჯერმი კაცი (38 წ.) იყო. ეს ის ქალი, ხომ არ არის, რომელიც მეფეს ცოლად ჰყოლია (თანახმათ მათე ედესელის მოწმობისა) და რომლის კვალი ქართულ წყაროებში, არ სჩანს? ჩვენ

## ჯვაროსანთა დროიდან

მეტნიერება შიგამოთქმული მოსაზრება, რომ მეფე ამ პირველ ცოლს იქნება გაეყარა და მეორე ცოლი, ყივჩაყთა მთავრის ასული შეირთო, იქნებ ამნაირათ მართლდებოდეს? არ შეიძლება ამას დაუმატოთ, რომ აღმაშენებლის მეორე დაქორწინება იქნება პალიტიკურ მიზნებსაც მისდევდა (რაიც მეფეთა წესია)? ყივჩაყთა ბატონებთან დაახლოვება, საქართველოს გავლენის დამტკიცება ჩრდილო კავკასიაში, მუდმივი ჯარის ორგანიზაცია—მთელი ეს ხაზი დავითის მოქმედებისა გვიხსნის ყივჩაყეთიდან ცოლის მოყვანას, როგორ საშუალებას. ამ პოლიტიკური კავშირის მსხვერპლად მეფის პირველი ცოლი შეიქნებოდა, რომელმაც მოლობების მიიღო; თვით მეფე კი ბოლო-მდინ სინანულში იყო.

ანსელუსის თქმის დასამტკიცებლად—ქართველთა მეფისეული ჯვარი შევიძინეოდა და აპა გიგზავნითო—საუკეთესო იყო იმ მან-დილოსნის ქვრივობა. პარიზში იყიდულებდნენ: გაყრილ ცოლს ამ ჯვარს ხომ არ მისცემდნენ, და ეს მდგომარეობა საერთოდ ხომ შეუფერებელი იქნებოდა! ანსო ასე სჯიდა: პარიზში ვინ გაიგებს ქართ-ველთა მეფის სიკვდილს ანუ სიცოცხლის ამბავს... ეს პიპოტეზა უფრო დასაჯერებელია ვიდრე ის მოსაზრება, რომ „ქვრივაბა“ შესთხეს იქვე იერუსალიმს და დაჯერეს ფრანგი ხუცესი. სირია-პალესტინაში აღარათ იცოდნენ ვინ იყო ქართველთა მეფე 1108 წელს, ქართველ-სომებთა საშუალებით, სხვა გზა რომ არ ყოფილიყო. მალე კი (1119-1125) უკეთ გაიგეს, და ზეპირად ისწავლეს.

### 12

ვანსაკუთრებული ყურადლების დირსია ანსელის აჩრი საქარ-თველის მეფეთა მიერ კავკასიის კართა დარაჯობის შესახებ. ფრანგი ხუცესი იმეორებს ძველს გავრცელებულ და ბუნდოვან აზრს გოგ და მაგოგის შესახებ, რომელი ჩრდილოეთიდგან ემუქრებიან შემო-სევას და (ამ ვარიანტით) კავკასიის მთით არიან შეზღუდულნი. და-ვით II-ს დროს საქართველო მართლაც მტკიცედ უდარაკებდა ამ უდელ-ტეხილს; და თუ კარს გაადებდა ეს იყო მშვდობიან ურთი-ერთობისათვის ანუ მოკაებშირე და ვასსალთა გზის მისაცემათ. თო-რებ ძველ დროს ამ დარაჯობის ხშირად დიდი იმპერიები კისრუ-ლობდნენ—რომი, ირანი; და ახალ ხანებში, საქართველომ ვერ შეი-

## ერთი ჯვარის გარშემო

ნახა ის დარაჯის თანამდებობა რომელიც ასე ამაღლებდა დავით მეფეს იერუსალიმელი ფრანგის თვალში. ისტორიის თამაშმა კიდევ მიანდო - უკვე მე-XX-ე საუკუნეში - კავკასიოლო ამნაირი დარაჯობა კავკასიის კართა თანამედროვე „გოგი და მაგოგის“ წინააღმდეგ, მაგრამ ამ დაცვის და სამსახურის არც გული ჰქონდათ, არც თავი, არც უნარი.

მე-XII საუკუნეში კი ჩვენი ანსელი ხომ ცხადად მოწმობს, რა აზრი პქონდათ ჯვაროსანთა ფრანგებს საქართველოს მნიშვნელობის შესახებ, ეს სამეფო წინა-ზღუდეთ, ბურჯათ მიაჩნდათ *est nobis quasi antimurale* – მათი საქმისა წინა-აზრაში.

ეს ნამდვილად ასე იქნებოდა; მხოლოდ ჩვენთვის ეს აზრი თუ საგულისხმოა, ისიც უნდა იყოს ნათელი, რომ XII-XIII საუკ. საქართველო იმას არ ფიქრობდა, რომ იარაღად ემსახურა ჯვაროსანთა მიზნებისთვის. მისი ცდა იყო საკუთარი ცხოვრების უზრუნველყოფა, დაცვა, და ეროვნულ ძალთა გაშლა. „ჯვაროსნობით“ არ ისაჩიდვიერ-ბოდა საქართველოს მისწრაფება, არც მისი პოლიტიკა, მას ბევრი რამ საერთო პქონდა „ურწმუნო“ ე. ი. სხვა ფერ მოჩწმუნე მასმა-დიანებთან. ბევრს ისეთსაც აფასებდნენ რაც სრულებით არ ყოფილა ჯვაროსნობით აღნიშნული. ასე რომ ჩვენი გულჩჩილ ფრანგი ხუ-ცესის და მისთანების შეხედულება ცოტა ცალმხრივი უნდა ყოფილიყო. ეს კია რომ საქართველო ესმოდათ როგორც მათი ქრისტიანული ოჯახის წევრი, მათი ტოლა, მათი წრის სახელმწიფო.

მოვა დრო, და ამასობაში წინწასული და გამდიდრებული ევ-როპიელი – ვაჭარი, მლევდელი, სახელმწიფო კაცი, მეცნიერი – ამასობაში დაცემულ საქართველოს ზემოდან დაპყურებს.

მე-XII საუკუნეში ეს შეუძლებელია.

## 1108. წლის წერილები

ანსელის წმიდა საფლავის კანტორისაგან, პარიზის ლუთის  
მშობლის კრემულს.

### იერუსალიმითგან

ანსელის, იესო ქრისტეს-სახელოვანი საოლავის კანტორი  
და ხუცესი, გალონ ეპისკოპოსი, სტეფანე მთავარ დიაკვანს და პა-  
რიზის ლუთის მშობლის სრულიად კრემულს პატივისცემას და სიყ-  
ვარულს უცხადებს. მერე დასძენს:

.... იმ ნიჭითაგან ღმერთმა ორ მომტა, ნიჭი ერთი, ფრი  
ადი და შეუდარებელი, ესე იგი ჯვარი, წმინდა ჯვარის  
ძელითგან ქმნილი, მე თქვენმა მოყვარემ, თქვენი ეკლესიის,  
თქვენდა და თქვენი ქალაქის საპატიოოდ, სასახელოდ და  
ასამალლებლად, ანსელმს ერთგულსა თქვენსა გავატანე,  
რომლისგან თქვენი წიგნი, ჩემდამი გამოგზავნილი მივიღე.

როგორც ბერძენთა და ასურთა ნაწერები გვასწავლი-  
ან, ქრისტეს ჯვარი ოთხ ძელთაგან ყოფილა შემდგარი. მათ-  
ში ერთი ის იყო რომელზეც პილატემ ზედწერილი დაწერა,  
მეორე—სად ი. ქ. გაშლილი მკლავნი და ხელები მიმაგრე-  
ბული იყო: მესამე რომელს მისი ტანი ეკიდა, და მეოთხე—  
რომელში თვით ჯვარი გამაგრებული იყო და რომელიც  
გვერდის და ფეხთა სისხლის დალვრით გავლილია და  
კურთხეული.

ხოლო ის ჯვარი თქვენ რომ გამოგიგზავნეთ ორი ძე-  
ლითგან არის გაკეთებული იქ რომ ჯვარია ჯვარში ჩადე-

## ერთი ჯვარის ვარშემო

ბული, ჩადებული იმ ძელისა არის ომელზედ წყიდა; სადაც ჩართულია, იმ ძელისგა ფეხთა ქვეშ რომ იყო და ჯვარს ომ ამაგრებდა; ორივე პატიოსანი, ორივე წმიდა.

ამ ჯვარსა დავით, მეფე ქართველთა, სანამ იცოცხლა, უარის თაყვანის ცემას და სიყვარულს უძლვნიდა; ის დავით, ომელს მისი წინაპრებივით, კასპის კარი—გლეხა და მაგლეს რომ ზღუდავს—ეჭირა და ედარაჯნა, რასაც შვილი მისიც აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედულთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი ასე ვსთქვათ წინა ბურჯია

შემდგომად დაგითის სიჭრილისა და მისი შვილის გამეფებისა მეუდლემ მისმა, უფრო სიწმილისა ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანომ, თავი მოკრიჭა, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოლენ (მხლებელით) იერუსალიმს მოვიდა, ამ ჯვარის და ბევრი ოქროს თანწამოლებით, და იყო მისი წალილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება.

იმ წამოლებულ ოქროთვან წმიდა ქალაქის მონასტრებს წილები დაურიგა, აგრეთვე გლახაჭთა და მგზავრთა-თვის მისაცემი გაიღო. შემდგომად ამისა უფალ პატრიარქი გიბელინის ხელქვეით ქართველ დედათა მონასტერში, იერუსალიმს რომ არის, შესულა. მალეც, დათა და პატრიარქის თხოვნით, წესი მოლობისობისა მიიღო.

ბოლოს სულ წამოლებული დაერივა, გაეცა და მონასტრის საჭიროებისათვის დაეხარჯა. და ოდეს შიმშილობამ ჩვენი ქვეყანა შეაწუხა, თითონ მის ხელქვეითებით იწყო გაჭირვება, და თუმცა ბევრი რამ საჩუქრად ანუ სესხად მიეღო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა იმ მონასტრის მოთხოვნილებისათვის, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო როგორ საკუთარ ხორციელ საჭიროებისათვის არას გზით არ იმოქმედებდა.

ამრიგად ის ძელი, არავითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა, და აპა გამ ავიგზავნეთ.

გევედრებით ჰქონდეთ პატივი, როგორ გმრთებთ,  
ხოლო რომ სახსოვარ იყოს შემდეგთ. და მემკვიდრეთა  
თქვენთა საითან და როგორ გაქვთ. დაიწერეთ თქვენ შიგნთა  
შინა:

„ანსელუსმა, ხუცესმა ჩვენმა, ჯვარი ესე, შმიდა ჯვა-  
რის ქელითან ქმნილი, ჩვენს ეკლესიას და ჩვენ იერუსალი-  
მით მაღვაწოდა“.

გთხოვთ აგრეთვე მაგარი გარდამიხადოთ და ჩემის  
სიკვდილის შემდგომ თქვენ ლოცვებში მომიხსნიოთ, რაც უ-  
შეეჭევს ესოდენ განძის მ. მტანს; და მოაღწია თუ თქვენამ-  
დე ბედნიერად, თქვენი წერილით შემატყობინეთ.

#### II.

„იკითხეთ რა მიზეზით, რა საჭიროებით იგი ნაწილი  
უფლის ჯვარისა წამოლებულ იქმნა. მე რაც ამისათვის ას-  
ურთა წერილთაგან და მოხუცთა ნაამბობიდგან ვისმინე და  
ვისწავლე, თქვენ გამოგიმულავნებთ.“

იკითხება სახარებაში: მრავალნი სხვანიცა სასწაული  
ჰქმნა იესო წინაშე მოწავეთა თვისთა, რომელნი არა დაწე-  
რილ არიან წიგნსა ამას.

თქვენც მრავალი წაგიკითხავთ, ხოლო არა ყოველი.  
ბერძნებს ხომ ბევრი აქვთ რაც ლათინებს არ აქვთ. მაინც  
წაგითხული გექნებათ, რომ შმიდა ელენემ უფლის ჯვარი  
შუაზე გააჭრენინა, და (ერთი) ჯვარი კოსტანტინეპოლს  
შვილთან წამოილო, (მეორე) ჯვარი კი იერუსალიმს დატო-  
ვა; დატოვებული ქასრემ, იერუსალიმი რომ ააოხრა, მოი-  
პარა და სპარსეთს წაილო; ქასრე რო მოკლეს, ერეკლემ კეი-  
სარმა იერუსალიმს წაშორილ და ადგილსა გოლგოთისასა  
დასდვა, რათა ქრისტიანე ხალხმა თაყვანისცეს; ერეკლეს  
გარდაცვალების შემდგომ კი, ურწმუნოთა ერმა ისე შეაწუ-  
ხა ქრისტიანენი რომ ქრისტეს სახელის წაშლასაც სცდი-  
ლობდნენ და ჯვარის და საფლავის ხსოვნის ამოფხვრას.  
ამისათვის შეთა ხორა დააყარეს და საფლავის ნაწილი დაწ-

## ერთი ჯვარის გარშემო

ვეს და ჯვარის ამგვარათ მოისურვეს დაწვათ, მაგრამ ქრისტიანებმა იგი დამალეს, რისგამოც ბევრნი მათგანი მოკლულ იქმნენ.

ხოლო ქრისტიანებმა, ითათბირეს ო, გასჭრეს და გაანაწილეს მრავალ კერძ და მოზრდუნეთა ეკლესიებს დაურიგეს, ასე რომ თუ კი მის ერთს ნაწილს დასაწვავად წამოიღებდნენ, სხვა ნაწრები ამ გვარად შეენახათ. მაშასადამე კონსტანტინეპოლის ქალაქს, გარდა კეისრის ჯვარისა, არის 3 ჯვარი, კიბროსს—2, კრეტს—1, ანტიოქიას—1, ედესსას—1, ალექსანდრიას—1, ასკალონს—1, დამასკოს—ერთი, იერუსალიმს—4; ასურებს აქვთ 1, წმ. საბას ბერძნებს—1, იოსაფატის ხევის ბერძნებს—1; ჩვენ, დათინთ წმიდა საფლავთან 1 გვაქვს, სიგრძით ერთი მცდაველი და ნ. ხევარი, სიგანით ერთი ცერი და იმავე სისქით; აგრეთვე ქართველთა პატრიარქს აქვს 1; და ქართველთა მეფესაც პეტრიდა ერთი, რომელი ლვთის მაღლით თქვენ გაქვესთ.....

## De Jerusalem

Galoni, Dei gratia Parisiorum episcopo, et Stephano archidiacoно,..... omnique conventui Sanctae Mariæ Parisiensis, Ansellus gloriostissimi Sepulcri cantor et presbiter licet indignus, subjectionem, reverenciam, amorem et sic in hoc seculo vivere ut per orationes vestras in futuro vobiscom merear sine fine gaudere...

Hac ergodilectione pro vobis sollicitus, dominum W Libelinum) patriarcham et canonicos nostros rogavi ut oracionibus et beneficiis nostræ congregationis fratres et participes jungereuini cui petitioni concedentes, itidem a vobis rogant et requirunt. Preterea de donis quæ mihi dedit Deus ad honorem et gloriam et sublimationem eccl-

siae vestrae et vestri vestraeque civitatis donum maximum et incomparabile, vide licet crucem unam de ligno Sanctæ Crucis, per Anselmum fidem vestrum vobis devotus transmisi, a quo et litteras, vestras nobis missas accepi. Sicut a Grecorum et Syrianorum scripturis didicimus, patibulum crucis Christi de quatuor lignis fuit: unum in quo Pilatus titulum scripsit, aliud in quo brachia ejus extenta et palmae affixa fuerunt, tercium in quo corpus ejus appensum est, quartum in quo crux affixa fuit; quod etiam aspersione sanguinis lateris et pedum intinctum et sanctificatum est; et crux ista quam vobis misi, de duobus est lignis, quia crux inserta est cruci, inserta est de eo in quo pependit, in qua inseritur de subpedaneo in quo crux affixa fuit, utrumque dignum, utrumque sanctum. Porro David, rex Georgianorum, qui cum suis predecessoribus Portas Caspias tenuit et custodivit, ubi sunt inclusi Gog et Magog, quod et filius ejus adhuc facit, eujus terra et regnum contra Medos et Persas est nobis quasi antemurale, banc vero crucem quamdiu vixit in summa veneratione et dilectione habuit. Quo defuncto et filio in regno promoto, uxor ejus venerabilis plus sanctitate quam generis nobilitate, caput totundit habitumque religionis suscepit, et, assumpta cruce ista et multo auro, Jherusalem cum paucis, non redditura sed ut ibi in quieto silentio et oratione vitam finiret, advenit, et de auro quod attulerat congregationibus sanctæ civitatis partes distribuit, pauperibus que et peregrinis elemosinas erogavit. Postea sub manu domini Gibellini patriarchæ congregationem sanetimonialium Georgianorum, quæ est in Jherusalem, intravit. Nee multo post rogatu sororum et patriarchæ regimen congregationis suscepit. Denique distributis et erogatis et in necessitatibus commisso congregationis omnibus quæ attulerat expensis, cum inedia regionem nostram oppressisset, ipsa cum subditis coepit egere. Cumque jam multa dono, multa mutuo receperisset, quod nullo modo pro necessitate sui corporis faceret, pro necessitatibus congregationis sibi commisso pio affectu facere compulsa est. Itaque istud lignum, nulli precio comparandum, hac ratione precio est comparatum. Ecce illud vobis misi, precor, habetote illud honorifice, sicut debetis. Verumtamen ut memoriale sit posteris. et suos.

cessoribus vestris unde e quomodo illud habuistiſ, scribite in libris vestris: "Anselleſ clerieus noster hanc cruelem de ligno Sancte Crucis ecclesiae nostrae et nobis de Iherusalem transmisit". Postulo igitur a vobis ut me diligentem vos diligatis et post mortem meam in orationibus vestris mei memoriam habeatis, quid vero tanti thesauri latori contigerit, utrumne ad vos prospere pervenerit, per litteras vestras mihi notum faciatis.

Quesistis qua ratione, qua necessitate portio ista de dominica Crucis assumpta fuerit, ego quod inde ex litteris et relatione seniorum Surianorum audivi et didicī vobis manifestabo. Legitur in evangelio multa quidem et alia signa fecisse Ihesum in conspectu discipulorum suorum, quæ non sunt scripta in libro hoc, et vos multa legistis, sed non omnia. Multa enim habent Greci quæ non habent Latini. Legistis tamen quod sancta Helena Crucem dominicam per medium secari fecit, et crucem Constantinopolim ad filium detulit, crucemque Iherosolimis reliquit; relietam Cosdroe, vastata Iherusalem, rapuit et in Persidem detulit, quam intersecto Cosdroe, Eraelius Iherosolimam retulit et in Calvariæ loco, ut a populo christiano veneraretur, reposuit; post mortem vero Eraelii, populus infidelium adeo christianos oppressit ut nomen Christi conarentur extinguere et memoriam Crucis et Sepulcri delere. Itaque congerie lignorum superposita, partem Sepulcri combusserunt et Crucem similiter comburere voluerunt, sed christiani eam absconderunt, quo circa multos ex eis occiderunt. Denique christiani, habito consilio, secatam in multas portiones divisorunt et per ecclesiastis fidelium distribuerunt, quatenus si una eis pars ad comburendum auferretur, tali modo aliæ partes reservarentur. Itaque in Constantinopolitana urbe preter imperatoris crucem, sunt inde III crucis, in Cypro due, in Creta una, in Antiochia III, in Edessa una, in Alexandria una, in Aschalone una, in Damasco una, in Iherusalem IV; Suriani habent unam, Greci de Sancto Sabba unam, monachi de valle Josaphat unam; nos Latini ad Sanctum Sepulcerum habemus unam, quæ habet palmum et dimidium longitudinis et pollicem unum latitudinis et grossitudinis in quadro; patriarcha quoque Georgianorum habet unam;

rex etiam Georgianorum habuit unam, quam modo Deo gratias vos habetis. Nunc vero ad supplendum gaudium vestrum et ad gloriam et honorem ecclesiae vestrae et regiae dignitatis etc.

გ ე ბ ი შ ვ ნ ბ .

ეს წერილები, მრავალჯერ გამოქვეყნებული (მაგალითათ იხ. Migne, Patrol. lat., t. 162, p. 729-731) იძელდებიან აქ თანახმად გამოცემისა: *Cartulaire général de Paris .... publié par Rob. de Lassalle, T. 1<sup>er</sup> (528-1180), in-fol, P. 1887, p. p. 171-2. N<sup>o</sup>N<sup>o</sup> 151-2.* ეტ-რატები დაწერილ დედნების გარეგნული აღწერა (აგრეთვე ლათინური ტექსტი შემოკლებით და ფრანგული განმარტება) იხ. *Musée des Archives nationales. Documents originaux de l'histoire de France exposés dans l'hôtel Soubise. in-fol. P. 1872* (სახელმწიფო არქივის გამოცემა) N<sup>o</sup>N<sup>o</sup> 125-6. აქ პირველი წერილის თარიღად ნაჩენებია დაახლოვებით 1108 წ., მეორესი—1109.

§§ 1-7. ცნობები „ანსოს ჯვრის“ შესახებ იხ. შემდეგ წიგნებში:

*Histoire de la ville et de tout le diocèse de Paris par l'Abbé Lebeuf.* ამ დიდი შრომის დამწერი (1687-1760) სარგებლობდა აში დაკარგული მასალითაც. იხ. განსაკუთრებით „ანსოს ჯვრის“ აღმართების პროცესის თაობაზე: Vol. I (ed. 1883), p. 540 etc.

*Histoire littéraire de la France .... Par des Religieux Benedictins de la Congrégation de S.-Maur. Tome X. A Paris, 1756,* p. p. 400-403.

A. P. M. Gilbert. *Description historique de la Basilique métropolitaine de Paris et des curiosités de son trésor.* P. 1811.

Gosselin. *Notice historique et critique sur la sainte*

## ერთი ჯვარის გარშემო

couronne d'épines de N.-S. Jésus et sur les autres instruments de sa passion qui se conservent dans l'église Métropolitaine de Paris; suivie de pièces justificatives. P. 1828. აქ p. 167 et suiv, ლა-  
თინური საბუთები 1801-1803 წ.წ. ზემოღ მოხსენებული ბუნდოვანი  
ვერსიის იმის თუ რა დაგმართა ჯვარს 1793 წ. Actes concernant les  
trois croix formées de l'ancienne croix d'Anseau.

Ch. Rohault de Fleury, Mémoire sur les instruments de la passion de N.-S. J.-C. in-fol. P. 1870. სურათებით, სტატიისტი-  
კით, ზომის აღებით და ნაშთთა სრული აღწერით. დამწერი—უნობი-  
ლი სუროთ-მოძღვარი და მორწმუნე კაცი იყო. მისია არითმეტიკუ-  
ლი დასკვნა არსებულ ჯვარის ნაწილთა ჯამის შესახებ.

იერუსელიმითგან მოტანილი ჯვარის შესახებ უნობები მოი-  
პოვება აგრეთვე სხვა ძველ აღწერებში.

საერთო ჯვარი პატიონსანის ისტორიისათვის საკმარი-  
სია აქ დაგასახელოთ თუნდაც Encyclopädie der katholischen Theo-  
logie und ihrer Hilfswissenschaften, Bd. VII (1891); Realencyklopädie für protestantische Theologie und Kirche. Bd. II (1902).

ქართული წყაროებიდან ნაგულისხმევი აღილები იხ.თ. ეორ-  
დანია, ქრისტიანობი etc. I, 15,27; 30-31; 38 39; 65-66; ქარ. ცხ. მარ.  
დედ. ვარიანტი, დაბეჭდილი, 98-99; 113 და სხვა.

§ 11 დავით II-ის პირველი ცოლის შესახებ იხ. ივ. ჯავახი-  
შვილის განმარტება. ქართ. ერთი ისტორია, II, 541-2.

§ 12 Antemurale შემდეგს ნიშნავს: murus exterior, quo caetera  
urbis aut castelli mœnia cinguntur, et munimenta, ne ad illa statim  
hostibus accessus potest. აგრეთვე: ... antemurale dicuntur defensio  
ante murum. იხ. Du Cange. Glossarium mediae et infimae latini-  
tatis, ed. 1840.

§ 8. ი. ქ. ჯვარის პოვნის საკითხი ანუ მისი გადმოცემის ის-  
ტორია შესწავლისა კრიტიკულად. იხ. წყაროების შესახებ Wil-

William Smith. A dictionary of Christian Biography. Vol. II. 1880. p. p. 882-885. Invention of the Cross. L.-J. Tixeront. Les origines de l'église d'Edesse. P. 1888. (Appendice: L'invention de la vraie croix). Dr. J. Straubinger. Die Kreuzauffindungslegende. Untersuchungen über ihre altchristlichen Fassungen mit besonderer Berücksichtigung der syrischen Texte. Paderborn. 1913.

რახაკვირველია ძველს ტრადიციასაც დამცველები ჰყავს. ხი. მაგალითად Dr. Eduard M. Clos. Kreuz und Grab Jesu. 1898. Louis de Combes. La vraie croix perdue et retrouvée. Recherches historiques. Paris. 1902.

ნიმუში დიპლომატიური მოთხოვბისა, სადაც ჯვარის აღმოჩენის ღვევენდა თითქმის უარყოფილია მაგრამ ეს უფრო თვით მეითხველმა უნდა დაასკვნას—იხ. გამოჩენილი მეცნიერის ფრანგ. ეპისკოპისტის თხუზულებაში, L. Duchesne, Histoire ancienne de l'Eglise. T. II, p. 81.

მნიშვნელოვანია კრებული De sancta cruce. Ein Beitrag zur christlichen Legendengeschichte von Eberhard Nestle. Berlin, 1889.

კარგი წოდები მიმოხილვა ჯვარის ისტორიისა, არქეოლოგიისა და მის შესახებ თქმულებათა არის Rev. William Wood Seymour. The Cross in tradition, history and art. N. Y. and L. 1898.

გვ. 22. ქრისტიანული ცნობა (ქ. ტხ., გამ. ბროსსეტის. 92), რომ კონსტანტინე კეისარმან მირიან მეფეს „სიხარულით მიანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიტარნი გი, რომელსა ზედა ფერხნი დაუმსჭუალნეს უფალსა, და სამსჭუალნი პელთანი“ ანსოს წერილს რომ შევადარიოთ, ირკვევა შემდეგი: ამ ორ ნაწერში ერთხმად იგულისხმება, რომ ქართველთა მეფის მიერ მიღებული პატიოსანი ჯვარის ნაწილები ორგვარი იყო. ამ მხრავ მათში გატარებულია აღბათ საერთოდ მიღებული აზრი, ფრანგი ხუსეინს ეპისტოლეში უფრო ვრცლად განმარტებული. ვისგან და როდის მიიღო მეფემ ეს განძი? აქ დიდი განსხვავებაა. ქრისტიანის თქმით ეს მოხდა IV საუკ., ანსოს

## ერთი ჯვარის გარშემო

მოწმობით კი—VII საუკ. პირველით ნაწილს უგზავნის კონტახტინე კეისარი, მეორე ვერსიით ამბავი შოთდა არაბთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის დროს, და მათი შიშით, ი. ქ. ჯვარის გახაწილების გამო.

§ 8. ი. ქ. ჯვარის ტყვედ წაყვანა და სპარსეთიდან დაბრუნება— ამის შესახებ ცხონები ქართულ ქრონიკებშიაც შეტანილი და ამო- ლებულია ნაწერიდან: „წარტყუენვაი იერუსალემისაი. აქ კერძოდ მოიპოვება: „უწყებაი ცხოველ-მყოფელისა პატიოსნისა ჯვარისაი, ვითარ უკუმოილეს იგი ბაბილონით იერუსალემად“. ეს ნაწერი სათანადან ვანძარტებით და თარგმანით ხიკ. მარობა გა- მოაქვეყნა. N. Marr, Antioch Stratig. Plenemie Jerusalima persami v 614 g. Spb. 1909. აქედან ნაწყვეტი ჯვარის პატიოსნის თაობაზე უკვე თ. კორდანიაშ თავის „ქრონიკებში“ მოათავსა. ტ. I, 1892.

ხიკ. მარობის ძიებასი ბოლლახდისტა პ. პეტერს შა ძალიან ხაყოფიერად გააგრძელა. მას ჯერ იხელის ში ქარტული „წარტყუენ- ვის“ ახალი ხელხაწერი აღმოაჩინა. იხ. P. Peeters, De codice hiberico bibliothecae Bodleianae. Analecta Bollandiana. T. XXXI, 1912. მერმე კი, 1919 წ. ვატიკანის ბიბლიოთეკაში—თვით არაბული დედანი. იხ. Paul Peeters, Un nouveau manuscrit arabe du récit de la prise de Jérusalem par les Perses, en 614. Analecta. T. XXXVIII, 1920. Cf. P. Paul Peeters, S.J. Bollandiste. La Prise de Jérusalem par les Perses. Beyrouth. 1923.

თვით ამ ჯვარის დაბრუნების (ერკედ კეისრის მიერ 628 წ.) ისტორია ბევრ ოშეში საეჭვოა. სხვა და სხვა ადგილობრივი ტრა- დიციები ამ ძემთხვევაში, ოვეორც სახლვადოთ პატიოსნი ჯვარის ხაწილთა თაობაზე, არ არიან ერთმანეთში შეთანხმებული.

628 წ. ამბის შესახებ იხ. კერძოდ V. Boilotov. K istorii impe- ratora Iraclija. Vizant. Vremennik, 1907, სადაც სხვათაშორის მოყვა- ნილია საყურადღებო სომხური ცხონები ჯვარის განაწილების შე- სახებ და დაწვრილებით განხილულია მისი იერუსალიმში დაბრუნე- ბის საკითხი.

სხვა გადმოცემით კი კეისარმა ეს ჯვარი საბოლოოდ კონს- ტანტინეპოლიში შეინახა. იხ. მაგალითად Agapius, Histoire uni-

## ჯვაროსანთა დროიდან

verselle écrite par Agapius de Menbidj. Ed. et trad. par A. Vasiliev, Patrologia orientalis. T. VIII. P. 1912 p.p. 467-468. ეს ისტორია X საუკუნისაა:

თვით ბერძნულ წყაროებში უთანხმოებაა ამ საკითხში. ერეკ-ლემ კეიისარმა ჯვარი ჯერ კონსტანტინოპოლის მოიტანა, მერმე კი წამოიღო და ისევ იერუსალიმს ძველ ადგილზე აღმართა (პირველი ვერსია). ერეკლემ ჯვარი იერუსალიმს მოიტანა, პატრიარქ მოდესტოს აჩვენა, მერმე-კი კონსტანტინოპოლის წაიღო და იქ შეინახა (მეორე ვერსია), იხ. Angelo Pernice, L'Imperatore Eraclio. Firenze 1905, p. p. 317-321.

რაც შეეხება 638 წ. ამბავს, ანსო-კლერიკის მიერ მოთხოვდის ე. ი. ცხოველ-მყოფე ლი ჯვარის განაწილებას იერუსალიმის არაბთაგან დაპყრობის ღროს, მისი სხვა ორმელიმე კვალი ვერსად აღმოჩნდა. ძალიან შესაძლებელია, რომ ეს იყო ნაწილთა გავრცელების ასახსნელად ოდესმე განსაკუთრებით გამოვლილი თეორია.

შენახული ცხობებით, პირიქით, თ მ ა რ ს, მუსლიმანთა ხელიფას, ფორმალური გარანტიაც მიუსია იერუსალიმის მცხოვრებთათვის, რომ კელესიები, ჯვარები და სხვა უზრუნველყოფილი დარჩებაო. იხ. M. J. De Goeje, Mém. sur la conquête de la Syrie, 1900, p. 153. N. A. Mednikov. Palestina ot zavoevanija eja arabami do krest. pokhodov po arab. istotek. Spb. 1902, p. 531.

§ 9. სვეტი-ცხოველის ლეგენდა ამ ხის და სვეტის მსახურების თვალსაზრისით გასინჯულია გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგის შრომაში: Arthur J. Evans, The Mycenaean tree and pillar cult and its Mediterranean relations. London, 1901.

ამ რთული საკითხის გაღრმავება აქ ყოვლად შეუძლებელია. სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ სვეტის ზა ჯვართა აღმართების ისტორია, წმ. ნინოს ცხოვრებაში მოთხოვობილი, მწიგნობრულად ისე დამუშავებულია, რომ იქ სხადია ქრისტეს ჯვარის ლეგენდის გაფლენა. იხ. ამის შესახებ კ. კეგელიძის ქართ. ლიტ. ისტორია I, 1923 წ., გვ. 544. მეტი უნდა იყოს მისივე შრომაში: იერუსალიმის განჩინება,

## ერთი ჯვარის გარშემო

მაგრამ წმ. ნინოს „ცხოვრებას“ არა მარტო იმ ლეგენდისა რო-  
მელიც ეხება ჯვარის პოვნას ანუ „გამოჩინებას“, გავლენა ეტყობა,  
არამედ იმისაც, რომელიც თვით იმ ხის ამბავს მოგვითხრობს,  
მასალად რომ ამოირჩის ჯვარისათვის. ამ თქმულებას ტრი-  
ლო ეჭისკობოზი (გაბაშვილი) თავის მოგზაურობის აღწე-  
რაში 1755-7 წ. გადმოგვცემს ამნაირად: „...ჯვარის მონასტრის აგი-  
ლი, ეს არს სადაცა ლოთ სამი ხე ... სარო, ფიჭვი და ნაძვი დარ-  
გო... და სამივე ერთ ხედ აღმოხდა. ამისსა შემდგომად მოაჭრევინა  
იგი სოლომონ ტაძრისა შენებასა, არამედ სახმარება მისი მუნ უქ-  
მად გამოსჩნდა, და მდებარე იყო გარე საჯდომელად კაცთა. ხოლო  
ჯუარტმასა უფლისასა განვებითა ზენაითა მას ზედა დამოკიდეს  
უფალი, და მონაკვეთისა მის ხისა ძირი ქვეშე წმინდისა ტრაპეზისა  
ჰსჩანს დღესამომდე“... იხ. დ. ჩუბინოვის, ქართ, ქრისტომ. I, 1846,  
გვ. 148-149.

ეს თქმულება, საშუალო საუკუნოებში ძალიან გავრცელებუ-  
ლი, ქართველებს, ჯვარის მონასტრის პატრონებს, ძალიან აღო-  
უნდა შეეთვისებინათ. მისი რომელიმე ძველი რედაქციის გავლენა  
ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაზე (ქართლის მოქცევის შესახებ)  
საფიქრებელია.

სვერის ამბავი კი რომ იმ სახით ავიღოთ, როგორც მო-  
თხრობილია მეოთხე საუკუნის უცხველ წაწერებში, ვგონებ ადვი-  
ლათ დავრწმუნდებით, რომ ეს თქმულება, თუმცა უკვე შესამჩნევად  
გაქრისტიანებული, ზემოდასახელებული მწიგნობრული ვაკლენის  
გარეშე უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, რომ ამ თქმულების თავ-  
დაპირველი ტენდენცია წარმართული ყოფილიყოს. მოკვეთილი ხე  
ვთქვათ მუხა, შემდეგში „ნაძვად“ გადასხვაფერებული, ქრისტიან  
ქადაგს, მღვდელს, მეფეს წინააღმდეგობას უწევს, და ვერ „აღმარ-  
თეს“: ეს არის ძველი ხალხური რწმენის რეაქცია.

რომ თან და თან „სვეტი-ცხოველი“, „ცხოველ-მყოფელი ი. ქ.  
ჯვარის“ ზედგავლენით ქრისტიან საქართველოის მნიშვნელოვან სა-  
სოდ და ძეგლად იქცა, ეს არის საყურადღებო მაგალითი ესრედ წო-  
დებული სინკრეტიზმისა.

ი. ქ. ჯვარის ნაწილთა მასალის ე. ი. ხის ჯიშთა სხვა-და-სხვა-

## ჯვაროსანთა ღროიდან

ობას ადრე მიაქციეს ყურადლება. ამ უცხაური მოვლაების ასახსნელად ჯერ იფიქრეს, რომ ქრისტეს ჯვარი სხვა და სხვა ჯიშის ძელთაგან იყო შემდგარი. მერე შეთხეს, სამღვდო წერილის ზედგავლენით, იმის განმარტებანი, ჯვარის რომელი ნაწილი, რომელი ჯიშისა უხდა ყოფილიყო (ნაძვისა, ფიჭვისა, ზეთის ხილის ხისა უა სხვა). ამგვარ თქმულებათა კვალი აქ დაბეჭდილ წერილებშიც ხომ ცხადია.

თქმულება, ი. ქ. ჯვარის ხის ჯიშთა შესახებ, ჯვარის სხვა თქმულებათას ერთად შეტანილია XII საუკუნეში გენუის არქიეპის კოპოზის იაკობის მიერ შედგენილ განთქმულ კრებულში *Legenda aurea. W. W. Seymour, o. e., p. p. 97-99.*

გვ. 25. ამ გვარ ძეგლთა შესახებ (სტაუროთეკა) საქართველოში და სხვაგან იხ. კანდაკოვის გამოკვლევა და სურათები ზვენიგოროდსკის მდიდრულ გამოცემაში *Histoire et Monuments des Émaux byzantins. 1892.* თამარ მეფის ჯვარის წარწერა მოყვანილია თანახმად თ. ულრაბახიას აღმოყითხვისა (ქრონიკები, I, 269).

გვ. 29. აქედან ირკვევა, რომ XII საუკ. პირველ წლებში იერუსალიმს ქართული დელათა მღვანელი უკვე არსებობდა. შემდეგში ისხენიება „დელათა მღვანელი ახალი“ 1162-1175 წ., ერთი შეწირული წიგნის მინაწერში. იხ. Tsagareli, Pamiatniki gruzinskoi stariny v Sv. Zemle. Spb. 1888, p. p. 125, 170.

გვ. 29. „გოგი და მაგოგი“ ძეგლ ქართულ მწერლობაშიც გვხდება. მაგ. ვახტანგ გორგასლანის სტოვრებაში; შავთელის ხატბაში. იხ. ნ. მაორის სწობილ გამოცემაში (1902 წ.), 91, I-2 და გვ. 103. ქართველები იტყოდენ: აგ და მაგუგ.

გვ. 30 „იკითხება სახარებაში“... იხ. იოანე 20, 30.

გარშემო ერთის ღმისა

## გარშემო ერთის ღმისა

1121

I

1

დავით აღმაშენებელი (1089-1125) საქართველოს ისტორიის უდიდესი სახელმწიფო პიროვნებაა. თამარი უფრო განთქმულია, უფრო სიმბოლოდ ქსეული ეროვნული ოცნების მიერ; თამარი მშვენიერი, სათნოანი და მდიდარი შემკვიდრეა გმირ, მებრძოლ, სისხლსა და ოფლში დაქანტულ თაობათა და წინაპართა. დავით II კი, ამ წინაპართა რიგში, საქართველოს დამპველ აბჯრის მთავარი მჭედელია; მისია გონიერი გამბედავობა, მისიც სხვებზე დიდი შემოქმედება.

მის ხელში საქართველოს ძეველი მონარქია გვეხატება, როგორც სხოველმყოფელი, გარემოებას და იმ დროს შეფერებული დაწესებულება, ლრმა ფეხის მქონე და ნაყოფიერი; როგორც ნამდვილი, ხალხის თვალში ლეთის მიერ დალოცებილი, ერის შემკვიდრეობითი წინამდლოლობა; მისი სახელმწიფო აზრის, გამგეობის, წინაჭრების, მზადების მუდმივი და აუცილებელი ორგანო.

ამ დიადი დაწესებულების დაცემა მონგოლთა დრომდინ დაიწყო, და სრული მოსალოდნელი ნაყოფი არასოდეს არ მოუტანია!

2

მაგრამ საქართველოს მონარქი, მეფე აფხაზთა და ქართველთა დავით სომეს თა მეფედაც ითვლებოდა და უნდა ჩაითვალოს—არა მარტო ტიტულით და არა მარტო მრავალ სომესთა, მათ ქალაქთა და თავადთა ქვეშევრდომობით, არამედ ამ ფორმულის უფრო ლრმა და დიდი მნიშვნელობით. განა თვით სომესთა მწერალი

## ჯეაროსანთა დროიდან

მათე ედესელი არ ამტკიცებდა, რომ გარშემო დავითისა აწ თავს იყრისო სიმძღვანი არ-სებობა—მათ შეკიდრ ნიადაგზე გრძელდებოდა, ხაშილიობრივ მაინტ, მათი მაზრების საქართველოსთან შემოერთებით, ისეთს დროს რობა მათ საკუთარი სახელმწიფო იქ უკვე არ პერნდათ და მათი შესანიშნავი ახალშენი, კილიკიის სამთავრო, ჯეო ხორჩი, დაშორებული, და სულ სხვაგან იყო მიმართული.

ქართველ ბაგრატიონთა და სომხეთის ყოფილი საშეფო გვართა ვიწრო ხათესავობა კიდევ ხომ უადვილებდა სომხებს ქართველთა შეფის მიღებას როგორც, ასე ვთქვათ, მათი ბუნებრივი ხელმწიფისა და ეს მათი სომხეურ-ქართული ბაგრატიონობა, გახა ერთადერთი იყო ოას უახლოვებდა სომხებს საქართველოს?

მთელი იმ დროინდელი წესყშობილებაც ხომ ხელს უწყობდა სომხეთის დიდი ნაწილის საქართველოსთან შეერთებას იმ სახით, რომ სომხებას ადვილათ და სრულიად შეეძლოთ კვლავინდებურათ „ესომხნათ“—ქართველ მეფეთა ხელში.

### 3

ამ საქმის ვითარებას საუცხოვოდ გზას უხსნიდა—ამისი გამეორებაც ურიგოვ არ იქნება—სომხეთის პოლიტიკური ბედის საერთო მიმდინარეობა სწორეთ შე-ა-ე საუკუნის შეორე ნახევარში:

ბერძესთა იმპერიის და თურქთა ძლიერი ზედმოქმედების და იერიშის გამო, იმ დროს სწრაფად მოხდა სომები წვრილ საშეფოთა და სამთავროთა ლიკვიდაცია. ეს დიდი და სომხეთისათვის საბედისწერო პროცესის შეადგენს აღმოსავლეთის ისტორიის მხიშვნელოვან მოვლენას. და ამ ამლის მრავალგვარ შედეგთაგან აქ უნდა ვახსენოთ ერთის მხრით სომხეთა პოლიტიკური აღმაშენებლივბა მოშორებით —კილიკიაში, და შეორე მხრით ძეველი სომხეთის მიწათა თან-და-თან დარიგება ანუ, თუ ეს ითქმის, გაყოფა მეზობელთა შორის.

საბერძნეთმა, თურქებმა და საქართველომ—ე. ი. აფხაზთა და ქართველთა სამეფომ სომხეთის მემკვიდრეობით ისარგებლეს. რა თქმა უნდა, ქართველთა ქრისტიანობა (მიუხედავად სარწმუნოებრივ განხეთქილებისა) და განსაკუთრებით, მათ მეფეთა ზემოთ უკვე ხაზ-

## გარშემო ერთის ომისა

გასმული ბაგრატოვანობა (ქართულ-სომხური ხარისხი!) უქმდელად აადვილებდა ამ სომხეთის ნაწილთა საქართველოსთან დაკავშირებას: და სწორეთ ამ დაკავშირებაში, სხვათა შორის, შესაძლებლად გამხადა ის დიდი საქართველო, რომელიც მე-XII-ე საუკუნეში ჩვენ წინ გვიღდა. ამ საქართველოს ერთ-ერთ არსებით თვისებას შეადგენს ეს საჭიროებით და ნებითაც გამოწვეული პატრიონ-ყმობა ანუ ვასალობა სომხე მიწათა და ქალაქთა, და ამით საქართველოს მრავალ-გვარი გაძლიერება.

4

სრიეჩთა წინამდობი, მეგობარი და მფარველი დავით, როგორც ცხობილია და თვით მუსლიმან მწერალთა მიერ შემოწმებული, იყო აგრეთვე გონიერი და ვანათლებული ხელმწიფე მისი სამფლობელოს იმ ჯელფისა, რომელსაც მაჲმათის სჯული ეჭირა.

დავით II-ის გამოჩენილი მეცენატობა მუსლიმან კულტურულ ცხოვრებისადმი, მათ სარწმუნოებისადმი დიდი ყურადღება და პატივისტება, მთელი ეს თანამედროვეთაგან ნაქები მხარე მისი პიროვნებისა, არ იყო მარტო მისი მაღალი ხასიათის მაჩვენებელი. ეს იყო ავტოთვე შეგნებული პოლიტიკა; სწორეთ ისეთი როგორიც მეცენატებიდა საქართველოს მეფეს ჯერ მის მაჲმათიან ქვეშევრდომთა ხათრით, მერე მისი სახელის გავლენის და სიუზერენობის აღმოსავლეთ კავკასიაში გასავრცელებლად და ღასამტკიციცებლად. მისი შირვანშაჲთან კავშირის დაჭერა, მეფის ასულის თამარის მასთან შეულებით, ამ მიმართულების ერთი ნიშანთაგანია. მიუხედავათ ქრისტიანობის და ისლამის დიდი ანტაგონიზმისა, ეს საქმე-შირვანის მოთავსება ამიერ კავკასიის ერთა შეერთების გეგმაში, ქართველ ბაგრატოვანთა ხელმძღვანელობით და ხელმწიფობით, არც ისეთი უიმედო იყო. აღმაშენებელმა აქაც საძირკველი დაღო, თუმცა თვით შენობა ისე უორს არ წაიყვანა, როგორც სომებთა დაკავშირების საქმეში.

ჩრდილო კავკასიის მეზობლებზე რალ ითქმის? მათთან დაახლოება, მეგობრობა, მათ სამსახურში მიღება, იქიდან „ყიზჩაყთა“ ჯარის შესაქმნელად მოყვანა, დარიალის კარი მიმოსვლისათვის („გზა მშვიდობისა“) გახსნილი—საურთოთ იქაურ საქმეთა

45.

## ჯვაროსანთა დროიდან

მეგობრული მოწეს-რიგება—ხომ ერთი უმთავრეს დარგთაგანი იყო დავით II-ის სახელმწიფო მოლვაწეობისა, და ამ მოლვაწეობის შედევრად უნდა ითვლებოდეს.

ეს საზი ხაზი შეიცავს ქართველ მეფეთა კავკასიური პოლიტიკის სისტემას; და მისი სათანადო წარმოებით საქართველომ მისი ისტორიის უკეთესი ხანა იცოცხლა.

### 5

ამნაირად, დავით II-ის დროს, საქართველოს ე. ი. ქართველ ტომთა და მათი მიწების ლიხთ ამიერ და იმიერ უფრო მტკიცე გაერთიანებასთან ერთად, იჩკვევა მეტის სისაციონი მიზანი, საქართველოს თაოსნობით, კავკასიის ერთა შეჯგუფებისა.

კავკასიის ფარგლებში, ქართველ მეფეთა მეტადინეობით ჩნდება საერთაშორისო ხასიათის კომპლექსი. ამ განზრახვის და მდგომარეობის წარმატებაში, რომელთა ფესვები და მიზეზები ბევრია, დავით II-ის დღაწლი დიდი ყოფილა. გარემოებაც ზოგჯერ ხელს უწყობდა; მაგრამ კარგ გარემოებით კარგი სარგებლობაც უნდა: ესაა სახელმწიფო კაცის საქმე. და აღმაშენებელის დროს, სჩანს, კარგი სარგებლობაც და ძნელზე გამარჯვებაც იცოდნენ.

ამ დიდი სტილის პოლიტიკის განვითარებაში 1121-1123 წლები სახსოვარი თარიღია. ომი, ხალხთა არსებობის ხშირად ულმობელი მსაჯული, მძვინვარებს; მრისხანე, სისხლის მღვრელი მახვილობრწყინავს ამ ისტორიულ ულელტეხილზე.

### 6

ამისათვის საპიროა რაც შეიძლება მეტი შუქი მოვფინოთ იმ დიდ ბრძოლას, რომლის შედეგი იყო ტფილისის ალებაც ქართველთა მიერ, იქ ძეველი საამიროს გაუქმება და, ამ მხრივ, თვით დავითის სახელოვან მეფობის დაგვირგვინება.

ეს იყო იმ ძლიერი პოზიციის აშლა, რომლის საშუალებით, არაბთა დროიდან დაწყებული, და მერე თურქთა გაძლიერებით, მაპმადიანთ მათი ბატონობა ამიერ კავკასიის შუა გულში უზრუნველყოფილი პქონდათ. ამ პოზიციის სამხედრო და პოლიტიკური

მნიშვნელობა, ტფილისის შუაგულ მდებარეობაზე დამყარებული, დიალ დიდი იყო და არის, რაც შემდეგ დროინდელმა ისტორიამ კი- დევ არა ერთხელ დაამტკიცა, როცა ტფილის ასე ხარბად ეტანე- ბოდნენ სპარსი, ოსმალი, რუსნიც.

ტფილისის აღება 1123 წ., მაკმადიან ძალთა პოლიტიკური პირველობის მოსპობა კავკასიაში და საქართველოს ხანგრძლივი ამაღლება იმ დიდ გამარჯვების ნაყოფია, რომელიც ერგო დავით II-ს და მის ერს დიდორს ქართლში 1121 წ.

7

აღნიშნოთ მოკლედ ის ზოგადი პოლიტიკური პირობები, რომლის ცოდნა საჭიროა. მაშინდელ ამბების გასაგებად.

თვით საქართველოს და სომხეთის რთულ საქმეებს თავი რო დავანებოთ, რა იყვნენ იმ დროის უმთავრესი საერთაშორისო გა- რემობანი წინა-აზიისა? სელჩუკთა იმპერია, რომლის წყალობით საქართველოს განუცდია არა ერთ აოხრება, „თურქობა“, და რომ- ლის მეზობლობა საქართველოს მძიმე ლოდათ აწეა, უკვე ნაკლებ ხიდათს წარმოადგენდა. ალბარსლანის და მალიქ-შაპის დიდი ეპოქა წარსულშია. მათი სახელმწიფო შინაური ქიშპობით და მეტოქეობით შესუსტებულია. ამით ისარგებლა დავით II-ის დროინდელმა სა- ქართველომ, და ეს სელჩუკთა ბატონობის უკუგდება, მათ თავდას- ხმათაგან დაცვა და გამარება საქართველოს შეადგენს მთავარ ში- ნაარსს დავით II-ს მოღვაწეობისას XI საუკუნის უკანასკნელ პე- ულში და შემდეგ.

მაგრამ მალიქ-შაპის სახელმწიფოს დაცემით ისარგებლა არა მატო საქართველომ. მუსლიმან მთავართა განხეთქილებამ ხელი შეუწყო და გზა გაუხსნა ფრანგ ჯვაროსნებისას, ევროპიელთა პირ- ველ ჯვაროსან ლაშქრობაში. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ და- ვით აღმაშენებლის დროინდელი საქართველო თანამედროვეა ევრო- პიელთა იმ მძლავრ გაქანებისა რომელიც იყო ჯვაროსანთა პირვე- ლი ლაშქრობა; და რომ მათ მიერ აღმოსავლეთში დაარსებული სამთავროები სირიისა და მესოპოტამიის მაკმადიან ხელმწიფეებ- თან მუდმივ ომიანობშაი იყვნენ გართულნი.

## ჯვაროსანთა დროიდან

ჩვენ არ ვეხებით რთულ ისტორიას თვით იმ ჯვაროსან მოძრაობისა, რომლის შედეგი დიდი იყო ეკროპისათვის სხვა და სხვა დარგებში, და რომელმაც დაამყარა ეკროპის და წინა აზიის ურთიერთობა ჯერ ბრძოლის ველზე, მერე მრავალგვარ აღებმიცემობაში.

### 8

ყველამ იცის ამ პირველი ლაშქრობის შესანიშნავი ამბავი, მისი გამოჩენილი მეთაურებიც: გოდფრედუ ბული ონეჟი; მისი ძმა ბოდუენ; ბოემონდ ტარენტელი; ტულუზელი რაიმონდ და სხვები. 1099 წ. მათ აიდეს იერუსალიმი; დაარსდა სამთავრო იერუსალიმისა რომლის მთავრად აღიარეს გოდფრედუ „წმიდა საფლავის ვექილის“ სარისხით; მისი მემკვიდრე და ძმა ბოდუენი უკვე მეფედ ითვლებოდა).

ფრანგთა შეირ აღმოსავლეთს (სირიაში) აშენებული სახელმწიფოები ანუ სამთავროები (იერუსალიმი, ანტიოქია, ტრიპოლი, ედესა) თუმცა დაწესებულებათა აზრი ეკროპიდან მოიტანეს, მაინც აღმოსავლეთის ღირებულებას განიცდიდენ. მალე იქაურმა ცხოვრებამ ეს სამთავროებიც აღმოსავლეთის თავისებულ ნაწილებად აქცია.

მაგრამ საომარი ქალა—აი რა იყო მათი არსებობის პრინციპი და საძირკველი.

და სწორეთ ომის გარემოება ყოფილა, რომლის გამო, როგორც დავინახავთ, 1119-1124 წლებში საქართველოს და ჯვაროსანთა მოქმედების ხაზები ერთმანეთში თავისებურად ჩაიხლართნენ.

### 9

ის კია, საქართველოს პოლიტიკა და სამხედრო მოქმედება ფრანგ მთავართა მიზნებისაგან იმით განირჩევოდა, რომ პირველი ხომ საკუთარ იჯახის, საკუთარი ქვეყნის მოწყობას, განთავისუფლებას და დაცვას მისდევდა. გარედან შემოსული მტრის განსახვებლად, და მათი სახლის გარშემო მტკიცე ზღუდის ასაგებად იბრძოდნენ ქართველები. ამასთან ერთად ჩნდებოდა ერთნაირი კავკასიელთა ერთობა — ერთობა აფხაზ-ქართველთა, სომებთა, „რანთა“ და იმიერ კავკასიელთა, ბრწყინვალე ქართველ ბაგრატიონთა თაოსნობით,

ჯვაროსანთა სამთავროები-კი შეჰქნა უცხოეთში, სხვის ქვეყანაში, თუნდაც რომ ქრისტეს საფლავი იქ ყოფილიყოს, დასავლეთ ევროპის ლთა სარწმუნოებრივმა აღფრთოვანებამ, რომის ეკკლესიის პოლიტიკამ, რაინდთა და აზნაურთა მხრივ „საქმეთა საგმიროთა“ და სახელის, ნადავლისაც ძებნამ, სავაჭრო და მეზღვაურთა ქალაქების სიხარბემ, საბერძნეთის გამზრახვებამ. ეს იყო ყოველ შემთხვევაში თავ-დასხმა, სხვის ადგილთა დაჭრა, იქ სამსედრო კოლონიებში გამაგრება და შემდეგ განუწყვეტელი ომიანობა მონაპოვარის დასაცავად; რაიც შესაძლო იყო მხოლოდ ახალ-ახალ ჯვაროსანთა ჩამოსკლით და დასავლეთის მუდმივი დახმარებით.

ამისათვის, მეორე მხრივ, სამუსლიმანო აღმოსავლეთის ჯვაროსანთა მიმართ რეაქციაც—რომელიც დასრულდა მე-ХIII საუკუნეში ფრანგ სამთავროთა და ქალაქთა სრულის წარხობით, და სამუსლიმანო ხელშწიფეთა მუდმივი მისწრაფება საქართველოს და კავკასიის დასამორჩილებლად ძალიან განირჩევიან ერთმანეთისაგან და ერთი საზომით მათი დაფასება არ შეიძლება. სხვა დებულების წამოყენებაც შეიძლება: მიუხედავად ქრისტიანობისა, ჯვაროსანთა და საქართველოს სოლიდარობა არ ყოფილა ღრმა და ორგანიული, არამედ უფრო დროებითი და წარმატებისაგან ნაშობი.

10

კერძოდ კი იმ შემთხვევაში რომელზედაც გვაქვს საუბარი, ე. ი. 1121-1122 წ. საყურადღებოა და ადვილია გასაგებად ის აღტაცება და თაყვანისაცემა, რომლითაც ფრანგი მექრონიკე გოტიე საქართველოს მეფის 1121 წ. გამარჯვებას იხსენიებს. ჯვაროსანთა თვალსაზრისით, დავითის ჯარი მათი ბუნებრივი მოკავშირეა, ჩრდილოეთის მეომარნი—მათი ნამდვილი ძმები ქრისტეს მიერ; და ამისდა მიხედვით უცქერიან მათ როგორც თანამებრძოლობა და მშველელთ.

იმდროინდელი საქართველო ერთის მხრივ, მართლაც რომ ჯვაროსნაც ჩაითვლება—და ამის ნიშნად ფულებზე დავით მეფე „ქრისტეს მონაც“ (აბდულ-მესიად) და „ქრისტეს ხრმლად“ იწოდება, მაგრამ ნამდვილი მდგომარეობა უფრო რთულია და უფრო შინაარსიანია. საქართველო ხომ მაკმადიანთა მუდმივი მეზობელი

იყო და მათი კულტურის ნაწილობრივი თანამოზიარე. მერე მუსლიმანობა დიდ ადგილობრივ მოვლენასაც წარმოადგენდა თვით კავკასიის ქვეყნებში და ქართველთა სახელმწიფო აზროვნება, როგორც უკვე აღნიშვნულია, ისახავდა ცარიელ ჯვაროსნობაზე უფრო ფართო ეროვნულ და სარწმუნოებრივ გეგმას.

ასე რომ „ჯვაროსნობა“ არ უნდა გვესმოდეს როგორც მტკიცე, ფრანგთა და ქართველთა შემარტობელი კაცშირი; მიუხედავად მათი ქრისტიანობით გამოწვეულ ამხანაგობისა ისინი ებრძოდნენ ერთს და იმავე მტკერს სხვა და სხვა მიზეზით, და მიზანიც და სული ერთი არ იყო.

გადავიდეთ ეხლა კერძოდ 1121 წ. ამბავთა განხილვაზე, უკვე ზემოდ გაკვრით რომ ვიგულისხმეთ..

## II

### 11

განთქმულია დავით ალმაშენებელის გამარჯვება შეერთებულ არაბ-თურქომანთა ძალებზე, ალეპოს (ალაბის) სულთნის ნადიმ ედდინ ელლაზის მეთაურობით, დიდგორთან (ქართლში), 14 აგვისტოს 1121 წ.—ძველი სამეფოს იქნებ. უდიდესი სამხედრო და საპოლიტიკო მიღწევა.

ამ ომს იხსენიებენ როგორც დიდ შესანიშნავ ამბავს, დავით II ცხ ჯვრების ცნობილი ძველი ალწერა (შემდევ ქართლის ცხოვრებაზი მოთავსებული) — მაგრამ უფრო დაწერილებით ძველი სომხური და მრავალი სხვა აღმოსავლეთის მწერლები, თანამედროვე და მერმინდელი; მათ შორის ისეთები, როგორიც არიან იბნ-ალათირ, ქემალ-ედ დინ, იბნ-კალდუნ; ასურული ქრონიკის ავტორი აბულ-ფარაჯ (იგივე, Bar-Hebraeus ად ცნობილი) და სხვანი. სომხებში კი დიდათ ფასობს თანამედროვე მემატიანე მათე ედესელის მოწმობა.

ამ წყაროებიდან აძლევბულ ცნობებით უკვე დიდი ხანია სარგებლობს ქართული ისტორიოგრაფია; ამ მხრივ ნაკლებად გა-

მოყენებულია მნიშვნელოვანი სურათი დიდგორის 1121 წ. ბრძოლისა ერთი—აგრეთვე თანამედროვე—ფრანგის კალმით აღწერილი. ეს მოწმობა ჯერ ერთი რომ ამტკიცებს აღმოსავლეთელთ ნაწარმოებში მოყვანილ ინფორმაციას; მერე უფრო ნათლად გვაჩვენებს დავით II-ის საქმეთა სიღიღლეს ევრიაპიელ, აღმოსავლეთში მებრძოლ ჯვაროსანთა თვალში; საშუალებაც გვეძლევა იმ დროინდელი საქართველოს ამაღლება და საერთაშორისო მნიშვნელობა ფართო პერსპექტივაში ვიხილოთ.

12

მისაღებია, რომ იერუსალიმის ფრანგთაგან დაპყრობამ (1099 წ.) და განსაკუთრებით შემდეგმა მათმა სირია-პალესტინაში დამყარებამ და მაჰმადიან ხელმწიფეთა წინააღმდეგ განუწყვეტელმა ომიანობამ საქართველოს „თურქობისაგან“ განთავისუფლება შესამჩნევად გაუადვილა. უფრო მართალი ვიქენებით თუ კი ვიტყვით, რომ საქართველომ (ჩრდილ რეგიონი) და ჯვაროსნებმა (სამხრეთში) თითქმის ერთს და იმავე დროს და პარალელურად სამუსლიმანო წინააზისი დასუსტებით და განხეთქილებით ისარგებლეს, მე-XI საუკუნის გასულს რო სუფევდა.

ისლამის ძალთა დიდ ნაწილს ჯვაროსანთა საფრთხე უფრო ზმელთაშუა ზღვისკენ იზიდავდა, ეს აშკარაა. და ამით საერთო მაჰმადიან იმპერიალიზმის კრიზისი უფრო რთულდებოდა. ქართველებს-კი შეეძლოთ მათი სახელმწიფო დაემკვიდრებინათ და უზრუნველყოთ. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო: დიდი მკაცრი ბრძოლა დასჭირდათ იმ მაჰმადიანთა ძალებთანაც, ჯვაროსანთ ომიანობის გარეშე რო დარჩნენ.

მალე კი თვით საქართველოს ძალამ საერთაშორისო საქმეებში იმდენათ იმატა, რომ მისი მოქმედების გავლენას მთელი წინააზია განიცდიდა.

კურძოთ, საქართველოს 1121 წლის დიდი გამარჯვება ჯვაროსნებმა ისე დააფასეს და იგრძნეს. როგორც საკუთარი ხეირი; ამისათვის არც გასაკვირალია რომ ქართლის სამხედრო ამბავთა ხმა სირია და პალესტინის ჯვაროსანთა ბანაკში გარკვეულად ისმოდა და

51

იქ ხალხს ახარებდა. სწორედ ამისი მოწმობა და გამომხატველი ნიშანია ის ნაწყვეტი ძველი, დავიწყებული ქრონიკისა, რომელსაც ჩვენ აწ ყურადღებას ვაქცევთ.

13

ეს არის ანტიოქიის ომების—*Bella Antiochena*—აწერა, შედენილი ანტიოქიის ფრანგული სამთავროის კანცლერის ანუ მწიგნობარის გოტიეს მიერ (*Gaulier-Galterius*). ფიქრობენ, რომ ეს გოტიე, ჩამომავლობით ფრანგი ანუ ნორმანდიელი, პალესტინაში ტანკრედის და ბოემონდ I-ის ჯვაროსნებთან ერთად ჩამოსულა. მის ნაწერში მოხსენებულია 1114-1122 წ. ამბები. სხვათა შორის იქ აღწერილია როვე ანტიოქელის გამარჯვება მოსულის ამირაზე (1115), და მისივე დამარცხება (1119), ალეპპოს სულთნის ნადიმ ედდინ-ელდაზის მიერ; მერე იერუსალიმის მეფის ბოდუენ II-ის მოხვლა ანტიოქიაში, რომელს მტერი უკვე ემუქრებოდა და ელდაზის ჯარების უკუქცევა.

ამის შემდეგ ჯვაროსანთა ფრონტი ამ რიგად გამაგრებულია ბოდუენ იერუსალიმელის მიერ, რომ დროებით სირიაში სიწყარე მყარდება. მაკმადიანები იერიშს არ იმეორებენ; არც მტრისა ეშინიათ; ელდაზი აწ ილაშქრება ჩრდილოეთისკენ—საქართველოს წინააღმდეგ. და ბელადობას კისრულობს იმ მუსლიმანთა დიდ კოალიციისას ჩომლის სასტიკმა დამარცხებამ დავით ალმაშენებლის სახელი შარავანდედით შეამჭი.

14

რომ კარგათ წარმოვიდგინოთ 1121 წლის ამბები ჩვენ უნდა თვალ წინ გვეონდეს მთელი იმდოოინდელი წინა აზია, კავკასიიდან ხმელთაშუა ზღვამდინ, ჩოგორუ პოლიტიკური და სამხედრო მოქმედების ერთი ფართო ასპარეზი. ამ თეატრის ზოგიერთ ნაწილებში—მაგალითად მცირე აზიაში, საბერძნეთის საზღვარზე რთული ადგილობრივი ძალთა თანასწორობა სუფევს.

ბრძოლას საერთოთ კი აკლია ერთობლივი ორგანიზაცია, მთავარი ხელმძღვანელობა.

52

## გარშემო ერთის ომისა

ჯვაროსანთა სამფლობელოში იგივე მეტოქეობაა და განხე-  
თქილებანი რაც მუსლიმანთა ბანაკში. აღმოსავლეთის ნამდვი-  
ლი მძლავრი რეაქტია ჯერ არ დაწყებულა, თუმცა მჩადებაშია; და  
ელლაზი სწორედ ერთი წინამორბედთაგანია.

ანტიოქელ ფრანგთა დამარცხება (1119 წ.), მერე მდგომარეო-  
ბის გამოსწორება ბოდუენ იერუსალიმის მეფის მიერ (1119-20 წ.), ეს  
როგორც ზემოდ უკვე აღნიშნულია, იყო ნამდვილი ძალთა ცდა,  
რომლის შემდეგ, იქ დროებითი სიწყნარე სჩანს. ელდ აზი კულავინ-  
დებურათ ძლიერი მოპირდაპირეა. ალეპპოს (ალაბის) მთავარი, იყი  
მარდინის მფლობელიც იყო, ასე რომ მისი გავლენა ჩრთილო სი-  
რიის გარდა მესოპოტამიაშიც შესამჩნევია; ესაა მისი ძალა. ფრან-  
გებს ებრძოდა ძლიერათ, ამით მისი სახელი შორს იყო განთქმული.

რომ იგი უფრო გარდამწყვეტ იერიშს უმჩადებდა ფრანგ სამ-  
თავროთ, და ამისათვის მოგავშირეებს ეძებდა, საფიქრებელია. მაგ-  
რამ ამასობაში კავკასიის ფრონტზე დიდი ამბები ხდებოდა და  
მწიფდებოდა; მდგამარეობა შეიქმნა სხეთი, რომ—შესდგა თუ არა  
სელჩუკ-თურქმან-არაბთა კოალიცია, მუსლიმან ძალთა პირველი  
დაკვრა მიმართული იყო სწორედ საქართველოს წინააღმდეგ; და აი  
ამ შეტაკების შედეგი იყო 1121 წლის დიდი დამარცხება.

გოტიე კანცლერის ცნობით, ელლაზის უნდოდა დავით II და-  
მარცხება, და მისი მოსპობა ანუ დამორჩილება, რათა მერე მთელი  
შეერთებული ძალებით იერიში მიეტანა ანტიოქია-იერუსალიმშე;  
ეს ახსნა ძალიან კარგათ ირკვევს და აცხოველებს მთელს სურათს;  
და გვიჩვენებს ცხადად, რა იყო ჯვაროსან მთავართა და ხელმძღვანელთ  
ნამდვილი ზრახვა, როგორ ფხიზელი და სალი გაეცემა პიონდათ  
მდგომარეობისა. მეორეს მხრით, ეს განმარტება ელლაზის გეგმასა  
გოტიეს მიერ სამჟედრო მოსაზრებითაც აღმართ სწორეა. ამნაირი  
მოქმედება ეგრედ წოდებულ შინაგან წაზებზე, მაკმადიან მეთა-  
ურთაგან ამორჩეული—მათი ცენტრში მდებარეობა თუ მივიღებთ  
მხედველობაში სირიის და კავკასიის შუა,—აღმართ გონიერი სტრა-  
ტეგიის წესებსაც ეთანხმებოდა.

მაგრამ გოტიე - თუმცა ეს ანტიოქიაში მყოფ ფრანგისაგან მოსალოდნელია - ცოტა აჩვიადებს თვით ელლაზის მნიშვნელობას 1121 წ. შემდგარ კოალიციაში, ომძღვი თითქმის მის პირად საქმე დ მიაჩნია. ეს ცალმხრივობაა; ელლაზის მიზნები ამ კავშირის მხოლოდ ერთი მიზეზთაგანია; მას სწვა საფუძველიც და საბაბიც ჰქონდა.

არაბთა მიერ დაწესებული, მერე თურქთა ხელში (ალბათ ადგილობრივ ძალებთან კომბინაციაში) შენახული ტფილისის სამირო და ძეველი ქალაქი ომძღვიც მეფეებმა, მიუხედავად მათი ცდისა კერ ვერ ჩაიგდეს ხელში, ეხლა ირგვლივ დავით II პოზიციებით გარშემორტყმულია. მეფის განჩრახვა ხომ უკუკველი იყო. მაშინ ტფილისის და სხვა ადგილთ მცხოვრებთა (ვისაც არ უნდოდა საქართველოსთან შემოერთება) დიდი ხევწნა და აგიტაცია დაიწყეს მუსლიმიან მეზობლებში; და ამ ხალხის დაცვას და, საერთოთ, მუსლიმან ამიერ-კავკასიის დაცვას საქართველოს ჰეგემონიის წინააღმდეგ მაპმადიან მთავართ უკარნახებდა არა მარტო პრესტიჟის ზრუნვა, არამედ გავლენის და მფლობელობის შენარჩუნების აზრიც.

ალბათ მათი ჭაქეზებით მოხდა - დიდგორის ომშე ცოტა ადრე - თითქმის ცდის სახით შედარებით პატარა ზემოსევა საქართველოში, როგორც სჩანს, განვის მხედრობისა, თომბა განჯა მეფეს მორჩილობდა. ამ შემოსევის სასტიკმა დასჯამ ძალიან აალელვა კავკასიელ მაპმადიანთა ერთი ნაწილი, და მათ ხევწნით მიმართეს მათ ჭირისუფალთ რაქსის გაღმა.

თავრის მჯდომი სულთანი თოგრულ, დიდ სილჩუკიან ხელმწიფეთა ჩამომავალი, ამ ამბავთა მსმენელი, არ ფიქრობდა განა საქართველოს კერ არ დავიწყებულ, და არც ისე ძვირ ქვეშამბრდომობას? თავრიზი დან. ამნაირად, მზადდებოდა ასე ვსტევათ სპარსეთის რეაქცია, საქართველოს ამაღლებით გამოწვეული და ამ სულთანს მზარს უჭერდნენ ყველა ის სამთავროები, ვისიც „მეფეთა მეღლელ“ ის იოვლებოდა. მეტის თქმა შეიძლება: კოალიციის სახით თითქმის აღდგენილი იყო - დროებით - სილჩუკიან სულთანთა და

## გამზემო ერთის ომისა

მათ ვასსალთა ერთობა. კოლიციაში მონაწილე „არაბთა მეფე“ დობეი ს-აბნ-სადაკა ფორმალურად სულთანის მოადგილედ ითვლებოდა პილლას, და მბრძანებელი იყო სირია-მესოპოტამის მოხერიალე არაბთა. ეს დობეისი ელლაზის მოკავშირე იმ ღმშიაც იყო, სადაც დამარცხდა როსუ ანტიოქელი. ასე რომ თავრიზიდან მაყურებელი აღმართ სულ სხვა აზრს გაივლებდა ამ კოლიციას მიხანება და ხასიათშე; და მის თვალში ელლაზი თოვრულის მოკავშირე და ყმა იქნებოდა.

ბრძოლა მზადდებოდა კავკასიაში მაქმადიანთ მონაპოვართა და-საცავად ანუ აღსადგენად, საქართველოს ამაღლების კი დასამხობად. ამ საქმეს და ჩრანებს ზოგადი სამუსლიმანო დიდი პოლიტიკის ელ-ფერიც ადვილათ ეძღვოდა, და ამისათვის ელლაზის და სხვათა მოკავშირეობა საერთოდ ისლამის დაცვის ხასიათს ლებულობდა.

მიზანთა და პოლიტიკურ მოსაზრებათა ამნაირი სხვა და სზვა-ობა არ უშლიდა, პირიქით—ალნიშულ პირობებში—ხელს უწყობდა მოკავშირეთა ტაქტიკურ ერთობას, იმ მწყობრ დაკვრას, ანუ იერიშს კავკასიის ფრონტზე, რომელსაც, გორის თქმით, თვით ელლაზი აუცილებლად სთვლიდა.

იერიშს? ამ მხრივაც მდგომარეობა მეტად რთული იყო და სანკტერესო.

აღმაშენებლის პოლიტიკა ეს იყო: თან-და-თან, მტკიცედ, შეუჩერებლად, საქართველოს განთავისუფლება; ტერიტორიის მოთარეშე მტკირთავან გაწმენდა: ამ მდგომარეობის განმტკიცება, საზღვრების აღდგენა; მერე, კავკასიური პოლიტიკის ნიაღაზე, სამეფოს გაფართოება. ამისათვის ძლიერი იარაღიც შექმნა—მუდმივი ჯარი. ტფილის. პირ და პირ ემუქრება.

ეს რა შეიგნეს მისმა მოპირდაპირებმა, იფიქრეს რომ მათ-თვის უკეთესი დაცვა ამ ხიფათისაგან ის იქნება, რომ სწრაფი იერი-ში მივიტანოთ საქართველოზე, სანამდინ მეტად არ დაგვიანდათ; და შეერთებული ძალებით ისეთი ვკრათ, რომ დაწყებული და რიალ ძლიერად წაყვანილი საქმე ერთბაშათ და საბოლოოთ ჩავშალოთ. ესეც მშვენიერი ნიმუშია „წინასწარი“ ომისა

## ჯვაროსანთა დროიდან

16

ეხლა ჩვენ ვიცით კოალიციის ხელმძღვანელ-მონაწილეთა მიზნები, და რა პირობებში შესდგა იგი. დაცუმატებთ, რომ სარდლობა ელლაპისათვის მიუნდვით — იმ მთავარისათვის რომელმაც დიდი სახელი მოიპოვა სწორეთ ჯვაროსან ფრანგთა შებრძოლებაში და ვინც ამ განთქმულ მეომართა მოგერიებით და თავდასხმით ომებში გამოცდილებით აღიჭურვა.

თვით საომარი ამერიკიათა შესახებ, ანუ უკეთ ვსთქვათ, მთავარ, გადამწყვეტ შეტაკებაზე, რომელიც მოხდა დიდგორითან ქართლში, აგვისტოს შუა რიცხვებში, — ალბათ 14 აგვისტოს 1121 წ., ცნობებია შენასული, სხვა და სხვა გვარი, ზოგი მოკლე და შინაარსით მძიმე, ზოგი გაზვიადებული და უშინაარსო. ვუაღოთ ამ ცნობების საშუალებით და მათი ჯეროვანი განმარტებით შეძლებისა მებრ ბრძოლის მიმდინარება, მისი სქემა აღვადგინოთ.

მაგრამ რა ძალები ჰყავდათ მოპირდაპირეებს? მათეს ცნობები (კოალიცია: 600.000; დავით II: 60.000) და გოტიესაც (კოალიცია: 800.000; დავით II: 80.000) ხომ წმინდა ფანტაზიად უნდა ვალიაროთ, რამდენად ეხებიან კოალიციის ჯარს. არის სხვა ცნობები, მაგრამ საკმარისია ვსთქვათ, რომ ღრმის და ეკონომიური შესაძლებლობათა მიხედვით, ექვს ნიშნოვან ჯარზე ლაპარაკიც არ შეიძლება; კოალიციის ძალები, შესაძლებელია, რომ რიცხვით სჭარბობდა; ერთი კი უეჭველია, რომ ეს ომი, მაშინდელი საზომით, დიდი მასშტაბის სამხედრო შეჯიბრებას შეადგენდა.

17

მოკაფშირეთა მთავარი სამხედრო და პოლიტიკური მისწრაფება იმ დიდი ცოცხალი ძალის ამოწყვეტა იყო; რომელიც აღმაჩენებელმა სწორედ ბოლო წლებში შექმნა და შესაფერად მოამზადა. ამ მიზნის მისაღწევად, საჭირო იყო მოქმედება სწრაფი, გადამწყვეტი, თავზარდამცემი; და ამის საშუალება ერთი პქონდათ — რომ დიდი ცხენოსანთა ჯარებით ერთბაშათ იერიში მიეტანათ მტერზე, და ამ დამკვრელი ძალის სიღიღით, წონით და იერიშის სისას-

56

## გარშემო ერთის ომისა

ტიკით წინააღმდეგობა თავიდანვე ჩაეშალათ და მტერი წაექციათ.

სწორეთ ამისათვის შეკრიბება საუკეთესო მხედრობა ესე იგი ცხენოსანი ჯარი, მთელ დიდ მანძილზე, სირიიდან დაწყებული კავკასიამდე; ეს იმ დროის განთქმული საომარი ძალა იყო. მხედარნი სხვა და სხვა გვარ ადგილობრივ ჯიშთაგან, არაბულ-სპარსული განათლებით და მაკმადიანობით ერთმანეთში დაახლოვებული, თურქთა და თურქომანთა ახალი სისხლით გაძლიერებული, კარგ სხენებზე მჯდომი, აგრეთვე ძველ ჯიშთაგან არაბული და შუა აზიის სხენთა სისხლით განახლებული.

ერთი გარემოება იყო მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სელსაყრელი: ტფილისი და ანისი მათი იყო და ეს ერთეულები, მათ მცხოვრებთა სიმრავლით, სიმდიდრით, ვაჭრობა-მრეწველობით, ზღუდეთა სიმაგრით და მიდამოების ნაყოფიერებით, წარმოადგენდენ მათთვის ძეირფასს და საუკეთესო ბაზებს და ეტაპებს. იქ ჯარის იყო, მეცნიერების, იარალის და საჭირო მასალების მაღაზებიც, და ეს ხომ დიდი შედავათი იქნებოდა.

ანისის მიმართულება და ანისით საჩეგბლობა ტფილისის მისაღწევად, აიხსნება აგრეთვე—და იქნება პირველად ყოვლისა, იმ ჩინებულ საბალახოებით, თივის, ქერის და სხვა სანოვაგის სიუხვით, რომელიც გრილ ჰავასთან ერთად, ანისის პლატოს ახასიათებენ როგორც მშენების ადგილს, მრავალრიცხოვან კავალერიის გამოსაკვებად, შესანახავად, მასასენებლად.

ტფილისხედაც ეს ითქმის, თუმცა ნაკლებად. მაგრამ ტფილისი და მისი მიდამოების კრიტიკული ელდაზის ბრძოლას მაინც ფრიად უადვილებდა, რადგან შეადგენდა მისთვის უკანასკნელ ბაზას ანუ დამზადებულ ეტაპს, ბრძოლის ველთან უკვე მწიდორდ დაახლოვებულს.

ბრძოლის ველი რა მოხდა მთავარ შეტაკებამდე, ასადად არ ჩანს. ამის ზემოაღნიშნული ხასიათის მიხედვით, ელდაზი ალბათ ჩქარობდა იერიში მიეტანა ქართველ-კავკასიელთა ძალებზე, და ეძებდა ომის სწრაფს გარდაწყვეტას ქართლის ველზე, მაგრამ ამისათვის

## ჯვაროსანთა დროიდან

ხომ საჭიროა მტრის მთავარ ძალთა აღმოჩენა და მერე მათთან შებრძოლება. ეს მოხდა კიდევ—14 აგვისტოს, მაგრამ მოხდა იქ, სადაც ეს დავით II სარდლობამ მოისურვა და იმ პირობებში, რომელიც მანვე მოიწონა და ხელსაყრელად ჩათვალა.

ბუნდოვან შენახულ ცნობებიდგან—და ამ მხრივაც ფრანგი მემატიანე ძეირფასია—ის დასკვნა შეიძლება, რომ ქართველებმა არამარტო ბერძლა მიიღეს მათმიერ განგებ ამორჩეულ ადგილზე, არამედ მათი პოზიციები გაამაგრეს დაბურულ ტყეში ჯებირებით, ე. ი. იმ საშუალებით რომელიც კავკასიაში ალბათ ყოველთვის ხმარებაში ყოფილა და რუს-მთიელთა ომებიდგან კარგათ ცნობილია. ამ დიდ ბარიკადებით ჯერ საკუთარი ზურგი უზრუნველყოფეს იერი-შიდგან, საიდანაც მოსალოდნელი იყო. და ყოველ შემთხვევაში ამით გზა შეუკრეს იმ რაზმებს, რომელმაც პირ-და-პირ მაღლა აბანი გადალასა—ქართველთა ჯარზე მოულოდნელ თავდასხმის იმედით და მერე წინა ფრონტზე ამ საშუალებითვე ალბათ უნდოდათ მხედართა იერიში შეეფერხებინათ, და საქართოთ კავალერიის მწყობრი დაკვრა დაებრკოლებინათ. ეს ჯებირები იმავე დროს ალბათ ისავდა მრავალ-რიცხვოვან ქართულ ისრით მსროლელთა რაზმებს: რომ ამგვარ გამაგრების გეგმის შემუშავება, ადგილობრივი ტაპოგრაფიის მიხედვით ჯებირის აშენება და დაცვა. მრავალ-რიცხვოვან ჯარის წინააღმდეგ—იგულისხმებს დიდს ორგანიზაციას, რიცხვოვან მუშა-ხელის და მასალების მოყვანას და მოტანას, ადგილი გასაგებია. შევ-ნიშნოთ აგრეთვე, რომ აგვისტო თუ ცენოსანთა მოძრაობისათვის სარიელ მინდვრებში კარგი დრო იყო, ქართველებსაც ხელს უწყობდა: პურის მცა გაუთავებით, რთველი ჯერ შორს იყო..

მაგრამ მთელი მხედრობა, ხომ ამ ჯებირებშე იერიშს ვერ მ ი იტანდა! საქმის ეითარება, შესაძლებელია, შემდეგი იყო: ერთმა მხარემ, როგორც მეორემ კარგად იციდა, თუ სად იმყოფებოდნენ მოპირდა-პირის მთავარი ძალები. როცა ელლაზის—თოვრულ-დობეი: სის ჩევდორობა გაშლილ მინდორზე დარაზმვას შეუდგა, მეფემ მცირე რჩეულთა რაზმი გაგზავნა მტრის მოწინავესთან. შესაბრძოლი..

## გარშემო ერთის ომისა

ბლად; ოომ მერე სწრაფი უკუქუქცევით, ელდაზის საომარი წყობა შე-ეშალათ; და მისი მთავარი ძალები გაურკვეველ მდკომარეობაში ჩაეყენებინათ. ჯებირები სხვა-და-სხვა ადგილებში—ოომ აღმოაჩინეს, ამ საფრთხის ასაცდენად, მთელი გეგმა უნდა შეუცვალათ; ამასობაში-კი მეფემ, ისარგებლა რა ამ აშლის და მოულოდნელ გართულების წუთით, მისი მთავარი ძალებით ელდაზის მხედრობაშე იერიში მიიტანა; მოხდა საშინელი ბრძოლა, სადაც მთელი სამეფოს ძალები და მათი მოკავშირე ოს ჩერქეს შირვანელთ მეომარნი და მეფის საკუთარი მუდმივი ჯარი წინა აზის საუკეთესო მხედრობას შეეჯახნენ. აქ რჩეული რაინდები ორივე მხრის, ერთმანეთს შეებნენ. და მთელი რაზმები ხმალ-და-ხმალ ჩართულ ომში ბეჭს შეეცადნენ.

20

მთავარი შეტაკების შესახებ ცოტა ცნობებია შენახული. ჩანს რომ იგი დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ერთის მეტი ალბათ სხვაც იქნებოდა. კოალიციის ძალები ყველგან სასტრიკად დამარცხნენ, და ამ დაქმ სოული გამარჯვება მოუტანა დავით II-ის დროშას.

ამას, ამ 14 აგვისტოს ბრძოლას იხსენიებენ განსაკუთრებით მრავალი მწერლები, როგორც ზემოდ ალნიშნულია. ამ მარტივ სახით ხალხმა და მარტინებმა დაიზეპირეს მომხდარი ბრძოლა.

ნამდვილად-კი საქმე სხვანაირად წარმოებდა. ტფილისი და ანისი (სხვას რომ თავი დავანებოთ) მათი დიდი რესურსებით და მრავალგვარ საშუალებით ხომ იქვე იყო გადარჩენილ დამარცხებულთა მისალებად და მათ ძალთა ალსადგენად. და აი რომა მოკავშირეთა მთავარ ძალებმა თავს უშეველეს და ტფილის მიაშურეს—იქნება, შედარებით, მწყობრათ, და მათ სარდალთა წინამძღვალობით—სწორეთ მაშინ ღაიწყებოდა მთავარი ოპერაცია დავით II ჯართა, ნამდვილი მაჩვენებელი მათო წრთვის და ორგანიზაციისა. ეხლა ქართველთა სარდლის ჯერი იყო. მტრის ცოცხალ ძალთა დარღვევაზე ეფიქრა. მან უბრძანა უკუქუქცეულ ელდაზის მხედრობის დევნა.

თვით ტფილისის ქალაქში, რასაკვირველია, ბევრი ჯარი ვერ შეიჩინებოდა, რომ მისი ზღუდეებით თავი დაეცვათ. და რაც გალავანის და ციხეების გარეთ იყო, ხომ უკვე ბრძრლის—უკეთ ვსოქვათ დევნის—ასპარეზად იქცევოდა.

59

ეს დევნა, მათე ედესელის მოწმობით, მთელ რვა დღეს გა-  
გრძელდა—ანისის მიმართულებით, თვით ამ სახელოვან ქალაქამ-  
დინ, და გათავდა მტრის ძალთა თითქმის სრული განადგურებით.  
რომ მეფის მდევარი მრავალ რიცხვანი და „ცენ-კეთილი“ უნდა  
ყოფილიყო, და ომში მეტად გამოცდილი, ეს ცომ ცხადია; და რომ  
უკუქცევის და დევნის მთავარი მიმართულება ანისისკენ ყოფილა,  
აიხსნება, უკვე ზემოდ თქმულის გარდა, იმითაც რომ თვით ელაზის  
და „არაბთა მეფის“ სამშობლოში დაბრუნების ბუნებრივი გზა ეს  
იყო.

ამნაირ დევნას, გარდა პოლიტიკურ-მორალურის და სამხედ-  
როისა, აგრეთვე ის მიზანი ჰქონდა, რომ მტრის ბანაკები მთელი  
ბარგით, ნადავლით, საქონლით, მრავალ-გვარ სიმდიდრით და ური-  
ცხვი ტყვე ხელში ჩაეგდოთ.

და ამ მხრივაც ალწერილ ომის შედეგი განთქმული დარჩა სა-  
ქართველოს ისტორიაში: ტყუილად არ ამტკიცებს დავით II ცხოვ-  
რების ალმწერი, რომ „ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვერცხ-  
ლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვები-  
თა“ და სხვა და სხვა აბჯრით, ძეირტას ჭურჭლით, იარალით და სხ.

საფიქრებე უია, რომ იმ შემოდგომას საქართველოს მარნებში  
გამარჯვება შესაფერად იდლესასწაულეს; და არც ტაძრებში საწეი-  
მო წირვანი იქნებოდენ სიდიადეს მოკლებულნი.

დიდგორთან რო გაიმარჯვეს ქართველებმა, ეს მარტო ტაქ-  
ტიკური, თუმცა დიდი ხეირი როდი იყო; არამედ სტრატეგიულა-  
დაც ბოლომდე დასრულებული სამხედრო მოქმედება. მოწინაალ-  
მდეგეთა ძალები და თვით მათი კოალიცია დაირღვნენ.

ამ საბოლოო მიზნით დიდი სტილით წარმოებული ოპერაცია  
(დევნა), და იმავე დროს ტფილისის დროებით გვერდზე დატოვება  
(ალბათ ალყა ჰქონდა შემორტყმული, მეტი არაფერი).—იმ ტფილი-  
სის, საუკუნოთა განმავლობაში საქართველოს გარეშე, უცხოთა  
ხელში რომ იყო, მრავალ თაობათა ნატვრის საგანი—ესაა ამ ომში

განსაკუთრებით საყურადღებო, ნამდვილი სარდლობისა და პოლიტიკური ნიჭის საუკეთესო მაჩვენებელი.

ტფილისის აღება იმ დროდე გადადევს, სანამ ომის მიზანს მიაღწევდენ. მაპმადიანთა სრული დამარცხების შემდეგ კი, ტფილისიც მათი ხანგრძლივი ბატონობის ბურჯი, ხელში ჩაუვარდა—არც ისე თავის თავად და არც ისე ერთბაშად—ერს და მეფეს; მწიფე და დამსახურებული ნაყოფი მათი შორმის და თავდადებისა (1122).

ამით საქართველოშ ჰეიინა ქართლის ძველი დედა ქალაქი, აწ ამიერ-კავკასიის საქმეთა განგებლობის და ხელმძღვანელობის ცენტრი.

ტფილისის შემდეგ ანისის შემოერთება (1123 წ.) დიდ შნიშვნელოვან საქმედ უნდა ჩაითვალოს. ეს მოხდა თვით ამ სახელოვან ქალაქის მკვიდრთა სურვილით, ე. ი. მათთან შეთანხმებით. დიდგორის გამარჯვებამ ალბათ დაარწმუნა ანისის მოქალაქეთა ერთი ნაწილი, რომ რომ განთავისუფლებისა დადგა; ასე რომ ესეც უნდა გვესმოდეს როგორც პოლიტიკური შედეგი 1121 წ. ომისა. მაგრამ აქვე გამოიხატება სომხეთის ჩრდილო ნაწილთა ზოგადი მიმართულება, მათი სურვილი ქართველთა სამეფოსთან შემოერთებისა. ესეც ნაყოფია დავით II პოლიტიკის სომხეთა მიმართ: აკი ანისის ტაძრის ხელ-ახლად კურთხევა (მაპმადიანთა 60 წლის ბატონობის შემდეგ) მათთვის ეროვნულ ზეიმად გახადა.

რომ ამ ორ შემთხვევაში (ტფილისის და ანისის საქმეებში) კონპრომისის პოლიტიკას (ტფილისის—მაპმადიანებთან; ანის—მათთანავე და სომხებთან) დიდი აღგილი ეჭირა, ესეც ხომ უეჭველია. უმთავრესი კი ის არის, რომ ამ დაწინაურებულ ქალაქთა, ტფილისის და ანისის, შემოერთებით აქამდინ უფრო სოფლურ და ფეოდალურ საქართველოს წინ საბოლოოდ იშლება გზა კავკასიის ერთა წინამდებობისა, მათი კავშირის დამყარებისა. მიზანი მძიმე და რთული; გზა „ვიწრო და კლიფები“—მაგრამ ეს იყო აღმაშენებლის დიდი აზრი.

რასაკვირველია, ეს ბრძოლა მხოლოდ ერთი საფეხურია ძალა-  
თა თანასწორობის იმ დიდი ცვლილებისა, სელჩუქთა სასელმწიფოს  
დაშლამ და საქართველოს გამაგრებამ რო მოიტანა და რომელიც  
ჯერ საქართველოს სრული თავისუფლების აღდგენით იხატება, მე-  
რე კი მასი დამოუკიდებლობის განმტკიცებით, კავკასიის ერებთან  
შეკავშირების და მათზე პეგემონიის ნიადაგზე.

ამ მხრივ 1121 წელს საქმე უკვე მკვიდრ საფუძველზე იყო აგე-  
ბული. კახეთის აღრინდელი შემორთება, შირვანთან დაახლოება,  
სომხეთში ბევრ ადგილთა, მათ რიცხვში ლარეს, დაჭერა—ამიერ-  
კავკასიაში უკვე ახალ მდგომარეობას ჰქმნიდა, ძალა სულ სხვა  
განწყობილებას ამზადებდა; და მუდმივი ჯარის მეფის მიერ და-  
წესება ხომ აშკარად ხდიდა სხვა მომავალ ცვლილებათა აუცი-  
ლებლობას.

სწორეთ 1121-3 წლებში ეს ცვლილებანი მოავლინეს და გაო-  
ცებულმა თანამედროვეებმა, შიგნით და გარეთ, უცებ იხილეს ახა-  
ლი საქართველო, ძეველ საძირკველზე გაორკეცებული ძალით და  
ერთა უკავშირებით აშენებული.

შაგრამ ამ სახით საქართველოს და კავკასიელ ერთა გზა ჯვა-  
როსანთა მისწრაფებიდგან ხომ შესამჩნევად განირჩევოდა; არც მათ  
თანამშრომლობას ჰქონდა მომავალი ჩვენ ენახეთ 1119-21 წ. ამ თა-  
ნამოქმედების ნიმუში: ეს გამონაკლისია.

საქართველო ოოგორი ბუნებრივი ნაწილი, წევრი იყო იმ  
აღმოსავლეთის, რომლის დაპყრობას ჯვაროსნები ლამობდნენ;  
ხოლო ამ ნიადაგზე ის საკუთარ, თავისებურ სახლს აშენებდა. ჯვა-  
როსანთაგან არც ხსნას და შველას მოელოდა საქართველო; არც სა-  
ჭიროებდა იმ დროს მათ დახმარებას და არც იფიქრებდა მათთან  
კავშირზე. მისი პოლიტიკის მიზანი, ფარგალი და საშუალებანი  
სულ სხვა იყო.

სომხეთის ახალშენმა კილიკიაში, ხმელთა-შუა ზღვისკენ მიმართულმა, პიზა-გენუა-ვენეციის ხომალდთა სამფლობელოსკენ,—პირი იქით, სწორეთ დავით II დროიდან მოყვილებული, მოისურვა თავის მომავალი ფრანგთა კავშირზე დაეყრდნო; და ჯვაროსან სამთავროთა ბეჭს საკუთარი არსებობა შეუერთა. ამისი დაბოლოვება მე-XIV საუკუნის დიდი კატასტროფა იყო; რომლის განმეორება—ანუ ჩაგრძელება,—იქვე კილიკიაში და სხვაგან—სხვა სახით, უკვე ჩვენს დროს, 1914-1924 წ. უკიდურესი დრომით ამნაირადვე დასრულდა.

24

დავით აღმაშენებელი საქართველოს ეკლესიამ წმინდანად აღიარა; ეს სარწმუნოებრივი შარავანდედი მის ხელმწიფურ სახეს საიდუმლო სამგაულით ამშვენებს და მისი ნამდვილი მნიშვნელობის გაგებას ჩვენთვის ცოტა ართულებს.

რომ იგი ლრმად მორწმუნე კაცი და ქრისტიანი მოსავი, ლვთის მსახური მეფე იყო, ეს უეჭველია. მაგრამ ეს არის მთელი იმ დროის დახასიათება, და კერძოთ, მეფეთა სავალდებულო წესი.

აღმაშენებელი, მხურვალე ქართველი ქრისტიანია, სომხებთან სულით და გულით დაახლოებულია; მაკმადიანთაც უპატრონებს. იგი პირველად ყოვლის ხელმწიფე, პოლიტიკურად მოღვაწე, შემართებელი, ზოგადზე და არა კერძოზე მოვიქრე.

ეს დიდი მმართველი, მეომარი, წიგნთ მკითხველი და მონადირე, ლვთის და კაცთა წინაშე—წმინდანია? ამგვარი, საშუალო საუკუნოებში ჩვეულებრივი, ეროვნულ უდიდეს გმირთა აპოთეოზი— მისთვის დამსახურებული ჯილდოა. ხოლო აწინდელი კაცის თვალში ამ დიდ მომენტ პიროვნებას და მის დროსაც არ უხდა ავიწროებდეს.

...როდესაც საჭიროება მოითხოვდა, იგი მრისხანე, თავ-ზარამატებიც იქნებოდა. ტფილისი რომ აიღო, ბევრს დედა უტირა; „ორგულთათვის“ ულმობელი იყო. და არა ერთხელ ალბათ.

მასთა მჭვრეტა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომსა თათი.

დიდი სარდლის და სახელმწიფო მებრძოლის წმინდანად აღიარება, უფრო იმ ეპოქის აზრთა მიმართულებას ახასიათებს, და ნა-

## ჯვაროსანთა დროიდან

კლებად თვით დავითის ლვაწლს გვიშუქებს. და შეადარებთ რა მის ქებას ქართველთა მიერ, სომეხთ ხმასა, გულწრფელ დიდებას რომ უგალობენ, და მუსლიმანთა ხოტბას; როცა გაახსენდებათ ანისის ტაძრის სახეიმო კურთხევის ამბავი, ანისი რომ განთავისუფლეს; და მეჩითებში მეფის მიერ ლვთის სამსახურის ხშირს თანდასწრებას, უნებლიერ აზრი გეპარებათ, რომ ეს მეფე, მაღალ-სულოვანი ქართველ-სომეხის, დიდი დავით კუროპალატის ნამდვილი მემკვიდრე, დაბადებული ხალხთა წინამდლოლი, მიუხედავად მის რასაც თავის სინიდისის სიღრმეში გრძნობდა, იმ ქართველთა ნამდვილი წინამორბედია, ვინც ლრმა აწმენასთან და მსოფლიო ჭმუნვასთან ერთად, სარწმუნოებრივ სალმხრივობაზე ამაღლებულ სულს ატარებდნენ—იმ ქართველთა, ვის წრეში და ვისთვისაც შემოგ დაიწერა „ვეფხის ტყაოსანი“! ।

25

ამნაირი აზროვნება და გონების რთული განწყობილება—მაღალი კულტურის ნიშანი—საქართველოს ზემო აღწერილ პოლიტიკურ მიზანთა მისაღწევად აუცილებელი იყო.

მაგრამ თვით ეს მიღწევა იმ პატრონ-ჭმური კავშირით შეზღუდული იყო, რომელმა, მართლა შესაძლოდ გახადა მაგალ. სომხეთის და შირვანის საქართველოსთან გასასალური დაკავშირება. თვისი ბუნებით კი ადვილი დასარღვევი იყო.

ქართველ-სომეხ-მუსლიმანთა შეჯგუფების მომავლის დასამტკიცებლად და უზრუნველსაყოფად, საჭირო იყო ჯერ თვით საქართველოში სახელმწიფო წესწყობილების უფრო სრული დამყარება (აგრეთვე სომხეთსა და შირვანშიც); ეს კი მოითხოვდა მუდმივ სახელმწიფო გამოგონებას, შემოქმედებას, რომლისთვის შესაფერი სახოგადოებრივი პირობებიც ხომ საჭიროა; და ამ მხრივ ის ეპოქა საკმაოდ როდი იყო დაწინაურებულია.

26

შემდეგში რაც უნდა მომხდარიყო, ის კი უეჭველია, რომ წარსულ თაობათა მიერ დაწყებული საქბე დავით II-ის საქართვი-

64

## გარშემო ერთის ომისა

ლომ ნამდვილი ხელმწიფური წესით და სახელმწიფო უნარით შეასრულა.

ხოლო ამ ძლიერის მკლავით გამაგრებულ ბალავარზე, ქართველებმა ვერ შესძლეს მტკიცე შენობის აყვანა, რის მიზეზიც მრავალგვარი იყო.

ამითი არ შემცირდება მე-XII და მე-XIII საუკუნოთა საქართველოს ლირსება და მაღალი ხარისხი. თავის—აწ საკმაოდ გაფართოვებულ სფეროში, ხმა მაღლა ამტკიცებს საკუთარ არსებობას, და მას ბრწყინვალედ პფარავს „დროშა სვიანი, დავითიანი“.

ისტორიის შარაგნათაგან აწ ცოტა მოშორებით მდებარეს—ლათინურ დასაკულეთან ნაკლები ურთიერთობა აქვს. მაგრამ მასაც ამ დროს ამკობენ მშვენიერი და ნაზი ყვავილები ერთა გაფურჩქვნისა—წარმავალი, მძლავრ ძალთა დაახლოვებით რო სჭირდებიან (პროვანსი, ანდალუშია...).

მე-XIII-ე საუკუნის ქარიშხალები უკვე ვერ აიტანა საქართველომ და დაცემის გზას დაადგა... ალორძინებამდე.

ეს ისტორია სულ სხვა რაშეა, და გრძელდება შვიდ საუკუნოთა მანძილზე.

მაგრამ განვიშეოროთ, მიუხედავად იმისა რაც შემდეგმა განვითარებამ სხვა პირობებში მოიტანა, დავით II-ის დროის მიღწევა, ახალი ეპოქის სულით გაელენთილი, იყო ძველ ქართველთა მისწრაფების და ლვაჭლის-ნამდვილი დაგვირგვინება.

1125 წ. მეფემ უანდერძა თავის მემკვიდრეებს დიდი სახელმწიფო, სიცოცხლით სავსე ერი—უკეთ ვსთქვათ, ერები, და—ნიჭი უძვირფასესი-პოლიტიკური სიბრძნე-ხელოვნების რთული და სრული გაპვეთილი.

გოტიე-კანცლერის „ანტიოქიის ომები“.

ომი II. მუხლი XVI.

1121—1122 წ.

III. კერძოდ რას (გეტყვით)? (ალაბით) წამოსულმა (ელლაზიმ) თურქმანთა და აგრეთვე არაბთა ურიცხვი ჯარი შეკრიბა, და ამ შეკრებულთა სიმრავლე რომ ნახა, უალრეს ამპარტაენებით გათა-მამებულმან, დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშქრობა გადა-სწყვიტა, ერთ ხორასნელ სულთანთაგან ერთათ; რათა მისი დაქცე-ვის ანუ განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულიად შეუდგეს იღრუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყ-ვეტას. ხოლო მას სიამყით მოლაშქრეს დვთის რისხვა წინ უდგა: იმავე დღეს როდესაც სულთანი და თვით ელლაზი ექვსასიათასი მე-ომრით მეფის ქვეყანაში საომრად შესულან, ესე მეფე დავით, წმიდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი, ოთხმოცი ათასი მიღიერ და ქრის-ტიანე მეომრით, მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დადგა, ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც ხმები იყო რომ მტერნი შე-ტევას უპირებდებ; დადგა და წარმოსთქვა ესრეთ: „ეჭა, მეომარნო ქრისტესან! თუ დვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დაგამარცხებთ. და ერთს რამეს გირჩევთ; რაც ჩვენი პა-ტიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება, ესაა რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისაღმი აღყურობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკდებით, ვიდრე გავიქცევით; და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულგართ, ხეთა ხშირ ხორგებით შევკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიაზლოვდებიან ჩვენშე იერიშის მასატანად, სასტიკად შევუ-ტიოთ“.

## გარშემო ერთის ომისა

ამისთან მეფის, ამ ჭეშმარიტის და სრულის ქრისტიანის, აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებულიც ყოფილა.

IV. არც დაუგვიანდა: მეფემ თვითონეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგის მეომარი, რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკვრათა მისაცემად; მყისვე ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე, ჯარის-კაცთა ძლიერი ყიუინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურობით, ურჯულოთა ზარ-დამცემი ბაირალებით ჩნდებან, და იმავე დროს, სხვა და სხვა გვარ საკრავთა ხმაურობათ მთა და ბარი ბანს აძლევენ. ხოლო მეფე დავით, ამდენ სიმხეცეს მოთმინებით განიცდის, და თავისიანებს მამაცი სულით ამხნევებს და ანუგეშებს; უმტკიცებს, რომ ურჯულოთა გაამაყებული სიმრავლე, ძალითა და შეწევნითა წმინდა ჯვარისა, ნაკლების ჯარით და სწრაფად დაითრგუნება. ამის შემდგომად, დაინახეს რა ურიცხვი ბრბო, ქრისტეს მსახურნი, ამაყის სულით გატაცებულნი, უალჩესი ყიუინით თავს დაესხნენ მათ; ხოლო უფლის ძალით. პირველ შეტაკებასთანავე ბრმავდებიან და ფრანგთა მიერ გაქცეულნი იფანტებიან. ლეთის თითის ქნევით, ბოროტნი ქრისტეს-მსახურთა და მიღიელთა მასევილის მსხვერპლად იქცევიან; და გავიგეთ ამ ომის მნახველთაგან, რომ სამი დღის მანძილზე გაქცეულთა ოთხასი ათასი მოისრნენ მეფის მახვილითა.

თვით კულაზი თავში დაჭრილი, დაპკარგა რა თითქმის ყოველივე, უფოს ნებართვით მცირეოდენ ლტოლვილით, უიარალო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძლოლობით სახლში დაბრუნდა, ნახევრად მკვდარი...

### Galterii Cancelarii Bella Antiochena

#### II. Bellum. Art. XVI.

A. 1121-1122

P. 130-131 ed. de Riant.

III. Quid singula? Profectus, tam Turcomanorum quam et Arabum gentem praemaximam congregat, et, his congregatis visa tanta multitudine, elatione immensae superbiae correptus, statuit cum

uno soldanorum Chorocensium super regem David in Medium equitare, ut, eo peremptio vel exhaeredato, libere et absolute valeret Jerusalem et Antiochiam, peremptis christianis, suo dominio subdere. Ipsi vero cum superbia equitanti ira Dei obstitit; eo namque die, quo soldanus et ipse Algazi cum sexcentis millibus terram regis bellaturi intraverunt, ipse idem rex David, signo sanctae Crucis prae-munitus, habens intra Medos et christianos quater viginti millia pugnatorum, factis agminibus inter duos montes densissimis nemoribus insitos, in valle restitit, qua, ut fama retulit, super eum hostes ingredi praesumebant; restitit, et sic locutus est: « Eia, Christi milites! Si prolege Dei tuenda legitime certaverimus, non solum innumerabiles satellitum daemones, verum etiam ipsos daemones ex facili superabimus. Est antem consilium, quod intueor, si laudatis, nostro honori nostraeque utilitati profuturum, hoc videlicet, ut, erectis ad cælum manibus, cuncti potenti Deo promittamus, pro amore ipsius in hoc belli campo ante mori quam fugere et, ut fugere nequeamus, etiam si velimus, patentes hujus vallis aditus, quibus intravimus, densissimis lignorum struibus constipemus, et constanti animo hostes e proximo in nos certare præsumentes acerrime persecutianus ». Quid singula? Tanti regis, veri et perfectissimi christiani, laudata, probata et perfecta stat sententia.

IV. Nec mora: dispositis aciebus singulis, rex ducentos milites Francigenas, quos habebat, ad primos ictus inferendos ante posuit: statimqne in altera parte vel fronte vallis, cum ingenti hominum clamore, equorum et armorum strepitu constipato, sceleratorum vexilla prodeunt ferocissima, et, his accendentibus, diversorum instrumentorum sonitu intonant undique montes cum vallibus. Rex autem David tantorum ferocitatem humillimi praestolatur, suosque incitat virili animo et consolatur, asserens elatam infidelium multitudinem, coope-nante virtute sanctae Crucis, parva manu et brevi posse conteri. Nec multo post, visis christicolis, infinita multitudo, spiritu superbiae exagitata, cum immensis clamoribus in eos irruit; virtute vero Domini in primis ictibus excaecati, Francorum manibus corrunt, in disper-

sionem effugati, ut quid singular. Perfidii nutu Dei christicolis et Medis una praebentur caedis materia; et, ut proserio existentium in conflitu didicimus, in fuga spatio trium dierum habita, corruerunt regali gladio quatuor centum millia. Idemque Algazi, in capite vulneratus, peremptis paene omnibus suis, permissione Domini cum paucis effugatus, inermis et famelicus conductu regis Araborum repatriavit semimortuus.

### შ ე ნ ი მ გ ნ ე ბ ი.

Galterii Cancellarii *Bella Antiochena*, დაწერილი 1122 წ.  
ანუ ცოტა შემდეგ, დაიბეჭდა პირველად 1611 წ. Bongarsius-ის ცხო-  
ბილ გამოცემაში *Gesta Dei per Francos*. მთიპოება სხვათა  
შორის Migne-ის დიდ კრებულშიც.

არსებობს ორი კრიტიკული გამოცემა: а) ფრანგ მეცნიერის  
de Riant, ჯვაროსანთ ღამების ისტორიულ წყაროთა დიდ  
in-folio Institut de France-ის გამოცემაში: *Recueil des historiens  
des Croisades.... Historiens occidentaux. T. V. P. 1895;*

ბ) უალკე გამოცემა, ბევრი მრავალგვარი შენიშვნებით etc  
როგორც შეეფერება გერმანელთა სიბეჭითებს: Galterii Cancellarii  
*Bella Antiochena*, mit Erläuterungen und einem Anhange  
herausgegeben von Heinrich Hagenmeyer, Innsbruck, 1896.

გოტიეს მოწმობა მოკლედ მოთავსებულია Brosset-ის მიერ  
მისი სასაჩვებლო კომპილაციის სხლილებში: *Extraits de divers  
auteurs, relatifs au règne de David II (ob. Additions et  
éclaircissements etc. 1851. Add. XIII, n. 4, p. 229).* ის სხლილებს მას  
აკრეფევ მისი „ისტორიის“ *Introduction*-ში, p. LXIII (1858).  
მ. თამარა შვილ მაკი მთელი ტექსტი დაბეჭდა ფრანგული თარგ-  
მნით მის წიგნში: *Histoire de l'Eglise Géorgienne, Rome, 1910* წ.

## ჯვაროსანთა დროიდან

დედნებში აქ უაზრო ტერმინია: *Euetiam*, და ამის შესახებ ეჭვი უკვე 1611 წ. გამომცემელს ჰქონდა. *Brosset*-ის აზრით, ეს უსათუოთ *Iveria* უნდა ყოვილიყოს; და უფრო ადრე იგივე აზრი (ადვილად მისაჩვერი) გერმანელმა მეცნიერმა *Wilken*-მა გამოსთქა მის დიდ შრომაში *Gesch. d. Kreuzzüge 1807-1832*, აბულ-ფარაჯის ტექსტის მიხედვით. მაგრამ ივერიის მაგირ მედიაც შეიძლება იყოს (იხ. აქვე დაბეჭდილი ანსას წერილი, გვ. 32), და ხევბი მართლა ასედაც ჰყითხულობენ. ახალ გამოცემებში—ფრანგულში მიღებულია *Media*; გერმანულში: *Iberiam*. იხ. ამის შესახებ *Hagenmeyer*, ი. ს. 304. თავდაპირველად შესაძლებელია, *Euetia* კი არა, *Avezia* იქნებოდა ისე როგორც მაგალ. ერთს სხვა იმდროინდელ ნაწერში იხსენიება დავით, აფხაზეთის მეფე, *Aveziae rex*. Cf. *Gesta Francorum expugnantium Iherusalem. Recueil etc. Hist. Occid. Vol. III. Paris, 1866*, p. 542. სხვათა შორის, თანახმად აქ მოთავსებული მნიშვნელოვანი მოწმობისა, დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მეორე ფრანგ მეფეს ბალ-დუინს († 1118) ხშირად საჩუქრებს უგზავნიდა. Cf. *Reinhold Röhricht. Gesch. des Königreichs Ierusalem (1100-1291). Innsbruck. 1898*, s. 120.

გოტიე-მწიგნობრის სიტყვებით, დავითის ჯარში, გარდა ქრისტიანებისა, „მიდიელებიც“ ყოფილან. უეჭველია, აქ შირვანელები იგულისხმებიან.

მათე ედესელის სომხური ქრონიკა და მისი ფრანგული თარგმანი გამოცემულია *Dulaurier*-ის მიერ უკვე დასახელებულ დიდ კრებულში *Recueil etc. Documents arméniens. T. I. P. 1869*.

არაბულ და სხვა მწერალთა მოწმობები 1121 წ. ომის, ტფილისის აღების და სხ. შესახებ, მოიპოება ძველ *Defrémeréy*-ის შრომაში (*Journ. Asiatique, 1849, T. XIII*), მერე *Brosset*-ის ზემოდ აღნიშნულ კომპილაციაში (Add. XIII), დიდ ფრანგულ *Recueil*-ის იმ ფოლიანტებშიც (*Historiens orientaux des croisades*) სადაც მთავსებულია აღმოსავლეთის მწერალთა ქრონიკები. თარგმნით, განმარტებით, სქოლიებით და სხვა.

## გარშემო ერთის ომისა

ამ მოწმობებს, სხვა და სხვა ღროს შენახულს და აღწერილს, კიდევ ბევრი შედარება, გასინჯვა და დამუშავება სჭირია.

როგორც სომები მათე, აგრეთვე გოტიე დავითის ჯარში ფრანგთა მცირე რაზმაც აღნიშნავენ. თვით ეს ცნობა საეჭვოა და აშეარად ტენდენციურია. ის კი რომ ამ ომში შეთანხმებით მოქმედობდნენ ქართველები და ჯვაროსნები—მოპირდაპირე ერთი და იგივე პყავათ—საფიქრებელია. მაგრამ უამისოდაც გოტიეს ხომ ადვილად შეეძლო სწორე ცნობები მიეღო თვით ალეპოში, სადაც იგი დროებით ტყვედ წაიყვანეს, და ანტიოქიაშიც იქ მყოფ სომებთა და ქართველთა საშუალებით. მათი ურთიერთობა მაშინ საკმაოდ ცოტხალი იქნებოდა.

ეს ჯვაროსანთა ძლიერი მტერი, ელლაზი ამ დამარცხების შემდეგ მალე მოკვდა (1122 წ.), რაიც შთაბეჭდილებას კიდე უფრო გააძლიერებდა. ამ პირობებში ადვილად გასაგებია გოტიეს მოთხრობის განსაკუთრებული კილო, მისი უაღრესი სიხარული დავით II-ის გამარჯვების გამო.

§ 7. ამ მოვლენათა კავშირი საქართველოშიაც კარგათ ესმოდათ. დავით II-ის ისტორიკოსი მათ ერთ აგუფად აერთებს შემდეგ მქაფიო რეზიუმეში: „...ამას უამსა გამოვიდეს ფრანგნი აღილეს იერუსალემი და ანტიოქი შეწევნითა ლეთისათა მოქშენა ქუეყანა ქართლი განძლიერდა დავით და გაიმრავლნა სპანი და აზლარა მისცა სულთანსა ხარაჯა და თურქნი ვერლარა დაიზამთრებდეს ქართლსა“ („ქართლის ცხოვრება“, გამ. ე. თაყაიშვილისა, 289).

§ 8. ჯვაროსნებმა ჯერ ედესა და ანტიოქია დაპყროს (1098 წ.) მერე იერუსალიმი (15 ივლისს 1099 წ.). ედესა, ანტიოქია, ტრიპოლი წმიდა ადგილებს იပავდენ თურქთა საპასუხო იერიშთაგან. ანტიოქელ და ედესელ მოწინავეში მყოფთ ფრანგებს საქმე უფრო დამასკოს ათაბაგთან, ალაბის და მოსულის ამირებთან ჰქონდათ.

§ 5 და სს რომ დავით II პოლიტიკური დიდი ინიციატივა და სამხედრო მოქმედება ბევრს აჩ მოსწონდა საქართველოში, ეს აღნიშნულია მის ცხოვრებაში, რომლის დამწერმა ერთნაირი აპოლოგიაც შეთხზა ამ მხრივ მისი გმირისა. იხ. შესანიშნავი ადგილი, სადაც ჩვენი ავტორი ცნობს, რომ „არიან ვინმე\_ მაბრალობელნი მეფისანი

## ჯვაროსანთა დროიდან

ჯერეთცა ესეოდენ მჭირსედ მოლაშქრობისათვის" და სხ. და ვისიც აზრით „არცა მშვილდი თავს იღებსო მარადის გარდა მშულობასა"; და მერე აგონებს ასე მოაზრო ხალხს, რა პირობებში დაიწყო აღმაშენებელმა მისი მოლვაწეობა („სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა") თითქმის უჯაროდ („მცირე გუნდი მხედრობისა და იგიცა შეჯაბნებული... უცხენონი... თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უშეცარნი..."); მერე-კი ოოცა ამებში ქართველებმა თან-და-თან სამხედრო წრეთნის და სარდლობის დიდი სკოლა გაიარეს, დავით II-ის მეთაურობით, სამეფოს საქმეები სხვა ნაირად წავიდა, და ამ პოლიტიკის დიდი შედეგები და გამარჯვებანი ნუ თუ მიღწეულ იქნებოდნენ „აღგილთა მწუანვილოვანთა ზე უა მოსმურობითა და განცხრომათა"-ო? მტკიცე გმირული დისციპლინა, სახელმწიფო და სარწმუნოებრივი, ახასიათებს დავით II-ის დროს და ზღუდავს ქართველთა ბუნებაში ღრმად ჩანერგული ჰედონიზმის მისწრაფებას.

ჭ 8. ჯვაროსანთა ისტორიიდან მთავარი ფაქტები ყველამ იცის. კერძოდ მათ მიერ დაარსებულ სამთავროთა მდგომარეობა და ცხოვრება აღმოსავლეთის ფარგლებში კარგათ ისატება შემდეგ თხზულებებში: G. Schlimberger, *Les principautés franques du Levant etc.* P. 1877. Hans Prutz, *Kulturgeschichte der Kreuzzüge*. B. 1883. W. B. Stevenson, *The Crusaders in the East*. Cambridge, 1907. საბერძნეთის დამოკიდებულება პირველ ჯვაროსანთა ლაშქათან და მცირე აზიის მდგომარეობა იხ. საფუძლიან გამოკვლევაში F. Chalandon, *Essai sur le règne d'Alexis I<sup>e</sup> Comnène (1081-1118)*, P. 1900.

ჭ 22. ამ დიდი გეგმის ერთიანად განხორციელება შეუძლებელი იყო; მის ყოველს მუხლს, ასე ვსტევათ, საკუთარი ისტორია აქვს. „რანთა“ და შირვანის დაკავშირება (ნელი რამ ყოფილა, სომხეთის ქალაქთა და მიწათა პატრიონ-ყმური მოთავსება ქართველ მეფეთ საბრძანებელში - შედარებით უფრო ადვილი და ბუნებრივი).

მაგრამ ამ სხვა-და სხვა ქვეყანათა და ერთა ამნაირი ქვეშევრდომობა საერთო დინასტიისადმი ამგვარივე ფეოდალურ დამოკიდებულებას საკუთარ საქართველოშიც კიდევ უფრო ამაგრებდა (საქართველოს შემდეგდროინდელი შესუსტების ერთი მიზეზთაგან);

## გარშემო ერთის ობისა

ერთი სიტყვით ქართველთა „იმპერიის“ წეს-წყობილება თვით სა-ქართველო ში სახელმწიფო ბრივი გამაგრების, კონსოლიდაციის პროცესს აფერხებდა, და დავით II-ს დროს აშენებული ხალხოს-ნური მტკიცე სამეფო შემდეგ შესამჩნივად გადაასხვაფერეს. ამითი ამ დიდ სისტემას დედა ბოძი—საქართველო—განუმტკიცეს-კი არა, პირ იქით, თან-და-თან ძირი გამოუთხარეს. ჩოგორუ სხვა დარგებს, სამხედრო საქმესაც ანალოგიური ევოლუცია ეტყობა, მაგრამ ყველა ამ საკითხების გასინჯვა შორს წაგვიყვანდა.

§§ 2, 23, 24. იხ. განსაკუთრებით დავით II ქება მათე ედესელის მიერ, *Recueil des historiens des croisades. Documents arméniens*, T. I (P 1869) p. 136. 1064 წ. ყარსის მეფემ გაგიკმა საბერძნეთს დაუთ-მო მისი სამფლობელო ასევე მოიქცა ამასწინად, 1043-4 წ. გაგიკმა II-მ ანისელმა; მისი სიკვდილის შემდეგ სომხეთის სამეფო ფორმა-ლურადაც გაუქმდებულა (1079 წ.).—იმავე დროს რუბენის მიერ კი-ლიკიაში დაარსებულია სომეხთ სამთავრო (1080 წ. ახლო), მე-XII ე საუკუნის გასულს დამოუკიდებელ სამეფოდ აღიარებული.

იხ. *Dulaquier-ის გამოკვლევა კილიკიის ეპისტოლები Recueil etc., Documents arméniens*; და მთავარი ფაქტები ამ პროცესის F. Chalandon-ის უკვე დასახლებული გამოკვლევისა. ზოგადი მი-მოხილვა მოიპოვება თუნდაც J. de Morgan-ის 1919 წ. დაბეჭდილ სომხეთის ისტორიაში.

§§ 4, 24. ამის შესახებ მუსლიმანთა მოწმობები იხ. Brossset-ის Add. XIII, ნიკოლოზ მარტინის მიერ დავით II-ის დახასიათება (1902 წლის ცნობილი გამოცემის *Drevne-grusinckie odopistzy* წინასი ტყვაობაში), და ივ. ჯავახიშვილის მოთხოვნა მის ქა-რთველი ერის ისტორიაში (წიგ. II, 1910).

ჯვაროსანთა დროიდან  
ნაწილი მეორე.

ტრაპიზონის საქმე

## ტრაპიზონის საქმე.

1204

მეცამეტე საუკუნეში, ამალების შემდეგ, საქართველოს ბეჭ-  
მა—მონგოლთ ბატონობის დამყარებამდე—იწყო დაცემისკენ გარ-  
დახრა. ძველს მანარქიას, მე-XXI-ე საუკუნეში ისე ვაფურჩენილს.  
სასიცოცხლო წვენი, ასე ვსთქვათ, დაპყლებია და მას მეტი მომავა-  
ლი არ ერგო.

ამ სახელმწიფო ფორმის ცხოვრება—ვიგულისხმებ ძველი სა-  
მეფოის ერთ-მთავრობას—მე-XXI-ე საუკუნეში, მიუხედავად ორასი  
წლის ბრძოლისა, ცხადი სიკვდილით დამთავრდა. ამისათვის, მისი  
მსვლელობა დასრულებულ ციკლს ანუ კიკლოსს წარმოად-  
გენს, რომლის განმეორება ანუ განახლება შემდეგში არასოდეს  
მომხდარა.

ერთს ცხოვრების მერმინდელ თანდათან დაქვეითებას და დაწ-  
ვრილმანებას ის შედეგიც მოჰყვა, რომ წარსული ერთობის დარჩენი-  
ლი ტრადიცია ისტორიული მეხსიერების თითქმის უძვირფასეს ში-  
ნაარსად იქცა.

იმ ხანის კრიტიკული გამოკვლევის მხრივ კი ბევრი რამ  
გამოსარკვევი რჩება, და ვინც რომელიმე ამოცანის ახსნას მოისურ-  
ვებს, მას საგანი არ დააკლდება.

ერთს იმდრონდელ პოლიტიკურ ამბავს წინამდებარე ნაწე-  
რიც ეხება; ამბავს, რომელიც სამართლიანად ითვლება ძველი სა-  
ქართველოის მნიშვნელოვან საქმეთა შორის.

სამწუხაროდ ქართულ საისტორიო ძეგლებში არ არის შენა-  
ხული იმ მისწრაფების, იმ ანგარიშის და იმ აზროვნების კვალი,  
რომლებით ამ დიდ შემთხვევაში—სახელდობრ ტრაპიზონის სა-

## საქართველოს დროიდან

მეფოს 1204 წ. დაარცებაში—იმ დროის ქართველი მოლგაწენი ხელმძღვანელობდნენ.

შეიძლება საკითხიც დაგვეძადოს: პქონდათ კი გარკვეული ჰოლიც იკური ვანზრახვა? ანუ მოქმედობაზენ სტიქიურად, შეუგნებლად? მაშ ნაფიქრი მიზანი რისთვის ვეძიოთ?

აქ ზოგადი შენიშვნა გვჭიროა.

საქართველოს ძალა მე-XII და მე-XIII საუკუნეებში შესანიშნავად იშლებოდა, ეს აშეარაა. იხატებოდა, სხვათა შორის, რიცხოვან ომებსა და გამარჯვებაში. ამბავი მრავალი ხდებოდა, ცნობები კი ცოტაა დარჩენილი, ისიც ძნებად აღწერილი. მომხდარ საქმეთა ნამდვილი მიზეზი და მიზანი ხშირად სულ არაა აღნიშნული,

მართალია, მაშინდელ ქართველთა სამხედრო მოქმედების უნარი და ხალისი ზოგჯერ მეტად სადა და მარტივი უნდა ყოფილოყო. საკმარისია ცნობილი განკარგება მოვიყვანოთ გიორგი III-ის რაინდთა მეფისადმი:

„არა არს ლონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და ჩბევისა“ (ქ. ცხ. 271).

ამგვარი ფიზიკური და სულიერი განწყობილების—სახელმწიფოს ძალიან გამოსადეგი—დამახასიათებელი ფაქტი მრავალია; მაგრამ უკიდურესი შეცდომა იქნებოდა, თუ კი ვიფლებდით, რომ იმდროინდელ ლაშქრობათა მიზეზი და მიზანი ზემო მოყვანილ მისწრაფებით ამოიწურებოდა. პირიქით, საქართველო აწარმოებდა იმ დროს ფართო აზრით აღჭურვილ პოლიტიკას, დიდი ზომისას ლა მეტყვიდეობობითი სიმტკიცით გატარებულს. ხოლო მისი ფორმა და საშუალებანიც იმდროინდელი იყო, და მათი გამორკვევა ხშირად ძნელია, ისტორიულ წყაროთა სილარიბისა და არეულ მდგომარეობის გამო.

XII-XIII საუკუნოთა ჯვარედინზე საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოქმედება, ერთ სურათად რომ წარმოვიდგინოთ, აღმოჩნდება, რამ კასპიის და შავ-ზღვათა შუა მთელ მანძილზე, მუსლიმანთა ბატონობრს სფეროში, საქართველო სცდილობდა, სამხედრო ძალით და პოლიტიკური შეჯგუფების საშუალებით, თვისი უპირატესობა დამტკიციბინა.

## ტრაპიზონის საქმე

ამ ძალთა გაშლას განსაკუთრებული მიმართულებაც ჰქონდა: ეს იყო სომხეთის მიწათა განთავისუფლება საქართველოსთან დასაკავშირებლად, თვით სომეხთა თანამშრომლობით და მხარგდელთა ბელადობით.

ვიკმაროთ ამ ზოგადი შენიშვნით. მყითხველმა მართლა არ იფიქროს, რომ ძველი საქართვე ჯოს ომები ცარიელი რბევა და ერთგვარი ეროვნული ინ აუსტრია ყოფილა და სხვა არაფერი! \*) და შევუდგეთ ერთი ამბის განხილვას, რომელიც ნაკლებად ცნობილი, მაგრამ ლირუა დაკვირვებისა, რადგან ცხადპყოფს საქართველოს პოლიტიკას მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წუთში — ბიზანტიის პირველი დანგრევის დროს, ლათინთაგან რომ დაიწრა — და აგრეთვე საქმის გითარებას საქართველოს ჩემოდ აღწერილი პოლიტიკური ფრონტის უკიდურეს მარჯვენა ფრთაზე, ე. ი. შავი-ზღვის ნაპირზე. მხედველობაში მაქვა ტრაპიზონის საქმე ე. 1204 წელს.

### 1

ტრაპიზონის მხარე დამოუკიდებელ სამეფოდ იქმნა აღიარებული 1204 წ. იმ დიდი საბედისწერო კრიზისის დროს, როცა საბერძნეთის იმპერია თითქმის სულ დაეცა, და მეოთხე გამოლა-შეწების ჯვაროსნებმა, სირია-ეგვიპტეზე თავდასხმის მავიერ, კონსტანტინეპოლის უაპყრობა ირჩის დაიქ ლათინთა საკეისრო ანუ ფრანგთა იმპერია დაარსეს.\*)

თავიდანვე ამ ახალ სახელმწიფოს — ტრაპიზონისას — კომნენტა გვარის მეფეები ჰყავდა, ბიზანტიის ცნობილი დინასტიის (1057-1185 წ.) ახალი, აღვილობრივი რტო.†)

მნიშვნელოვანია ჯერ თვით ტრაპიზონის სამეფოს დაარსება საქართველოს საზღვრებზე თამარ მეფის ე. ი. საქართველოს წარმატების დროს; მერე ამ ახალი სახელმწიფოს ცხოვრებაც, პირველთან ხშირად დაახლოვებული ორ და ნახევარ საუკუნეთა განმავლობაში (1204-1461 წ.).

\* იხ. შენიშვნები 4-7.

## ჯეაროსანთა დროიდან

ამ 1204 წ. საქმის შესახებ ზეპირი, ბუნდოვანი წარმოდგენა, ქართველთა მიერ მიღებული, ის იყო, რომ თამარ მეფის დროს ტრაპიზონი თიქმის საქართველოს სამღლობელოს წარმოადგენდა<sup>3</sup> და, ყოველ შემთხვევაში მასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამ წარმოდგენს წყარო არის ალბათ უშუალო გადმოცემაც, განსაკუთრებით კი—„ქართლის ცხოვრება“; ძველი საქართველოს ტრადიციათა სალარო.

სახელდობრ, თამარ მიფის ცხოვრებაში ნათქვამია: „წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო, გარეშემო ქართლისა, თუ რა-ოდენი დავლახავებულნი მეფენი განამდიდრნა (თამარ მეფემ), რა-ოდენთა მიმდლავებულთა უკუნ-სცა სამეფო თვისი..... და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი.... და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.<sup>4</sup> ამ რიგად ტრაპიზონი ცხადად მოთავსებულია თამარ მეფის პოლიტიკურ კლიენტთა რიცხვში.

ამ ზავადი განცხადების გარდა, თამარის პანეგირისტი იმავე საგანს, მეტის ყურადღებით, სხვა ადგილსაც ეხება; თუმცა იქაც ტრაპიზონის ამბით უფრო მისთვის სარგებლობს, რომ მყითხველს ასევენს „თუ ვითარ მოხედვიდა ღმერთი საქმეთა მისთა“ ე. ი. თა-მარისათა; და გადმოვცემს ტრაპიზონის სახელმწიფოს დაარსების თავისებურ ვერსიას, მით უფრო საყურადღებოს, რომ შენახულია მარტო ერთი სხვა, ისიც ძალიან მოკლე ისტორიული მოწმობა ამ დაარსების შესახებ თამარის დახმარებით: მიხაელ პანარეტის ეგრედ წოდებულ ტრაპიზონის ქრონიკაში.

ამ ორ მოთხოვათა, ქართულისა და ბერძნულის, შედარება საქმის გასაგებად სავალყებულოა. ჯერ გავსინჯოთ ქართული ვერ-სია, უფრო კრიტიკული და შინაარსიანი. <sup>5</sup>)

თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს რომ „მოიწივნეს ოდეს-მე ჩვეულებისა-ებრ“ საკალმასოდ საქართველოში „მონაზონნი შა-ვი მთის, ანტიოქიით და კვიპრისა ჭალაკით“ და სხვა ადგილთაგან. „შეიწყნარნა თამარ ვითარ ანგელოსნი.... მისცნა ყოველთა დიადი.... შორიელთა მისცა დიდალი ოქრო“.... „წარვიდეს მონაზონნი-იყი

<sup>3</sup>) „ქართლის ცხოვრება“, 1849 წ. გამოც.. გვ. 336.

<sup>4</sup>) იქვე 325-6 გვ.

## ტრაპიზონის საქმე.

და მოიწივნეს-რა კოსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის ანგარსა... ისილა სიღადე-იგი ოქროსა... და წარულო მათ მონაზონთა. ხოლო სცნა-რა ესე მეფე-მან თამარ, ნაცვლად სხვა უფროსი წარგზავნა მათ შემიდათა მიმართ... ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, და წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ იქითნი, და წარულეს ლაპია, ტრაპიზონი... და ყოველნი ადგილი ფეხბლალონი-ისა და პონტოსანი, და მისცნა ნათესავსა თვისისა ალექსის კომნია-ნოსსა, ანდრიონიკეს შვილსა... ესმა ესე ფრანგთა, რამეთუ მოელო ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუ-ლეს სამეფო ქალაქი, მეფობისა თანა, და შეიხვეწა უბადრუკი-იგი ალექსი ბარლალეთს, თვისისა სიძისა თანა... და... მოკვდა“...

ასეთია ამ ვერსიის სქემა, თვით წყაროს სიტყვებით ნამბობი

### 2

სწორედ ამ ცნობების—და ბერძნული შიხაელ პანარეტის ქრონიკის ერთი ადგილის (იხ. ქვემოთ)—მიხედვით მიღებულია, რომ ტრაპიზონის ესრედ წოდებული იმპერია, ანუ სამეფო 1204 წ. თამარ მეფის ე. ი. საქართველოს ჯარის დახმარებით დაარსდა.

აღსანიშნავია რომ საკითხის გამოკვლევაში აზრთა სხვა-და-სხვაობას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ბერძნულ ცნობებზე დამყა-რებული ტრაპიზონის ევროპიელ ისტორიკოსთა შეხედულება, როგორც დავრწმუნდებით, ძალიან განირჩევოდა იმ აზრისაგან, რო-მელიც შემდეგ ქართველ მშერლებმა მიიღეს ტრაპიზონის სამეფოს დაარსებაზე და რომელს მთავარ საფუძვლად „ქართლის ცხოვრე-ბა“ აქვს.

თანახმად ამ, ასე ვსტევათ, ქართული განმარტებისა, ქ. ცხოვ-რების ცნობები სწორეთ ტრაპიზონის სახელმწიფოს დაარსებას 1204 წ. იყულისხმებენ; და ამ ქართულ ცნობებს პანარეტის ბერძნუ-ლი მატიანეც თვის მხრივ ადასტურებსო. ისიც მიღებულია, ვი-თომც და ტრაპიზონის სამეფოს დამყარების საბაზი კოფილიკის; ბერძენთ კეიისრის მიერ სხვისი აქროს მითვისება და ამით გამოწვე-ული საქართველოს დედოფლის რისხვა; ვითომ, რეპრესალიის სა-

## ჯვაროსაწთა ღრლიდან

ხით, თამარ მეფეს მრავალი ადგილები—თითქმის ბოსფორამდე—  
სამხედრო ძალით დაწიროს და მერე ალექსი კომნენისათვის გა-  
დაეცეს.

ასე მსჯელობენ მყვლევარნი: დიმ. ბაქრაძე, თ. უორდანია,  
ივ. ჯავახიშვილი; აგრეთვე ა. ხახანაშვილი მის ტრაპიზონის  
შესახებ რუსულად დაწერილ სპეციალურ შრომაში.

„თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერიის ორგანიზაციით ალექსი  
ანგელოსის შური იძია, მისთვის რომ ქართველები გასარცვა, მე-  
ფის მიერ აღმოსავლეთში საჩუქრებით გამოსტუმრებული“—ამტკი-  
ცებს ხახანაშვილი. ”)

„როცა ბიზანტიის კეისარმა აღ ექსი III... ბერებს თამარ მეფის  
ნაჩუქარი ოქრო წაართვა, მაშინ თამარმა ანგარ კეისრის დასასჯე-  
ლად ჯარი გაგზავნა“... ბრძანებს ივ. ჯავახიშვილი. ”)

თ. უორდანია-კი ”) თამარის ისტორიიდან ამოლებულ ცნობას  
იმ მოსაზრებასაც უმატებს, რომ ა „ამთენ ადგილთა“—მემატიანის  
მიერ ჩამდოთვლილი—დასაპყრობად (მცირე აზიის მთელი ნაპირისა  
ჭანეთიდან პერაკლიამდე!) „დროც მოუნდებოდათ, ასე რომ ქართ-  
ველთა გალაშქრება ბერძენთა წინააღმდეგ უფრო ადრე, ე. ი. 1203  
წელს უნდა მომზდარიყო და ბ) „თამარის ჯარისგან ბერძნების და-  
მარცხება (ფრანგებმა) ჩინებულად გამოიყენეს: შევიდენ კონსტან-  
ტინეს-ქალაქში და დაიჭირეს 12 პრილს 1204 წ.“.

ეს უკანასკნელი აზრი— კონსტანტინეპოლის ფრანგ ჯვაროსაწ-  
თა მიერ დაპყრობა შედეგი იყო ქართველთა ბერძნებზე გამარჯვე-  
ბისა—რასაკეირველია, ძველ მემატიანეს ეკუთვნის: „....წარგზავნა  
(თამარმა) მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი და წარუდეს ლაშია.... და  
მისცნა ნათესავსა თვისსა ალექსის....: ეს მა ესე ფრანგთა... გა-  
მოვიდეს ვენეტიკნი და წარუდეს სამეფო ქალაქი“..

მართალია, ქართველი მემატიანის მოთხოვნებით აღტაცებულ-

”) „ტრაპეზუნდსკაია ხრონიკა მიხაილა პანარეტა“, იზდ.  
ა. ხახანოვ. მოსკვა, 1905.

“) „ქართველი ერის ისტორია“, 49; 610-611.

“) „ქრონიკები“, I, 291.

## ტრაპიზონის საქმე

მა, თ. უორდანიამ „მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი“, ცოტა არ იყოს, საბერძნეთის წინააღმდეგ მომქმედ საოპერაციო და საოკუპაციო არმიად გახადა!“) მაგრამ იგი სცდილობდა ცოტათი მაინც განხილვის საგანი გაეფართოვებინა, რომ უფრო სრული სურათი ჰქონდა თვალთ-წინ:

ის კია რომ ეს სურათი და მომხდარ ამბავთა აშენება დაკავშირება საეჭვოა, რასაც ეხლავე დავინახავთ. საეჭვოა თვით ამბავიც ქართველთა მიერ ბერძენი წინააღმდეგ წარმოებული ომისა.

3

მთელ ამ სქემას (ბერძენთა კეისრის მიერ თამარის ნაბოძები ოქროს კონფისკაცია—საპასუხო გამოლაშქრება და ქართველთა მიერ მცირე აზიის ადგილთა დაჭერა—მათი გადაცემა სამეფოს დასაარსებლად ალექსი კონსტანტინისათვის—ამის შემდეგ ფრანგთა მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობა) მეტი კრიტიკა სჭირია.

მემატიანის სიტყვით თამარ მეფის რისხვა და სარეპრესიო მოქმედება მიმართული იყო წინააღმდეგ „მეფისა ბერძენთასა ალექსის ანგარისა“.

უკვე ბროსსეტმა სამართლიანად შენიშნა, რომ მივიღეთ რა მხედველობაში ალექსი ანგელოსის („ანგარი“) კეისრობის ხანა (8. IV. 1195—18. VII. 1203), მაშინ ოქროს მითვისების ინციდენტი—და ქართველთა ამის გამო გამალაშქრება—უნდა მომხდარიყო ამ ქრისტიანობის ფარგლებში, და ბროსსეტის აზრით უფრო ალექსი „ანგარის“ უკანასკნელ წლებში. °)

მაგრამ, როგორც ალექსი ანგელოსის ტახტიდან ჩამოგდება, ისე ტრაპიზონის სამეფოს დაარსება ზომ ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის ეპოქას ეკუთვნიან, და პირველად ყოვლისა საჭიროა აქ ამ უდიდესი გარემოების გათვალისწინება.

ჯვაროსანთა მეოთხე გამალაშქრება, რომელმაც ისეთი

°) მ. ჯანაშვილი კი პირ და პირ ქართველთა უზარმაზარ ჯარზე ლაპარაკობს.

\*\*) H. de la G. I, 465, n. I.

## ჯვაროსანთა დროიდან

მნიშვნელოვანი კატასტროფა გამოიწვია, როგორიც იყო საბერძნეთის იმპერიის დანგრევა 1204 წ., მკვლევართა ურადლებას ხშირად იპყრობდა. მისი ისტორია : თულია, იქ მრავალ ფაქტორს უთამაშნია. რაინდთა სხვა და სხვა გვარი მისწრაფება, ხალხში ჯერ კიდევ ცოცხალი სარწმუნოებრივი სიმსურვალე, რომის ეკლესია, ვენეციის სავაჭრო და საკოლონიო პოლიტიკა, გერმანიის საკეისაროს და რომის პაპის ბრძოლა, ამ ნიადაგზე მათი ბიზანტიასთან დაახლოვების ცდანი, ბერძენთა შინაური განხეთქილებანი, ჯვაროსანთა უკვე არსებული ახალშენები სირიაში და სხვა—მთელ ამ ასე აჭრელებულ სურათს ბევრი ახსნა და განმარტება დასჭირდა. \*)

ამ გალაშქრ ბის ქადაგება დაიწყეს საფრანგეთში ჯერ კერძო სასულიერო აგიტატორებმა. როცა მოძრაობა გავრცელდა, ეკლესიამაც დასტური მისცა... ჯვაროსან რაინდთა ელჩები ვენეციაში 1201 წ. თებერვალში ჩამოვიდნენ.—უვენეციოდ საქმე ვერ გაპეტებოდა, ზღვის გალმა უხომალდოთ ვერ გავიდოდნენ, ხომალდების პატრიონი კი მაშინ ვენეცია იყო—და აქ წმ. მარკოზის ეკლესიაში დიდი კრება მოახდინეს, სადაც ვენეციელები ჯვაროსანთა თხოვნაზე დასთანხმდნენ: წაკიყვანთო ზღვით წმინდა ქვეყანაში. სიხარულის ცრემლებით იტირეს, მერე პირობა შეჰქრეს, თუ რა უნდა მჩეულ რესპუბლიკას ამ სამსახურისათვის.

მხოლოდ 1202 წ. ზაფხულში ჯარმა დაიწყო ვენეციაში თავის მოყრა, და უკან დარჩეულთა მოლოდინში შემოდგომამდე იქ უსაქმოთ იყვნენ. სახსარი ბევრს არ პქონდათ და ვენეციის ხარჯზე სცხოვრობდნენ. იერუსალიმის დასახსნელად როდის უნდა წაგვიყვანონ? სულ ამას იძახოდნენ.

ჩვენთვის, კერძოდ ისაა საყურადლებო, რომ ამ გამოლაშქრებს ს პოლიტიკა თითქმის თავიდანვე საბერძნეთის ტახტის გარშემო ატეხილ ბრძოლასთან იყო დაკავშირებული.

სწორეთ იმ დროს, როცა ჯვაროსნები ვენეციაში, მათ მთავარ ბაზაში, თავს იყრიდნენ ე. ი. 1202 წ., ევროპაში აღმოჩნდა კონსტანტინეპოლიდან გამოქცეული ალექსი, ისააკ კეიისრის ახალგაზრდა. ას, იმ ისააკ-სა, მისმა ძმამ ალექსი III „ანგარმა“ 1195 წ. ტახტიდან რომ ჩამოაგდო და უსინათლო პქმნა. ეს ჭაბუკი ჯერ რომის პაპას წარუ-

## ტრაპიზონის საქმე

დგა და მის დახმარებას ეძებდა. მერე, ვენეციაში ჩამოსული, თვისი „ანგარი“ ბიძის წინააღმდეგ ჯვაროსანთა ჩარეგასაც სთხოვდა მამის მისის ტახტზე აღსადგენად. თქვენს ვალსაც გადვიხდით, ვენეციისა რომ გმართებსო (ამ მხრივ მართლა რომ ძალიან გაუჭირდა მაშინ ჯვაროსნებს); ფულსაც და სახსარსაც მოგცემთ ეგვიპტეს დასაპყრობად; ჯარითაც დაგეხმარებით; ეკლესიათა გაერთიანებასაც გავიყვან (ამასევ რასაკვირველია პაპი ინკვენტი III-საც პპირდებოდა) — ოდონდ კი მიშველეთო!

თვით რომის პაპი ამ ახალგაზრდა მაძიებელს არც ისე აქეზებდა. აღმოსავლეთის ეკლესიის შემოერთება კარგი რამ იქნებოდა. ხოლო ამგვარივე დაპირება მას ხომ თვით ალექსი ანგარისაგანაც ჰქონდა. და ეზიონდა, რომ ჯვაროსანთა საბერძნეთში ინტერვენცია მათ მთავარ მიზანს ე. ი. იერუსალიმის განთავისუფლებას \*) დააბრკოლებდა.

მაგრამ ჯვაროსანთა მეთაურები პაპის სურვილებს არც იმდენად ანგარიშს უწევდნენ. სამხედრო თვალსაზრისით, მათი საქმისათვის მაშინ ეგვიპტეზე ზღვით თავდასხმა მიზანშეწონილად ითვლებოდა, განზრახულიც იყო. ხოლო სხვა უფრო რთულ და მრავალ მიზეზებმა, სიხარბემაც, ეს ჯვაროსნები, უმთავრესად ფრანგი და „ვენეტიკნი“ მათი ხომალდებით სირია-ეგვიპტეში კი არა, ჯერ დალმაციაში, სადაც ამ ქრისტეს ჯარმა ვენეციას ქ. ცარა დაუმორჩილა, და ბოლოს კონსტანტინეპოლის მიდამოებში მიიყვანა. \*)

ისინი ბერძნენთა დედა-ქალაქის წინაშე 1203 წ. ივნისში აღმოჩნდნენ. გალატის ციხე და ქალაქის ზღუდის 26 კოშკი სწრაფად დაიპყრეს და ისაკ-ანგელოსის შვილი, ალექსი IV-ს სახელით, კეისრად აღიარეს. ეს

ალექსი III, ქართული ქრინიკის „ანგარმა“, გემით თრაკიაში თავს უშველა. რაკი ამის შემდეგ უკვე არ კეისრობდა, ცხადია რომ ქართულ ნაწერებში მოთხრობილი ოქროს საქმე 1203-4 წლებზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს. მართლაც, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, ქართულებმა მსიჩე აზიაში მრავალი ადგილები დაიპყრეს. ეს ადგილები თამარ მეფემ „მისპნა ნათესავსა თვისსა ალექ-

\* სალადინმა მაშინ ჯვაროსნებს იერუსალიმი წაართვა (1187 წ.)

## ჯვაროსანთა დროიდან

სის”; ამის შემდეგ „ესმა ეს ფრანგთა... გამოჟიდეს ვენეტიკნი” და სხვა. „ვენეტიკნი” ჩვენ უკვე 1203 წ. ივნისში კონსტანტინეპოლის გარშემო ვნახეთ. მაშასადამე ქართველთა გამოლაშქრება მცირე აზიაში არა უგვიანეს 1202 წ. უნდა მომხდარიყო და თუ ეს აგრეა, ქართული წყარო ისხსნიებს სხვა რამეს და არა ! 204 წ. ტრაპიზონის სამეფოს დაარსებას. ეს მით უმეტეს, რომ იქ აღწერილი სამხედრო მოქმედება ცხადათ აღექსი III ანგელოსის წინააუმდევ იყო მიმართული; 1204 წ. ამ „აღექსი-ანგარის“ უკვე სხსნებაც არ იყო; ამასობაში ჭაბუკი აღექსი IV-ეც დაიღუპა, აღექსი V დუკასიც „მურზუფლად“ წოდებული, და ბერძენთა კეისრობა სულ მოისპოვ კონსტანტინეპოლის. ?). ასე რომ ლათინთა „გამოსულა“ შედევი კი არ იყო ლაშიის და სხვა ქვეყანათა ქართველთა მიერ დაწერის, როგორც ამას თამარის პანეგირისტი მოგვითხრობს, პირიქით, ამ ადგილთა დაპყრობა „ივერთა“ დახმარებით და ტრაპიზონის დამოუკიდებელი სამეფოს აღიარება უეჭველად ერთი შედეგთაგანი იყო ლათინთა გამარჯვებისა, მათ მიერ კონსტანტინეპოლის ახალი საკეისროს დაარსებისა და ბიზანტიის იმპერიის დაშლისა.

4

თანახმად „ქართლის ცხოვრებისა“, მცირე აზიის დაპყრი. ბილი ადგილები თამარ მეფემ მისტა თავის ნათესავს „აღექსის კომონიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარისსა შემოხვეწილ“.

ბროსლერმა ითქმა „ტრაპიზონის ქრონიკის“ მიხედვით ), რომ ეს ცნობა იგულისხმებს სწორეთ თამარ მეფის ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში მონაწილეობას. და ეს აზრი—რომ თამარის ისტორია და პანარეტის ქრონიკა ერთსა და იმავეს ამტკიცებენ—როგორც ვნახეთ, სხვებმაც მიიღეს.

მაგრამ ზემოდ აღნიშნული ანაქტონიზმის გარდა (იხ. წ 3) ერთი სხვა სიძნელე ქართული ტექსტის გაგებას ართულებს. ტრაპიზონის ახალი სახელმწიფოს პირველი „კეისარი“ ანუ მეფე, თუმცა გვარით

<sup>1)</sup> Brossel. Hist de la Géorgie, I p. 465 n. 1.

## ტრაპიზონის საქმე

კომნენი და სახელით ალექსი, სრულებითაც არ იყო ალექსი ანდრონიკეს შვილი, როგორც გარკვეულად ნათქვამია ქართულს მატიანეში, არამედ ალექსი ჟე მანუელისა და შვილის-შვილი განთქმული კეისრის ანდრონიკე კომნენისა. ესეც უკუკველია.

იმისი თქმა, რომ ქართულ წყაროში გადამშეროს— შეცდომას-თან გვაქვს საქმე ანუ სხვა ამფარი აჩსნა ამათ იქნებოდა, კინაიდან იქ მაინც და მაინც არა ასხად მოთხოვობილი ტრაპიზონის 1204 წ. ამბავი. რაც იქ აღწერილია, თუ მართლა მოხდა, სულ სხვა პირობებში და არა უგვიანეს 1202 წლისა. უნდა მომხდარიყო. და როცა ჩვენი ისტორიკოსი თამარ მეფის პროტესტ-ს ასახელებს, ძნელია რომ სწორეთ ამ შემთხვევაში მისი მოწმობა შემცდარი იყოს. პირი-ქით, მეტი ცოდნა მის მხრივ ხომ მაშინაა მოსალოდნელი, როცა საქართველოში გადახვეწილ კომნენებს იხსენიებს!

ამნაირად: ქართული მატიანის „ალექსი ანდრონიკეს შეილი“, ერთია; 1204 წელს ტრაპიზონის მეფედ ალიარებული ალექსი—სხვა ვინმედა.

5

რაც თეით ოქროს მითუისების საქმეს შეეხება, უკვე ტართოლმეის აქვს აღნიშნული ამ მოთხოვობის წვრილმანობა და მონაბნური კილო.

ეს გამოჩენილი ნუმიზმატოლოგი პფიქრობდა, რომ თამარ მეფის მიერ დახმარება ტრაპიზონის სამეფოს დასაარსებლად მისი სახელმწიფო გონიერითა ასახსნელი და საქართველოს პოლიტიკურ საჭიროებას უმაღლესად შეეფერებოდა. ბართოლომეის აზრით ახალი სამეფო თამარის ქმნილებად უნდა ჩაითვალოს.)

ამგვარი მსჯელობა საქართველოს იმ დროის პოლიტიკურ განზრახვის შესახებ, ალბათ საფუძვლიანია. მაგრამ არც ისაა შეუძლებელი, რომ მემატიანეც ნაწილობრივ მართალი იყოს, და რომ მის მიერ მოთხოვობილ შედარებით წვრილმან შემთხვევით მაშინ ისარგებლეს, როცა გადასწყვიტეს, ნამდვილ გეგმის განსახორციელებლად, ჯარი გაეგზავნათ, და საერთოდ, ემოქმედნათ.

## ჯვაროსანთა დოკუმენტი

მეტის თქმაც შეიძლება: უზურპატორ ალექსი III ანგელოსის ტახტი მტკიცე არ იყო. მისი ძმის-წული ალექსი, არ ისაკისა, ხომ ვნახეთ, ციხიდან გაქცეული 1202 წ. ევროპაში რთულ ინტრიგას როგორ აწყობდა მისი მამის და საკუთარი უფლების აღსაღენად. რომში ჩამოსული ხომ პაპი ინკვენტი III-ეს დახმარებას სთხოვდა და აღმოსავლეთის ეკლესიის დამორჩილებას უპირებდა. ეს იყო რომის პაპის და გერმანიის იმპერატორის დიდი ისტორიული და- ვის ხანა: ახალგაზრდა ბერძენა მეორე ბანაკშიაც მოკავშირეებს ეძებდა. განსაკუთრებით თვისი სიძის, გერმანიის მეფის ფილიპე შვაბელის იმედი ჰქონდა და მისი საშუალებით, რაც უმთავრესი იყო, ჯვაროსანთა წრებში მუშაობა დაიწყო. შესაძლებელია, ჯვა- როსანთ მეთაურთა საიდუმლო თათბირი საბერძნეთის საქმეებში ჩარევის შესახებ უკვე მაშინ დაიწყო, და ალექსი III-თვის ეს ხომ დიდ ხიფათს მოასწავებდა.

ამ ალექსის და ისააკს თვით სამეფო ქალაქში მომხრენი ჰყა- ვდათ. თამარ მეფე კი, სჩანს, უფრო კომნენთა სახლს მხარს უჭირდა. ამ დინასტიის საქართველოში შესიზნულ წევრებს უპატრონებდა. ეს მონაზონნი, „ანგელოსი“—მათ რიცხვში არა მარტო ქართვე- ლები იქნებოდნენ, და მათი ბუდეები მთელ ბერძნულ აღმოსავლეთ- ში იყო დაფანტული—ყოველთვის პოლიტიკის გარეშე რჩებოდნენ? ეს ძნელი საფიქრებელია ისეთს დროს, რომა შინაური ქიშპობა, დინასტიათა ბრძოლა და გარედან ბიზანტიის საქმეებში ჩარევის განსაბეჭდი ერთს რთულ ქსოვილს წარმოადგენდა. ამ პირობებში, ვინ იცის, იქნება „ანგარის“ მიერ იქროს კონფისკაცია ပარიელი სიხანბით კი არ იყო გამოწვეული, არამედ პოლიტიკური ბრძოლის და თავდაცვის ზომასა ჰგავს.

### 6

ეს იქროს მითვისების ამბავი, მშვენიერი ნიმუშია ისტორი- ულ ფაქტთა სალიტერატურო ტენდენციური დამუშავებისა.

მწერლის მთავარი მიზანია—აჩვენას „თუ ვითარ მოხედვიდა ღმერთი საქმეთა (თამარისათა)“. ამის მაგალითად მოგვითხოვთ ალექსი-ანგარის მაერ ჩადენილ დანაშაულს და მის შედეგსაც: დას-

## ტრაპიზონის საქმე

ჯილი ყოფილა ჯერ თამარ მეფის რისხვით და მრავალ ადგილთა წართმევით, მერე თვით სამეფო ქალაქის და ტახტის დაკარგვით.

ბოლოც მოელოდა მისი „ანგარობის“ შესაფერი და სახარელი: „იხილა-რა ბორლალელთა მეფემან, სიძემან მისმან, შეიყვანა ციხესა ერთსა, და დაუფინა წინაშე მისსა ოქრო დიადი, და ესრეთ ჰრევა. „აპა ალექსი, გულის-სათქმელი-იგი შენი, ოქრო ეს მიიღე, თვინიერ სხვისა რომელისამე საზრდელისა, და წყლის-წილ რამეთუ წარწყმიდე ამის-თვის სახლი სამეფო ქრისტეანეთა, და დახსენ თვით-მპყრობელობა ბერძენთა“. და ესრეთ მოკვდა საწყალობელი იგი სიყმილითა დაკლებული შეწევნისაგან ლვთისა“.

გაკვრით ალვნიშნოთ, რომ ამ ტრამატიულ ცენაში თავისებურად გამოყენებულია ფრიგის მეფის მიდასის ძეელი ბერძნული მითის ცნობილი მოტივი; ისიც, რომ ბულგარეთის მეფის პირით გვესმის ბერძენთა ეროვნული გოდების ხმა. ამ ალბათ საბერძნეთის მონასტრებში შეთხუზული გადმოცემით, თამარ მეფის ისტორიკოსმა კარგათ შეამკო თვისი მოთხოვნა მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

შემოთ განხილული ქართული ნაწყვეტი, შინაარსიანი და საინტერესო, ვერ ჩაითვლება კარგ და გარკვეულ წყაროდ: ავტორის ცნობები ბუნდოვანია და მისი მიზნისათვის გადასხვაფერებული. მოთავსებულია „ქართლის ცხოვრების“ გავრცელებულ რედაქციაში; ამ კომპილაციის უფრო ძეველ გამოქვეყნებულ ხელთნაშერში (ე. წოდ. მარიამ დელოფლის გარიბაზში), მისი კვალი არ სჩანს. მაგრამ ეს იმას არ ინიშნავს, რომ ეს ტრაპიზონის ამბავი გვიან შეთხუზული იყოს. პირიქით, სწორეთ შემდეგში ამგვარი ეპიზოდის აღწერა შეუძლებელი შეიქნებოდა. ოქროს მითვისების საქმის გადმოცემაში, ზოგი რამ არაა სწორე, მას ეტყობა ერთგვარი ზნეობრივი-დიდაკტიური ტონი და ქების კილო, მაგრამ, მაგალითად მცირე აზიაში დაჭერილ ადგილთა ჩამოთვლა“) ისეთია რომ მოთხოვნა ან თანამედროვე უნდა იყოს, ან მერმინდელ ტექსტში გამოყენებულია რომელიმე მოწმობა, იმ ამბავთა თანამედროვე:

მოვისმინოთ ეხლა ბერძნული ტრაპიზონის ქრონიკის<sup>(10)</sup> მოკლე ცნობა:

„კირ-ალექსი დიდმა კომნენტა, 22 წლისამ, კონსტანტინეპოლიდამ გამოსულმა, თვის მამის მხრივ ძალუას თამარის მეუადინეობით და დახმარებით; ივერიითგან გამოლაშქრებულმან, დაიჭირა ტრაპიზონი თვესა აპრილსა (1204)“.

უმთავრესად ამ ოთხ სტრიქონზე თავისი მსჯელობა ტრაპიზონის სამეფოს დაარსების შესახებ იმ მწერალმა ააშენა, რომელმაც პირველმა მისი ისტორია სამეცნიერო კვლევის საგნად გაზადა, და ვისიც დამსახურება ამ დარგში დიდი იყო. ვიგულისხმებ ბავარიელ მეცნიერს ფალ მერაიერს და მის, სწორეთ ასი წლის წინად, 1827 წ. დაბეჭდილს – „ტრაპიზონის იმპერიის ისტორიას“.<sup>(11)</sup>

თვით ამ შრომის თემა მისი გამოგონილი კი არ იყო, არამედ კოპენჰაგენის სამეცნიერო აკადემიის მიერ საპრემიო შეჯიბრებისათვის ამორჩეული. დაპირებული ჯილდო გერმანელ მეცნიერმა მიიღო, და სხვებსაც ბევრ რამეში გზა უჩვენა.

პანარეტის მატიანეც<sup>(12)</sup> ამ მკვლევარმა აღმოაჩინა და კერძოდ ზემო მოყვანილ მის ნაწყვერს თავისებური განმარტება მისცა: იქ დასხელებული თამარ, ტრაპიზონელი ალექსის „ძალუა“, ჩვენს ისტორიკოსებს და სხვებსაც რომ თამარ მეფე პეტრი მართალ-ნიც ბრძანდებიან გერმანელ მეცნიერმა სულ სხვა პირად იცნო.

საქმე ისაა, რომ ბერძნულ ქრონიკაში თამარის სამეფო ხარისხი არ არის აღნიშნული; ფალმერაიერიც თავის დასკვნას ტრაპიზონელი ბერძნის მიერ აღნუსულ ორ ფაქტზე ამყარებს, სახელ-დობრ, ალექსის კონსტანტინეპოლიდან გამოსყლასა და „თამარის“ ალექსის მამიდობაზე.

„მამიდაო“—ასე სთარგმნის ჩვენი ავტორი ბერძნულს კერძოს პატროს თევა.

ფალმერაიერის აზრით პანარეტის თამარი ანდრონიკე კეიოსრის († 1185) ასული იყო და მანუელ კომნენტის ლვისლი და; მაშა-სადამე ამ მანუელის შვილთა—ალექსის, ტრაპიზონელი პირველი მეფის, და დავითის—მამიდა იქნებოდა.

ფალმერაიერით, შემდგომად 1185 წ. გადატრიალებისა—რომა ანდრონიკე კეისარი მოჰკვდეს და კონსტანტინეპოლის ისააკ ანგელოსი გაამეფეს—ამ თამარმა ეს ორი ახალგაზრდა კომნენი, ანდრონიკეს შეილის-შვილები, ალექსი და დავით, კოლეთში წამოიყვანა და იქ, შორეულ პროვინციაში, ისააკის შურისძიებისაგან უზრუნველყოლინი დააბინავა. მათ ერთგული ყმები და მომხრენი ახლდნენ, სიმდიდრეც საბერძნეთის დედა-ქალაქიდან თან წამოიღეს, და წელნელად ძალთა მზადებას შეუდგნენ იმ მიზნით, რომ ანდრონიკეს და სხვა კომნენთა ამ კანონიერ მემკვიდრეობის შესძლებოდათ შემდეგში, მათი ტახტის ხელახლად დასაპყრობად, გამოსვლა.

იმავე დროს ეს ემიგრაცია და ამგვარი ძალთა დარაზმვა იმ კუთხეს ე. ი. ჭანეთს ქართველთა შიერ დარბევისაგანაც უზრუნველყოფდა: საქართველოს ძლიერი დედოფალი იქაურ მხარეს მეტად სჩაგრავდათ. ეხლა კი უფრო დაიმედებული შეიქმნენ—პატრონი გამოუჩნდათ.

და რომა დასავლეთიდან მოსულ ფრანგებმა ძევლი ბიზანტიის შენობა დაანგრიეს—აი მაშინ კომნენები მათი თავშესაფარიდან გამოვიდნენ. ალექსი ხელმწიფოები იქმნა აღიარებული. შეეცარნენ მთელი მცირე აზია ხელში ჩაეგდოთ.... დაარსდა ტრაპიზონის სამეფო: კონსტანტინეპოლიში ტახტზე ვერ ასულან, ტრაპიზონში მაინც ბერძენთ მეფობა შეინახეს.

ეს ვერსია ხომ ზემოდ მოყვანილი „ქართული“ სქემისაგან დიდად განირჩეოდა!

შემდეგში (1846 წ.) ბავარიელ მეცნიერმა, რომა ტრაპიზონის ქანიკა გამოსცა განმარტებით, მისი პირველი აზრის კატეგორიული კილო ცოტა შეასუსტა. მან კარგათ იციოდა თამარ მეფის დროინდელი საქართველოს მნიშვნელობა და ამისთვისაც გამოსცევა: პანარეტის შიერ დასახელებული „თაგარი“ ტრაპიზონელი ალექსის მამიდა რომ არ ყოფილიყო, რასაკვირველია, ის ჯარი და საშტალებანი, რომლით ალექსიმ 1204 წ. ტრაპიზონი და სხვა ადგილები დაიჭირა, მთლად ივერიის—საქართველოს დაბმარებით უნდა აგვესსნა. და ისიც იცნო, რომ მისი მიზანტიელ-კოლხელი პრინცესსა („მამიდა თამარ“) სხვაგვარად ისტორიულ საბუთებში უცნობი იყო. ”).

\* ib. Anmerkungen zur Chronik des M. Panaretos. S. 70-71.

## ჯვაროსანთა დროიდან

ფალმერაიერის შემდეგ შოტლანდიელმა ფინლეიშ ტრაპიზონის სამეფოს ისტორია დასწერა 1851 წ. იგი ითვისებს და იმეორებს იმ აზრს, რომ თამარ, ანდრონიკეს ასული, ალბათ რომელიმე კოლხელი მთავრის მეულლე იყო, გავლენიანი და მდიდარი; და ამ მამიდის დახმარებით, ახალგაზრდა კომნენებმა „ივერთა“ ჯარი შეკრიბესო და ტრაპიზონი დაიჭირეს 1204 წ.

მაგრამ ფინლეი პფიქრობს, რომ თუ კი ალექსი როგორც საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე-მაძიებელი იზრდებოდა, ეს შეიძლებოდა მხოლოდ რომელიმე ძლიერი და დამოუკიდებელი ხელმწიფის მფარველობით—როგორიც იყო მაგალ. თამარ მეფე ანუ რუმის სულთანი; და ამის შესახებ გვაკლიაო ისტორიული მოწმობანი. მას აგრეთვე უესაძლებლად მიაჩნია, რომ ანდრონიკე კეისარს რომელიმე ივერიელი პრინცესსა ცოლად ჰყოლოდა, და ამით ხსნის კომნენთა ამ დარგში მიღებულ „ქართულ“ სახელებს: თამარ, დავით.<sup>14)</sup>.

ერთის სიტყვით: „ქართლის ცხოვრების“ ალექსი ანდრონიკეს დე არ არ ის ტრაპიზონის პირველი მეფე; და ბერძნული ქრონიკის თამარი, თუ ფალმერაიერის და ფინლეის დავუკერეთ, თამარ მეფე კი არ ყოფილა, არამედ ვინმე სხვა თამარი, კომნენის—იქნებ ანდრონიკე კეისარის—ასული და ალექსი ტრაპიზონელის მამიდა!.

### 8

ფალმერაიერის მიერ ასე ცოცხლად დახატულ სურათზე რა ითქმის?

ჯერ ერთი ის რომ მისი „მამიდა“ ბერძნული სიტყვის მაინც და მაინც თარგმანი კი არა, უფრო „თარგმანება“-ა, მერე ის, რომ საქართველოს სამეფო სახლის და კომნენთა ნათესაობა, ბიზანტიურ წყაროებიდანაც ცნობილი, მან უყურადღებოდ დასტოვა. თორემ ბუნებრივად იფიქრებდა, რომ პანაჩეტის თამარი, „მამის ძხრივ ძალუა“ ალექსის, და თამარ მეფე—ერთი პარია.<sup>15)</sup>.

თუ კი, იმის მიხედვით რომ ბერძნული ქრონიკა მართლაც იქ დასახელებული თამარის გვირგვინზე სდუმს და მხოლოდ ალექ-

## ტრაპიზონის საქმე.

სი ტრაპიზონელის და თამარის ნათესავობას ხაზს უსვამს, ამ თამარის კომნენობას მივიღებთ, მაშინ რა? მაშინ ხომ მისალები იქნებოდა ფალმერაიერის ჰიპოტეზი<sup>(1)</sup>—ჩვილ კომნენთა ჭანურ „კოლხი-დაში“ აღზრდა და სხვა (იხ. ქ 7) უა, მასთან ერთად, ამ ყმაწვილთ 1204 წ. ამალება უფრო მათი პარტიის და ვინმე „კოლხელი“ თამარის, და არა თამა. ი მეფის საქმედ უნდა ვიცნოთ.

მაშინ „ქართლის ცხოვრებას“ რალა ვუყოთ? იქ შენახული ცნობები ამ შემთხვევაში სხვა პოლიტიკური ცდის მოწმობად ჩაითვლებოდა; სახელმომართო ეს იქნებოდა მარტო ქართულ წყაროებში დარჩენილი კვალი თამარის მიერ საბერძნეთის საქმეებში ჩარევისა და ერთ-ერთ კომნენისა—ალექსი ანდრონიკეს ძისათვის გაწეული დახმარებისა, ალექსი III ანგარის წინააღმდეგ. ხოლო ეს რომ ასე ყოფილიყო, უნდა ვალიაროთ, რომ ამ ტახტის მაძიებელის ცდამ და დედოფლის ზრუნვამ უნაყოფოდ ჩინარეს.

ქნელი დასაჯვრია, რომ 1201-1202 წლებში ქართველთ ლაშქრობა ფართო პოლიტიკური განზრახვით—ვსტევათ, კომნენთა სახლის საბერძნეთის ტახტზე ა სატევნად—მომხდარ იყოს, ისაც დიდი საერთაშორისო კრიზისის დროს, და რომ ამ ომის და პოლიტიკის კვალიც ევროპიელთ ანუ ბერძენთ ნაწერებში არ დარჩენილ იყოს.

და განა წარმოსადგენია, რომ ქართველებს მცირე აზიაში ზე-დი-ზედ ორჯერ მოეხდინათ ინტერვენცია: 1201-2 წლებში რეპრესალიის წესით, ალექსი-ანგარის წინააღმდეგ (ოქრ. ას ამბავი); მერე-კი 1204 წ. ტრაპიზონის სამეფოს დასაარსებლად; ჯერ ალექსი ანდრონიკეს ძის გასაბედნიერებლად, მერე მისი ძმის-წულის ალექსის ტრაპიზონის ტახტზე ალსაყვანად!

ფალმერაიერის დასკვნა ჩვენთვის მხოლოდ მაშინ გახდებოდა სავალდებულო, თუ კი მის მიერ აღიარებულ „თამარის“ კომნენობას მივიღებდით. ეს კი მისი შეცდომა იყო, რომელიც სამწუხაროდ სხვებმაც განიმეორეს.

გაუგებრობის მიზეზი, სხვათა შორის, ის იყო, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შენახული ცნობები ვერ გამოიყენეს. თორემ იმას მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ პანარეტის სიტყვებით, ალექსი თა-

## ჯვაროსანთა დროიდან

მარის დახმარებით ივერიითგან<sup>1)</sup> გამოილაშქრა—და ფალმერა-იერის აზრითაც ალექსის ივერიითგან გამოსვლა ყოველი ეჭვის გარე-შეა; მეორეს მხრივ, თამარის ისტორიითაც, ეს დედოფალი კომნენ-თა ამ რტოს პატრონობდა და ტრაპიზონის და სხვა ადგილთა და-საბყრობად, მათ ჯარითაც უშველა.

მთავარ ხახებში ერთი მოწმობა მეორეს კარგად უხდება. არც საჭირო იყო რომელიმე „მამიდის გამოგონება.

### 9

ფალმერაიერის და მის მიმდევართა აზრის ასახსნელად ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თამარის მეფობის ნამდვილი თარიღე-ბი დიდი ხანი გაურკვეველი იყო. ეს დედოფალი უკვე 1201 წ. გარ-დაცვლი ლი ეგონათ; (ამ აზრისა პირველად ხომ ბროსსეტიც ყო-ფილა), ასე რომ ამ ანგარიშით 1204 წ. ცოცხალიც არ იქნებოდა.

ქართული მატიანის ფრანგული თარგმანი მაშინ გამოქვეყნე-ბული კვერ არ იყო და ეკროპაში ცოტა რამ იცოდნენ საქართვე-ლოს ისტორიისა და კერძოდ ბაგრატიონთა და კომნენთ სახლთა ნათესაობისა, რაიც საჭირო იყო 1204 წ. ამბის გასაგებად.

სწორეთ ამ სახლთა გენეალოგიები საფუძვლად დაუდო რუ-სეთის აკადემიკოსმა კუნიკმა, ტომით გერმანელმა, იმ გამოკუ-ლევას ზომელიც დაიბეჭდა 1854 წ. და საუკეთესო შრომად ტრაპი-ზონის დაარსების შესახებ უნდა ჩაითვალოს.<sup>18)</sup> ამასთანავე მან ქა-რთული ცნობები, ბროსსეტის მიერ ნათარგმნი, პანარეტის გამო-ცემას შეადარა და საქართველოს დედოფლის ახალი სამეფოს დაარ-სებაში გადამწყვეტი მონაწილეობა ცხადჰყო. მან სტადა ამ საქმისა-თვის ზოგადი ახსნაც მიეცა საქართველოს იმ დროინდელი პალი-ტიკის და ინტერესის გათვალისწინებით.

ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებით; რაც კი თვით 1204 წლის საქმის მსვლელობას შეესება, მართლაც, პანარეტს ხამ ნათქვამი

<sup>18)</sup> ივერია აქ საქართველოს ნიშნავს. შეად. მაგ. იქვე ქ. 5-ში და-სახელებული (1282 წელს) ივერიის მეფე დავით, პო ბასილევს იბერიას.

## ტრაპიზონის აჯმე

აქვს, რომ ალექსი ტრაპიზონის დასაბურობად ივერიიდან გამოილაშერა, და თამარის დახმარებით მოქმედებდათ, რომელიც მისი ნათესავი იყო. რაკი ცნობილია და უჭიველიც არის, რომ თამარის გვარი და კომნენტი ნათესავებად<sup>1)</sup> ითვლებოდნენ, და თაობათა მიხედვით თამარი ტრაპიზონელი ალექსის სწორეთ „ძალუა“ იქნებოდა; აგრეთვე ისიც, რომ, თანახმად ქართული მატიანისა, საქართველოს დედოფალმა ჯარიც გავჩავნა ზღვის ნაპირის ადგილთა დასაბურობად—თამარ მეფის დიდი მონაწილეობა ტრაპიზონის სამეფოს დაარსებაში ბუნებრივ დასკვნად სჩანს. საჭიროა მხოლოდ სხვა და სხვა ცნობათა კრიტიკული გასწორება და შედარება; ამ საქმეს კი აუსიკმა გზა გაუხსნა.

ამგვარი დასკვნის შესაფერი გალრმავება და განმეორება მით უფრო საჭირო, რომ ფალმერაიერის შემცდარი აზრი ბევრმა შეითვისა, და ზოგიერთ თითქმის ახალ ნაწერებშიაც—მაგალითად ინგლისელი ლინჩის მიერ ცნობილ სომხეთის აღწერაში, ისევ ეს თამარი გვხდება, კომნენტის ასული—ნამდებილად კი ფალმერაიერის ქნმილება—კოლხები მთავრის მეულე და პირველი ტრაპიზონელი მეფის მამიდა<sup>11)</sup>).

### 10

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ტრაპიზონის საქმის ორი მთავარი ღოკუმენტი ცოტათი ბუნდოვანია.

კერძოდ, როგორ უნდა გვესმოდეს ბერძნული მოწმობის დუმილი თამარის დედოფლობის შესახებ? ეს ტრაპიზონელი ბერძენი იქნება განგვებ და შეგნებულად სდუმს ამ შემთხვევაში, რათა თამარ მეფის სსეხებით პირველი ტრაპიზონელი მონარქის სახელი არ შეამტიროს? ეს მოსალოდნებლი იქნებოდა თავის პატრონთა ებთგულ მოსამსახურისა და კარისკაციისაგან, როგორიც იყო მიხაელ პანარეტი.

ამგვარ საკათხზე გარკვეული პასუხი ძნელია.

„ტრაპიზონის ქრონიკა“ შედარებით გვიან არის შედგენილი, სახელდობრ აღვის საუკუნის ბოლო ათეულებში. საიდან ამოილო მიხაელმა მოკლე ცნობა ალექსი ტრაპიზონელის 1204 წ. გამეფებაზე? არავინ უწყის.

<sup>1)</sup> იხ. შენ. 18.

ცნობილია სახელოვანი კარტინალ ბესსარიონის<sup>1)</sup> მიერ თქმული „ტრაპიზონის ქებითგან”, რომ ამ ქადაგის სასახლის ერთ ერთ დარბაზში, კედელზე, ყველა იქაურ მეფეთა სასევები იყო დახატული და წარწერებში მათი საქმეები იყო აღნუსსული. ფალმერაიერი ფიქრების მიხედვის მიხედვის შემთხვევაში შეეტანა შესაძლებელია. სამწუხაოოთ ეს წარწერები არაა შენახული.

მაგრამ იქნება პირველი ხანებში თავის-თავადაც იშულისმებოდა, რომ ასეესი ტრაპიზონელის ძალუა თამარ—საქართველოს დედოფალი ბრძანდებოდა? და მოსაზრებაც უსაფუძვლოა, ვითომც პანარეტს განგებ არ აღნიშნოს ეს ხარისხი? ყოველ შემთხვევაში, თუ კი ეს დუმილი ტენდენციურია, მაშინ მარტლაც საფიქრებელია, რომ კარისკაცმა პანარეტმა აღნებსი ქ ტრაპიზონელის ამბავი—თითქმის 180 წლის შემდეგ<sup>2)</sup>—ისე ჩასწერა. რომ სახელი თამარისა დარჩენალიყო, ამ სამეფოს დაარსებასთან დაკავშირებული, არა როგორც საქართველოს დედოფლის განთქმული სახელი. არამედ როგორც უცნობი ნათესავის ე. ი. კომნენთა ასულის სახელი.

განათლებულ ბერძნებს 1204 წ. საქმე, მაშინდედაც საქართველოს ხელმძღვანელობა და იმერ-ჭანთა იერიში, აღმართ სხვანაინად ესმოდათ და მათ მიერ მიღებული დახმარება თანდათან დავიწყებულიც ექნებოდათ. ესეც მოსალოდნელია და ამისი კვალი, ანუ, უკეთ რომ გსტევათ, ძვირ საქმეთა დაგვიანებული და გადასხვაფერებული გამოძახილი უკვე დასახელებულ „ტრაპიზონის ქებაში” ისმის; სახელდობრ იქ, სადაც ბესსარიონი ბენდოუნად და რიტორულად ამტკიცებს, რომ მისი სამშობლო, ტრაპიზონი, ძველადაც კოლხიდასა და ლაზიკაზე ამაღლებული ყოვილა და ეხლაც მათ

<sup>1)</sup> ეს საეკლესიო ასპარეზის მოღვაწე და პუმნისტი—Graecorum latinissimus et latinorum graecissimus—ჩამომავლობით ტრაპიზონელი იყო. სწორეთ მის წიგნებში ქ. ვენეციას რომ უანდერძა, ფალმერაიერს პანარეტის ხელთნაწერი აღმოუჩენია.

<sup>2)</sup> 1386 წ. პანარეტი აღმართ ცოცხალი არ იყო: ამ წლის ამბავი, საქართველოს მეფის ბაგრატ V და მისი პოლის, ტრაპიზონელი კირა-ანნას თამერლანის მიერ ტყვედ წაყვანისა (§ 53) ამ ქრონიკაში სხვა ხელითაა ჩაწერილი.

წესიერად განაგებსო. მერე დასძენს: ოდესმე კი—ასე გვაქვსო გაგონილი— მათ ემორჩილებოდა და ხარკსაც იძღვოდათ. მათთან ერთად მთელ საბერძნეთის დაბყრობას ლამობდა. თვითონაც ლაირბეგოდა, სხვებს რომ მოჰყვებოდა, არც ბიზანტია უკლებლად დარჩებოდა, არამედ დაიბყრებოდა, რადგან ჭინაალმდევგობა არსით იყოო..").

ძალიან საყურადღებოა მე-XX საუკუნის ნასწავლი ტრაპიზონელი ბერძნის ამგვარი მსახულობა, თუ კი ბესსარიონს აქ მართლაც 1203-4 წ. ბრძოლანი და კომნენთა მაშინდელი ცდა აქვს მხედველობაში, და არა ომმელიმე სხვა შემთხვევა.

11

ბერძნული მოწმობის „დუმილი“ და სიმოკლე გვაკვირვებს: მეორეს მხრივ, თამარ მეფის „ცხოვრების“ ცხად ნათქვამშეაც ფაქტიურ შეცდომას მივაქციეთ ყურადღება: ტრაპიზონელი ალექსი კომნენის ნაცვლად იქ იმავე სახლის სხვა წევრია დასახელებული, სხვა ალექსი, პირველის ბიძა, როგორც სჩანს, საქართველოს დიდი ხნის სტუმარი.

ვინ იცის, იქნება მისი სახელის ხსენება აქ არც ისე უმიზებოა. იქნება სწორეთ ეს ალექსი თამარ მეფის კარზე კომნენთა გვარის მთავარ წარმომადგენლად და პრეტენდენტად ითვლებოდა და საქართველოში კომნენთა საქმისათვის მუშაობდა. 1204 წ. რომ ცოცხალი იყო, ესეც საეჭვოა. აღრინდელი მუშაობით კი თავეს ნათესავებს საქართველოს დახმარება მოუქერხა და ამით მის ძმის წულებს, ალექსის და ავგითს, 1204 წ. ცდა გაუადვილა.

თუ ეს ასეა, მაშინ ქართული მოწმობის შეცდომა და ანაქრონიზმიც იმით აისსნებოდა, რომ „თამარის ცხოვრება“ ერთ სურათში ორ რამეს აერთებს: უფრო აღრინდელ, ალექსი III ანგელოსის ჭინაალმდევ სარეპრესალიო მოქმედებას, რომელზედ სხვა ცნობები გვაკლია—და 1204 წ. ლაპერაციას. პირველ შემთხვევაში თამარ მეფეს მართლაც შეეძლო „ალექსის ანდრონიკეს შვილის“-თვის მხარი ღაეჭირა. წაქეზებას და პატრონობას მას, როგორც ნათესავს და დაახლოვებულ პირს, არ დააკლებდა. <sup>18)</sup>.

<sup>18)</sup> Βέσσαριδης εγκόμιον εἰς Τραπεζούντα, ed. Lampros, 1916, p.p. 35-36.

რაც ამ ალექსის ძმის-წულებს შეეხება, მისაღებია ვანა, რომ ეს ყმაწვილი კომნენები სადმე ბიზანტიის „კოლხიდაში“ (ჭანეთში) იმაღებოდნენ და, რომ მათი მომხრენი იქვე მათ პოლიტიკურ გამა-სვლას ამზადებდნენ? უფრო საფიქრებელია, რომ უფროსი ალექსის ძმის-წულებიც საქართველოში იზრდებოდნენ. ნიადაგი-კი მათი ბა-ტონობის „ლაზიაში“ დასამყარებლად, სჩანს, მართლაც დროხე და გარგათ ყოფილა დამუშავებული.

1204 წ. ინტერვენციის ორი გარემოება ხელს უწყობდა. ზავი-ზღვის ნაპირზე წინსვლა, სახელდობრ ჭანეთში, საქართველოსთვის ბუნებრივი იყო. თვით ტრაპიზონის მხარეს-კი ძველადვე ცხადი სე-პარატიზმი ეტყობოდა: მოსახლეობის არა-ბერძნული სისტემი ამ სულის-კვეთებას ალბათ ამაგრებდა.

ტრაპიზონის დანარჩენ საბერძნეთისაგან განცალკევება უკვე მე-XII საუკუნეში, ისიც ორჯერ მომხდარა—გრიგოლ ტარონიტის და უფრო გვიან თეოდორ გაბრას დროს.<sup>1)</sup> ეს მთავრები ალექსი კომნენის ნამდვილი წინამორბედი ყოფილან. ამგვარად „ტრაპი-ზონის სამეფოს“ ძველი ადგილობრივი ფესვი ჰქონდა.

მაგრამ 1204 წ. საქმეს სხვა, ბერძნული მისწრაფება ართუ-ლებს, საკეისროს აღდგენის და კომნენთა მთელი საბერძნეთის ტახ-ტზე რესტავრაციის ცდა.

შავი ზღვის ქალაქები ხომ ბერძნული იყო, და ამ ბერძნულმა დროშამ კომნენები მართლაც საქართველოს საზღვრებიდან ჰერაკ-ლიამდე მიიყვანა.

## 12

როცა ფრანგებმა კონსტანტინეს ქალაქი დაიპყრეს, ბერძნებმა საკუთარი საკეისროს შენახვა და აღდგენა მოინდომეს. დაარსდა ნი-კიის სახელმწიფო თეოდორ ლასკარისა. ტრაპიზონელ კომნენთა ცდა, მის შემდეგ რაც ქართველთა დახმარებით ეს ქალაქი აიღეს, პა-რალელი იყო, და მალე გაჩაღდა კომნენთა და ლასკარის შორის ქიშბობა და ომი.

<sup>1)</sup> იხ. ამის შისახებ S. Lampros, Historia tēs Hellados... T. VI, Cap. III, p.p. 227-321. Cf. A. A. Vasiliev, Goty v Krymu. Izv. Gos. Akad. Mat. Kult. T. V, p.p. 278-279.

## ტრაპიზონის საქმე

ამ ორ ძმას, ალექსის და დავითს, რომ პირველ ხანებში ზურგი საქართველოდან ჰქონდათ გამაგრებული, ეს უქმეცელია. მაგრამ დინასტიური ნათესაობის და ზრუსტის გარდა, რა იყო ამ დახმარების მიზანი?

აკად. კუნიკმა ის აზრი გამოსთქმა, რომ თვით თამარის მთავრობაც აღმართ ძლიერი საბერძნეთის აღდგენის მომხრე იყო, რათა მასთან ერთად, შეერთებული ძალებით, იკონიუმის ანუ რუმის თურქული სულთანატი მცირე აზიაში მოესპოთ. ქართველთა ტრაპიზონის პოლიტიკას ამით სსნის.

მაგრას ამ საქმეში ქართველების და ბერძნების კავშირი გარკვეულ ფარგალს ვერ ასტილდებოდა.

ეს საქართველოში აღზრდილნი კომინები, პირადად იქნება, არც კი იყვნენ ბერძნული აზრით ისე გატაცებული, მათი მომხრენი კი, მათი პარტია ზლის ხაპირის ბერძნულ ქალაქებში და ბერძნ აზნაურთა შორის ხომ ბერძნულად პერძნობდნენ და ბიზანტიის დიდი სახელმწიფოს აღდგენაზედ ოცნებობდნენ: ტრაპიზონის იქით განწყობილება სწორეთ ისეთი უნდა ყაფილიყო.

ხოლო იმ დროის საქართველო ძლიერი საბერძნეთის აღდგენას არ მოისურვებდა: დიდი საბერძნეთის მეზობლობა რას უპირებდა, მე-၂၁ საუკუნიდან კარგად ახსოვდათ. საბუთიც არ არსებობს, რომ ვიფიქროთ, ამგვარი პოლიტიკა აზრად ჰქონდათ. დაეთ კომნენის 1204 წ. ისეთი სწორავი იერიში და ბოსფორისკენ გა ქანება—ბერძნული მოძრააბით ასახსნელია და არა ქართული განზრახვით. ანუ კარნახით.

მერე ამ დიდ-კომნენთა ბერძნული მიზნის მისალწევად საჭირო ძალები საქართველოდან გამოსაყვანი იქნებოდა: ეს კი უქმეცელად მის მოქმედებას მისთვის მთავარ ასპარეზზე—სომხეთში—შეასუსტებდა.

მონათესავე სამეფო სახლის კი უფრო ზომიერ და სწობილ სახლურებში, ჭანეთსა და ტრაპიზონში, დამყარება და გამაგრება, და ამით საქართველოს ერზრუმისკენ წინსვლის მარჯვენა მხარიდან უზრუნველყოფა—ეს ხომ მის მოთხოვნილებას, მის პოლიტიკურ აზროვნებასაც სავსებით შეეფერებოდა.

## კუართსანთა დროიდან

გარდა ამისა, ტრაპიზონის მეფეებს, თეორიულად და ნაწილობრივ მაინც, ბერძენთ კეისართა აღვილი უნდა დაეჭირათ. და ეს იქნებოდა საბერძნეთი პუ უკეთ რომ ვსტევათ, ბერძნეთი შემცირებული და საქართველოსათვის დითქმის შინაური, საკუთარი ბერძნეთი. ამასთანავე საქართველო მართლ-მადიდებელ პერძესთ ერთ-გვარ დამპველადაც გამოდიოდა ამ ლათინთა თავდასხმის დროს.

ამისათვის „ბუნებრივი“ იყო 1204 წ. ისტორიაში ქართველების მოსაწილეობა დამხმარე ჯარით და სხვა გვარ შემწეობით.

თვით ტრაპიზონის დაბყრობა ოთულ ეპერაციას იქნებ არც კი მიაითხოვდა. ქართველი ისტორიკოსის სიტყვებიღანაც გვესმის, რომ საქართველოდაც „მცირედნი ლიხთ-იქითნი“ გაიზარნეს. და ის „ივერტა“ ჯარი, ვისი საშუალებითაც კომხენებმა ტრაპიზონი უა მერე სხვა აღვილებიც დაიჭირეს, არ ნიშნავს მარტო სენინებულ, თამარის მიერ ვამოვგზავნილ საომარ ძალას. ამ „ივეროა“ სახელწილებით იყულიასხმებიან აგრეთვე საბერძნეთის და შემდეგ ტრაპიზონის ხელმწიფეთა ქვეშევრდომნი, ჭორობის მახლობლად, საქართველოს საზღვართან, ზოგიერთ აღვილთა მცხოვრებნი (ტრაპიზონის შეფენი სხვათა შორის ივერთა ხელმწიფობითაც თავს ადიდებდნენ).

თვით ტრაპიზონის დამუკიდებლობის ასეთი ადგილი აღიარება და დამტკიცება, 1204 წ. განსაკუთოებულ ზოგად და ადგილობრივ პირობებში, საქართველოს დახმარებითაც აისანება. კომნესთა მიერ „კუველთა ადგილთა დებლალნიისა და პლატისათა“<sup>1)</sup> ე. ი. ანატოლიის ჩრდილო ნაპირის დაბყრობის მთავარი მიზეზი კი უფრო პოლიტიკური და არა სამხედრო იქნებოდა: ამ შავი ჭ. ლვის ბერძნებს ეგონათ რომ კომნესთა ხელში საბერძნეთის დიდი იმპერია მალე ისევ ადსდგებოდა.

ეს იმედი არ ვაუმართლათ, იხეირა მხოლოდ ტრაპიზონის პატარა სამეფომ, საქართველოს გავლენით და მის მეზობლობაში აშენებულმა.

<sup>1)</sup> ეს ადგილები თამარის ისტორიკოსის მიერ საუცხოვოდ ჩამოთვლილია; მავრამ მთელი ლაშქრობა იქ ახირებულად სხვა ალექსის სახელთან და ლეროს მითვისების ამბავთან დაკავშირებულია.

## ტრაპიზონის საქმე

მაგრამ რა იცოდა ან მებალემ, ან თვით ნორჩმა, „შინაურობა-ში“ ჩატერგილმა ხემ, თუ რა სასტიკი ქარიშხალები ახლო მომავალ-ში ერთსაც და მეორესაც მოელოდნენ.

13

საქართველოს ალბათ ტრაპიზონის საქმის ადგილობრივი, თითქმის „ჭანური“ სახე იზიდავდა. ვინც კი შიგნით ბერძნეთში ბიზანტიის აღსაფეხად იბრკოდა, მათთვის ახალი სამეფო შარტო იმდენად იყო საყურადღებო, რამდენადაც მისი გავლენა 1204 წ. ატენილ ლათინთ-ბერძნთა ბრძოლაში იქსებოდა საგრძნობი. ამი-სათვისაც არც რამ ამ საქმის გვალი ამ ბრძოლის საბუთებში ნა-კლებად სჩახს.

კომნენთა პარტიის დიდმა ბერძნულმა პროგრამმამ მალე მცირე ტრაპიზონის გეგმას დაუთმო ადგილი. და იმ ეპოქის მთა-ვარი ბერძენი ისტორიკოსი ნიკიტა აკომინატი ახუ ხონიატი ბევრს არას გვეუბნება ტრაპაზონის საქმის შესახებ. მან იცის, რომ 1204 წლის შემდეგ ამ ორ ძმათა, დავითს და ალექსის, მანუელ კომ-ნენის შვილებს და ანდრონიკე კეისრის შვილის-შვილებს, ეჭირათ-პირველს—პონტიის ჰერაკლია და პაფლაგონია; მეორეს-კი—უნიეპ, სინოპი და თვით ტრაპიზონიც.<sup>1)</sup> იყივე მწერალი მოწმობს, რომ ამ ორ ძმათა ამალება და თევდორე ლასკარის მცირე აზიაში ხელმ-წიფედ ალიარება ერთად მოხდა, სახელმომადრ, რეცა ბერძენთ კეის-რობა კონსტანტინეპოლის დაიხვრა. მაშინ დავით კომნენთა ქალაქები და სოფლები დაიმორჩილათ. პაფლაგონიით და ჰერაკლიიდან შეკ-რებილი ჯარი ჰყავდა, და ივერთა, ფაზისთან რომ ცხოვრობენ, რა-ზმიც წამოიყვანა. ეს დავითი თავისი ძმის ალექსის განსაღიძებ-ლად, ვით მისი წინამორბედი. მოქმედობდათ. მაგრამ ალექსის არ ეჩქარებოდა და უფრო ტრაპიზონის გარშემო მოძრაობდათ. ლასკა-რის მიხებით, ასე დასხეს ნიკიტა ხონიატი, დავითი იძულებული გახდა პონტიის ჰერაკლიაში გაჩერებულიყო.<sup>2)</sup>

ლასკარის მომხრე და თანამშრომელი, ეს მემატიანე, დიდი

<sup>1)</sup> ამით ისიც მტკიცდება, რომ თამარის ისტორიაში ჩამოთ-გლილი ადგილები დაპყრობილი იყო 1204 წ.—უნიეპ, ძველად *Oenoe*.

## ჯეარისანთა დროიდან

კარის კაცი და მოხელე, ამ ორ ძმათა პოლიტიკურ ცდას ცოტა შორიდან და მაღლიდან უცქერის, და მათში დავითს თითქმის მეტს ანგარიშს უწევს, ვიდრე მეფედ ალიარებულ ალექსის, ვინაიდგან ეს უკანასკნელი შორს იმყოფებოდა; დავითი-კი ლასკარისთან პირდაპირი ბრძოლით ყურადღებას იძყრობდა.

ნიკ. აკომინატის მოწმობას დიდი მნიშვნელობა აქვს: მოხსე-ნებულ ამბავთა თანამედროვე იყო და კარგი მემატიანის სახელიც აქვს. მის მოთხოვბაში თამარ მეფის ხსენებას არ არის, და „ივერთა რაზმი“ არ იგულისხმებს უთუოდ დედოფლის ქართველ მოყმეებს.

14

ქართველ ისტორიკოსს რა ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა „ვენეტიკთა“ გამოსვლაზედ, ზემოთ ვნახეთ.

არც დასავლეთის მეომრებს სპალიდათ, რომ საქართველო-სათვის თვალ-ური ედევნებინათ: ვილპარდუენის განთქმულ ქრონიკაში, რომელიც კონსტანტინეპოლის 1204 წ. აღებისათვის ერთი უმთავრესი საისტორიო წყაროთაგანია, ტრაპიზონის საქმე არაა კერძოდ აღნიშნული

დავით კომნენი-კ, ალექსი ტრაპიზონელის ძმა და მისი საქმი-სათვის წინამეზრობლი, ჰერაკლიუს მჭირავი და თევდორე ლასკა-რის მოწინააღმდეგე, როგორც ბერძენთა, ისე ფრანგთა გავლენის და ცეკრის სფეროში იყო. და არც გასაკვირალია, რომ ანრი ვა-ლანსიენელის ნაწერში, რომელიც შეადგენს ვილპარდუენის მიერ აღწერილ „კონსტანტინეპოლის დაბყრობის“ გაგრძელებას, დავი-თიც იხსენიება. აქ მოყვანილია ამბავი ლასკარის დავითზე ერთის თავდასხმის და ჰერაკლიის გარსშემორტყმისა. გაიგო თუ არა ეს ამბავი კონსტანტინეპოლის მეორე ფრანგ იმპერატორმა ანრი ანუ ჰენრიკა, ბოლუენის მემკვიდრემ, თრაკიაში მყოფმა, მაშინვე ასე მოგვითხობს ვალანსიენელი—თვითონ წამოვიდა მაშველი ჯარით და სრუტეს გალმა, მცირე აზიაში გადავიდა. ეშინოდა: დავითი მის მამულიდან არ გამორკეონ, მისი ერთგული დავითი.

ლათინთ მეფის ჩამოსვლამ ლასკარისი ფრიად შეაშინა. ჰერა-კლიას თავი დაანება და ნიკიაში გაიქცა აჩქარებული. იმპერატორს

## ტრაპიზონის საქმე.

კი ეშვინა, რომ წყალდიდობის და წვიმების გამო ხელიდას ჭაუვიდა. <sup>20</sup>).

მალე ულალატა ამ ერთგულ დავითს მისმა პატრონმა, ფრანგ კეიისარმა — ლასკარისთან ზაფის დადებით.

საქართველო ბიზანტიის ამ ბრძოლათა შონაშიღებულე არ იყო, და შესუსტებული, შემცირებული, მაშინ ფრანგთა მიერაც დაჩავრული ბიზანტია კარვა ხანია კავკასიის იმ ასპარეზს მოშორებული იყო, სადაც ოდესმე ბერძენთ ძალა ხალხთა თავისუფლებას ანგრევდა, აწ კი საქართველოს მოქმედება ნაყოფიერად იშლებოდა.

ესაა მიზეზი ბერძნულ ცნობების სილარიბისა, რაც ტრაპიზონის ამბავს შეეხება. არამც თუ საქართველო და სომხეთი, თვით ტრაპიზონი და ჭანეთი, იმ ღროის ბერძენთა პოლიტიკური ჭვრეტის გარეშე რჩებოდა. მით უმეტეს იგივეს საბერძნეთში გაბატონებულ ფრანგებზედაც ითქმის.

15

შენახულ ცნობათა განხილვამ, ვგონებ, დაგვარშმუნა, რომ ტრაპიზონის სამეფოს დაარსების პირველი მიზეზი ის ღრმა კრიზისი ყოვილა, რომელიც ბერძენთ კეიისართა სისუსტესა და კონსტანტინებოლის სადინასტიო ბრძოლებში გამოიხატებოდა. მის ნიადაგზე, დასავლეთ ევროპიელთა მძლავრ ინტერვენციას ჰქონდა ადგილი, და მათ მიერ საბერძნეთის დედა-ქალაქის დაპყრობა და იქ საკუთარი იმპერიის აღიარება, ამ კრიზისის უმაღლესი წერტილია.

ამ ზოგად პირობებმა ტრაპიზონის და ჭანეთის ძველი ავტონომიისკენ მიღდრეკილება ძალიან წააქეშეს, და ამ აღგილობრივ მოძრაობამ, საქართველოს ჩარევით, მის მიერ კომნენთა პატრონობით და ახალი სამეფოს შექმნით, დროის და გარემოების შესაფერი სახე მიიღო. <sup>21</sup>)

საქართველოს მფარველობა და ზახმარება აქ ადვილად ასახ-სნელია, ჯერ ამ კომნენთა თითქმის სამი თაობის საქართველოში ცხოვრებით, იქაურ სამეფო სახლთან მათი ნათესავობით, მერე განსაკუთრებული სახელმწიფო ანგარიშით, ჭანეთის მჭიდრო მეზობლობით და იქნება მისი ხალხის ეთნიური „ქმობით“-აც.

106

შავი-ზღვის ბერძენთა ერთი ნაწილი ტრაპიზონელ კომნენებს, მათი დიდი სახელის გამო, იმედით უყურებდა და მათგან მამაშაპე-ული ტახტის აღდგენას მოელოდა. და გამოიყანა თუ არა საქართველომ მოქმედების ასპარეზზე ეს ახალგაზფები, ისინი თავიდან-ვე იძულებული გახდნენ, მცირე აზიაში ბრძოლის ველზე გამო-სულიყვნენ.

ამ მხრივ უფრო დავით კომნენის დვაწლია შესანიშნავი. ალექსი ტრაპიზონელი კი წარმოადგეს საქმის უფრო შეზღუ-დულ, ადგილობრივ, ჭარუო ბერძენულ-ქართულ ბუნებას. <sup>22</sup>).

ის პატრიან-ყმური კავშირი, რომელიც თამარის ისტორიკო-სის სიტყვით, ტრაპიზონის პირველ მეფეს და საქართველოს დედო-ფალს აერთებდა, იმ დროის სახელმწიფო აზროვნებისათვის ჩვეუ-ლებრივია, და მას იმეორებს, რაც საქართველოსთან ზოგიერთ სხვა დაკავშირებულ ქვეყანაზე ვიტით.

ხლოლ ტრაპიზონის და საქართველოს კავშირი, თუნდაც რომ საღად განჩრასული და ყოველმხრივ ხაფუძვლიანი, ხანგრძლივი არ იყო. ახლო მომავალში თვით საქართველოსათვის დაიწყო დაცემის ხანა; დაიწყო „უკუ ქსევა... სვიანისა ბრძოლათა შინა დროშისა და-ვითიანისა და გორგასლიანისა“.

შავრამ თავიდანვე ეს პატრიან-ყმური ურთი-ერთობა და მფარ-ველობა, არც ისე ფორმალურად, არც ისე სრულად უნდა წარმო-ვიდგინოთ, როგორც ამას თამარის ბიოგრაფი და მისი მიმდევარი იგულისხმებენ.

მყითხველმა იცის, რომ კომნენთა მცირე აზიაში გამოსვლის შედეგი, მათი მეტივე ბერძენთ ბატონთან. თევდორე ლასკარისთან შეტაკება იყო. ისიც ვნახეთ თუ როგორ დავითი აშ ლასკარისთან ომში ფრანგის მოკავშირე გახდა.

ლასკარის კომპინაცია უფრო ძლიერი აღმოჩნდა. კომნენები დამარცხდნენ და, მეტი გზა არ ჰქონდათ, მცირე, დაშორებულ, პროვინციულ სამფლობელოთი დასჯერდნენ.

რომ ამ კომნენთა ბედ-ილპალი საქართველოს გავლენის წრეს პირველ ხანებშიაც გადასცილდა, იქიდანაც ცხადია, რომ დაეითმა, ამ ორ ძმათა წინამებრძოლმა და უფრო გამბედავმა, საჭიროდ სცნდა.

## ტრაპიზონის საქმე

თავი კონსტანტინეპოლის ფრანგ კეისრის ვასსალად ანუ ჰუმად აღიარებინა. ეს მოხდა 1203წ. ე. ი. თამარ მეფის დროს; სჩანს, კომსენები მარტო საქართველოს მფარველ ობით კმაყოფილი არ იყვნენ.

შესთვათ, ეს დავითი უფრო დიდი ბერძნული პოლიტიკის, და არა ადგილობრივი, ტრაპიზონის გეგმის კაცია, მაგრამ არც მის ძმას ალექსის ერგო ბედნიერება წილად.

როცა „ქართლის ცხოვრება“ აცხადებს, რომ ტრაპიზონელთ სახლი „,თავისუფლებითსა ცხოვრებასა (თამარის) მიერ იყუნს და მტერთა-გან უზრუნველობასა“, ეს მეტად გაზიარებულია და არ ეთანხმება ტრაპიზონელ კომპენტა ნაშდვილ თავ-გად-სავალს. მათი დიდი იმედი—საბერძნეთის ტახტის დაჭრისა, არ გაუმართლდათ. დამარცხდნენ მეტოქე თევდორე ლასკარისთან ბრძოლაში; არც გაემარჯვათ იკონიუმის სულთანის წინააღმდეგ. და მათი ბედის ვარსკვლავი, ბრწყინვალედ ამოსული—და სწორეთ ეს დასაწყისი, წარმავალი, არ სანდო, აღნიშნულია თამარის ისტ. არიკოსის სიტყვებში!—სწორად ძირს ჩამოსულა. მეტად გაბერილი ბუშტი გასკდა. ივერიილ ჯარის დაუსოცეს, და თვით გულადი, მომექედი დავით კომბენი დაილუბა სულთან აზედინთან იმში, მის შემდეგ როცა ლათინთ კეისარმა პესრიგმა და ნიკიის ბატონმა თევდორე ლასკარიმ ერთმანეთში ზავი ჩამოაგდეს (დაახლ. 1214 წ.) და დავითი ბერძენთ და სელჩუკთ წინაშე მარტო დარჩა. ლასკარის ბერძნებმა ისე კერაკლია, ამასტრია და „ფეხბლალნიის“ სსვა ადგილების დაიპყრეს. სულთანმა კი დავითის უმნიშვნელოვანების ზღვის ქალაქი სინოპი და ზაპირი სამისონამდე დაიჭირა.

ამნაირად, ალექსი ტრაპიზონელი მისმა მტრებმა სასოწარკვეთილებამდე შიიყვანეს, და ბოლოს იძულებული გახდა, რუმის სულთანის ყმად აღიარებინა თავი, ხარკის და მაშველ ჯარის მიცემით. აი როგორ „უზრუნველობასა შინა“ იმყოფებოდა ტრაპიზონის სამეფო თავიდგანვე.

რომ ტრაპიზონის პირველი მეფე იძულებული იქმნა თავი აზედინ სულთნის ყმად აღიარებინა, ეს ეკროპიელთა მწერლობაში

## ჯვარისანთა დოკოდან

დიღი ხახია ცნობილი იყო. ოოგორ მოხდა კი, გარკვეულად არ სჩანდა.

ხოლო სელჩუკთა მატიანეში დაწვრილებით აღწერილია ამ საქმის გარემოებანი. 1214 წელს სულთან აზედინ-კეიკავუს და კირ-ალექსის შორის ბრძოლა ასტყდა, ქ. სინოპის გამო. ერთხელ რობა, ამ განხეთქილების დროს, ალექსი ტრაპიზონელი, ნადირობის შემდეგ, მწვანეზე შექცევაში ბრძანდებოდა, თურქებმა უცბად და მოულოდნელად, 500 კაცით შეიძყრეს და ტყვედ წაიყვანეს. მერე ძალის დატანებით, სინოპზე უარი ათქმევინეს და კმობის პირობაზე ხელი მოწერინეს. <sup>23)</sup>)

რასაკვირველია, რუმის სელჩუკი სულთანი ტრაპიზონის სამეფოსათვის სასიამოვნო მეზობელი არ იქნებოდა. სწორეთ იმ დროს შესამჩნევად გაძლიერებული, მისი სახელმწიფო, მის შემდეგ რაც სიჩაპი, შავი ზღვის ნაპირზე, სულთანს ასე ადრე ხელში ჩაუვარდა, ალექსის სამეფოს მტკიცე ზღუდით დანარჩენ საბერძნეთისაგან ჰყოფდა.

ამგვარი მეზობლობა პატარა სამეფოს ხომ აშკარად ავიწროებდა. თურქთა კედელს ძალით ვერ დაანგრევდა. საქართველო-დანაც ალბათ შეელას უკვე არ მოელოდა.

ამ პირობებში, საფიქჩებელია, რომ სულთანთან პატრონ-ყმური კავშირის დაჭრა მისალებად იცნეს, იქნება ტრაპიზონის სავაჭრო ინტერესის დასაცავად: ეს იყო ამ სამეფოს სასიცოცხლო ძალები.

ასეთია ამ, საქართველოსა და თურქთა სამფლობელოს შუა, ვიწრო ზღვის ნაპირზე მოთავსებული, სამხრეთიდან მთებით შეზღუდული ტრაპიზონის სამეფოს არსებობის პირველი ხანა.

მისი ცხოვრება შემდეგში, ზოგჯერ აყვავებითაც არის აღნიშნული; მას ასაზროებდა საერთაშორისო ალებ-მიცემობა და მიწის სიმდიდრე. ბიზანტიის ზოგიერთი ახალშენებიც, შავი-ზღვის გაღმა, აწინდელი ყირიმში, ტრაპიზონს ერგო.

ვენეცია და გენუასთან სავაჭრო დამკიდებულება—ეს ორი რესპუბლიკა ტრაპიზონში მაგრად იყო დაბინავებული, ხანდისხან

## ტრაპიზონის საქართველო

მას თითქმის სჩაგრავდნენ კიდევა, - სამეფო სახლი ნახევრად ბერძნული და ნახევრად ქართული, ბერძნული ანუ გაბერძნებული მოქალაქეობა, ნახევრად ჭანური აზნაურობა და მთებში წმინდა ჭანები, ცივილიზაციაში არც ისე დაწინაურებული, ასეთი იყო ამ რომელი სახის მთავარი ხაზები.

ტრაპიზონის მეორე მეფემ, ანდრონიკე გიორგიმა, სელჩუკები დააშარება; ამის შედეგად დამოუკიდებლობაც ისევ აღდგენილი იქმნა, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს დიდხანს. ორ ბუმბერაზთა, ალლავდინ სულთნის და ხვარაზმელ ჯელალედინის შორის წარმოებულ ბრძოლაში, ტრაპიზონის სამეფო უკანასკნელს მიემხრო, მისი პატრიონიბაც იცნო. სამწუხაროდ, ახლათის ომში 1230 წ. სრულიად დამარცხდა ჯელალედინი. ტრაპიზონელი ანდრონიკე იძულებული გახდა ამის შემდეგ, ისევ სელჩუკთა სულთნისათვის ეყმო.

ამგვარად საქართველო, სპარსეთი და რუმის სულთანი, მათ შორის ატებილ ბრძოლით და ურთიერთის შესუსტებით, მონგოლთა მომავალ ბატონობას გზას უმზადებდნენ.

მაგრამ კომნენთა სამეფოს ისტორია აქ ხომ მოსაყვანი არ არის. ის აღწერილია საფუძვლიანად ფალმერაიერის, ფინლეის და სხვათა მიერ .<sup>۲۴)</sup>

ხოლო რაცა ესთქვით, საშუალებას გვაძლევს დაგახვენათ, რომ თუმცა საქართველომ მართლაც ტრაპიზონის ახალ სამეფოს მისი არსებობის პირველი დღეები გუადვილა, მათი პატრიონუმური კავშირი უკვე თამარის და ლაშა გიორგის დროს უნაყოფო აღმოჩნდა და საეჭვოცა არის.

მეზობლობა, სარწმუნოებრივი კავშირი, ნათესაობა ტომობრივი ჭანურ-მეგრული და სხვა, მასთან ერთად სამეფო კარის და აზნაურთა წრეებში მსგავსი რაინდული ცივილიზაცია, უეჭველია, საქართველოს და ტრაპიზონის ურთიერთობას თავისებურ ელფერს

## ჯვაროსანთა ღროოდან

აძლევდა. მაგრამ შემცდარი იქნებოდა, თუ კი ვიფიქრებდით, რომ მათ შორის განუწყვეტელი მეგობრობა სუფედა.

ტრაპიზონის სამეფოს, ძველი ბერძნული სამხედრო ოლქის — „თემა“ — ქალდიის მემკვიდრეობით. და, საქართველოს საზღვრები ბუნებრივად ანუ ეთნიურად გარდეს არასოდეს არ ყოფილა, და მაშინაც (ისე როგორც მე-XXI და მე-XX საუკუნეში ასმალეთის საზღვარი იქვე) უვალებელი იქნებოდა. ამ საკითხის განხილვას აქ ვერ შევუდებით. ზოგას რომ დავშორდებოდით, ეს საზღვარი, ნაწილობრივ მაინც ის იქნებოდა, რომლის გარშემო, ორასი წლის წინად, საქართველოს სახელმწიფო გაერთიანების პირველ ხასებში, დავით კუროპალატის († 1001) ცნობილი ანდერძის გამო დიდი ბოძოლები იყო.

ამის შემდეგ ჭოროხის ხეობასა და სომხეთში ბევრი რამ და არა ერთხელ გამოისვალა. ხალხთა და დინასტიათა სატერიტორიო მდგრადარება, რომელიმე გარდეს ხანა რომ ავიღოთ, იქ ისეთი რთულია, რომ მისი ზოგადი განხილვაც აქ შეუძლებელია. ეს კერძოდ მე- XIII საუკუნის პირველ წლებზედაც ითქმის.

მაგრამ იმ ადგილებს რომ თავი დავანებოთ, სადაც ამ დროს საქართველოს და მუსლიმანთა მეფენი სომხეთის შაჩრებისათვის იბრძოდა, თვით შევი ზღვის ნაპირზე ე. ი. ტრაპიზონის მიმართულებით. ამ საზღვარს სიმტკიცე აკლდა.

იმ დროს სახელმწიფო რეერიმი საერთოდ სუსტი იყო, და საზღვრებს ის მნიშვნელობა, ეხლა რომ აქვს, არ ჰქონდათ. თვით პატრიან-ყმური კავშირი, განსაკუთრებით სანაპირო ქვეყნებში ზშირად სიმტკიცეს მოკლებული, საზღვართა უვალებადობას ხელს უწყობდა: არეულობის დროს ვასსაღი ადვილად ერთ ბანაკიდან მეორეში გადადიოდა.<sup>9)</sup> ადგილობრივ დინასტიათა პოლიტიკა, თავის მხრივ, საქმეს ართულებდა.

ამის მაგალითად კერძოდ ჭანეთის ბედიც მოსაყვანია.

რომა ტფილისი და საქართველოს აღმოსავლეთი უკვე მოხ-

<sup>9)</sup> ნიმუშები თვით ტრაპიზონის სამეფოს ისტორიიდან უკვე ვნახეთ.

გოლთა პოლიტიკურ სისტემაში შედიოდნენ, დასავლეთ საქართველოში კი დავით-ნარინი შედარებით დამოუკიდებლად მეფობდა (ვახუშტით: 1269-1293), მის სამეფოს ჭანეთიშ შეუერთდა; ე. ი. იქაურებმა დავითი, სარწმუნოებით და ტომით მონათესავე მეფე, პატრონად აღიარეს. ამას ტრაპიზონის ისტორიკოსები ამტკიცებენ.

პანარეტის ქრონიკიდან ისიც სჩანს, რომ დავით-ნარინი თვით ქალაქ ტრაპიზონზე იერაშით მივიდა, მაგრამ ვერ აიღო, 1282 წ.

ამ მოქმედების შთაბეჭდილებას ხომ არ უნდა მივაწეროთ ტრაპიზონელ სამეფო სახლის სამცხის ათაბეგ ბექა I-თან დაახლოება?

ბექა ათაბეგის „განდიდების“ და გაძლიერების შესახებ აირას ამბობს ქართული ქრონიკა:

„ჭანეთი სულიად მოსცა ბერძენ-მან მეფენან კომნიანოსმან კირ-მიხაილ, და ასული ბექასი ცოლად მიიღუნა“.

ვახუშტი აღასტურებს: „...განდიდების ფრინველი ამეთუ შეირთო ასული ამისი ბერძენთა მეფე-მან და მან მოსცა ბექას ტრაპიზონის აქათი ჭანეთითურათ“. დიპლომატიურად არ ამბობს თუ ვინ იყო ეს „ბერძენთა მეფე“. მართლაც, „ქართლის ცხოვრება“ შემცდარია.

ტრაპიზონელი მეფე, რომელმას ბექას ასული შეირთო უნდა იყოს აღესი II, ზემო დასახელებული კირ-მიხაელის ლვიძელი ძმა და ასულის შვილი ბერძენთ მეფის მიხაელ III პალეოლოგისა. 1283 წ. დაბადებული, 1297-1330 წ. მეფობდა, რაც ბექა ათაბაგის მთავრობის წლებს — 1285-1306 წ. კარგათ უხდება.<sup>9)</sup>

<sup>9)</sup> თამარ მეფის დროს, 1204 წ. ქართველებმა, სხვათა შორის, „ლაზია“ დაბეჭდეს: ცხადია რომ წინად საბერძნეთის სამფლობელო ყოფილა. 1204 წ. შემდეგ ტრაპიზონის მეფისა იყო. ამისათვის ტრაპიზონელს აღესი II, ჭანეთის მწირავს. მართლაც შეეძლო ჭანეთი ბექასთვის გათავსა.

ვახუშტის „ტრაპიზონის აქათი“ უნდა გვესმოდეს თანახმად მისივე განმარტებისა, რომ რიზას დასავლით „ჩამოვარდების მცირე მთა, კინდა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ, და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა“.

ამ ამბავიდან ისიც ირკვევა, რომ სამტხის ათაბაგთა სახლი უკვე მტკიცედ საერთაშორისო პოზიციას იპყრობდა, და საათაბა- გოს განცალკევება, საქართველოს ძალის დამტკიცებელი—მოწმო- ლებთან ხომ პირ-და-პირ, უშუალო პატრონ-კუმური კავშირი დაი- ჭირეს და ეხლა კომნენტან დაახლოვებითაც საკუთარ სადინა- სტიო და სატერიტორიო პოლიტიკას აწარმოებენ—უკვე ისტო- რიული მიღწევაა. ნათლად სჩანს გზა საქართველოს დაშლისა, გზა აუცილებელი და ისტორიულად ადგილად ასახსნელი.

როგორც ტრაპიზონის მეფე, ისე თვით ბექაც ყაზან-ყავნის ყმად ითვლებოდა, ასე რომ ეს მათი დაახლოვება, ზოგად საერთა- შორისო მდგომარეობას შეეფერებოდა. <sup>(\*)</sup>

თუ კი მართალია, რომ დავით ნარინსაც მე-XIII საუკუნის ბოლო ხანებში ჭანეთი ეჭირა, მაშინ მკითხველი უფრო ადგილად მიხვდება, თუ რავორ როგორ როგორ იქნებოდა ეს საზღვრების საკითხი. <sup>(\*\*)</sup>

მისი გამოკვლევა ისე, გაკვრით. არ შეიძლება. მაგრამ რაკი აღვნიშნეთ საათაბაგოს მიერ. მოხვოლთა ეპოქაში, ჭანეთის შეძენა, ისიც უნდა ვიცოდეთ, შეინახეს თუ არა ქართველებმა ჩლვის ნაბი- რის ეს ხაწილი—ვსთქვათ, გონიიდან რიზამდე—მე-XIV საუკუნეში და შემდეგ, ოსმალთა მიერ დაპყრობამდე?

მდგომარეობა ცვალებადი იქნებოდა, და იმაზე დამოკიდებუ- ლი თუ რას წარმოადგენდნენ განსაზღვრულ პერიოდში საქართვე- ლოს (ანუ დმერთა) მეფე, ათაბაგი, გურიელი. ტრაპიზონელი (ჯერ მეფე, 1461-ის შემდეგ კი—ფაშა) ძალის და შედარებითი გავლენის მხრივ, და როგორი იყო მათი ურთიერთობა. და გარკვეული პასუხი, განსაკუთრებით უფრო ძველ დროისთვის, ხშირად მა შინაც ძნელია, როცა რაიმე ცნობებიც მოიპოვება. <sup>(\*\*)</sup>

<sup>(\*)</sup> ბექას პოლიტიკის ამგვარი წაქეზება გაერთინებული სა- ქართველოს ძალას აშკარად ასუსტებდა. 1204 წ. ქართველები ტრა- პიზონის ეხმარებოდნენ, რათა მეზობლობაში „საკუთარი“, პატარა საბერძნეთი აშენებული იყო. ეხლა ეს ტრაპიზი ინელი ბერძნები ათა- ბაგს ხელს უწყობდნენ ტრაპიზონის საზღვარზე, საათაბაგოს სახით, ასე ვსთქვათ, შემცირებული საქართველოს შესაქმნელად—ტრაპი- ზინის მეზობლობას სამტხის საექლესიო და ხელოვნების ისტორი- ისათვისაც მნიშვნელობა ჰქონდა.

ოსმალებმაც რომ ტრაპიზონის სამეფო დაიბყრეს, საქართველოს სახაპირო მიწათა მდგომარეობა ამითი ხდ. მ ერთბაშად არ გამოიცვალა. თანდათან კი მტკიცდება მათი გაჟლენა და ბატონობა; დაიწყო ქვეყნის გათათრება და საზღვრის, ჭოროხის ყურესკენ, გავრცელება. მაგრამ ეს უკვე ტრაპიზონის ფაშალიკის ხანაა, ჩვენ კი სამეფოზე უკანასნელი ვსთქვათ.

ტრაპიზონის სამეფომ თავიდანვე, მისი პირველი, ასე ვსთქვათ, ჯიდი ბერძნული დანიშნულება—ბიზანტიის აღგენისა—ერთ შეასრულა, და მალე ვიწრო ფარგლებში ჩამოყალიბდა, ბერძნულ-ქანურ ნიადაგზე აშენებული. ბერძენ კეისრობა-კი შემდეგ, როცა ბალკანეთში დაინგრა ლათინ ფრანგთა სახელმწიფო, პალეოლოგებმა ისევ კონსტანტინეპოლის 1261 წ. აღადგინეს.

პალეოლოგთა კეისრობა ტრაპიზონელ კომნენტმაც ბოლოს ფორმალურად იცნეს 1282 წ. და ამის შემდეგ „სრულიად აღმოსავლეთის და ივერიის“ მეფეთა სახელით სჯერდებოდნენ.

აღმოსავლეთი რომის იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთმა ნაწყვეტმა, ამ სამეფომ სრული ირი და წახევარი საუკუნე იცოცხლა (1204-1461) და სწორეთ იმ დროს დაიღუპა, როცა საბოლოოდ მოისპო საქართველოს პოლიტიკური ერთობა და მთლიანობა.

შინაგანი სიმტკიცეს მოკლებები, მუდამ გარეშე ძალისაგან დამოკიდებული, ტრაპიზონის სამეფო უკანასკნელ ხანებში უფრო ხერხით და ტრადიციით არსებობ თა. საერთაშორისო აღმ-მიცემობა, წინანდებურად სიმდიდრის წყარო, ისევე უცხოელთა ხელში დარჩა.

როცა მშეიღობიანობა სუფევდა, ეს კუთხე სასიამოვნო, საკმაოდ ზარმაც ცხოვრებას ატარებდა, როგორიც შეეფერებოდა ბუნებითი დალოცვილი ქვეყნის შვილებს. თვით ვაჭრობაშიც იქაურებმა ვერ გამოიჩინეს ნამდვილი უნარი.

მაგრამ რის უნარი, როცა ეს სამეფო თითქმის მუდმივ განსაცდელში იმყოფებოდა. შიგნითაც ანარქია და ხშირი არეულობანი პატრიო-ყმური წესწყობილების ჩვეულებრივი შედეგი იყო<sup>(\*)</sup>)

## ჯვაროსანთა დროიდან

თამერლანის ომებისაგან ტრაპიზონმა ისე არ იჩარალა, როგორც საქართველომ. ხოლო აღმოსავლეთის დიქტატორის უზენაესობა კომნენტ სამეფომაც იცნო. ამ ხანას ეკუთვნის ტრაპიზონის აღწერა, ცნობილი მოგზაურის, ესპანელი ელჩის კლავიხოს მიერ (XV საუკუნის პირველ წლებში).

საქართველოს დახმარებით ოდესშე აგებული, ეს პატარა, ხელოვნური საბერძნეთი, ნამდვილ საბერძნეთ-ბიზანტიასთან ერთად იქმნა განადგურებული.

სელჩუკთა სახელშეიცვლოს ნანგრევებზე აშენებული და მერე ბალკანეთში გადასული ისმანთ ძალა ამასობაში დიდ იმპერიად იქცა, და, კონსტანტინეპოლის აღებით, ბერძენთ კეისრება ბა 1453 წ. საბოლოოდ მოისპონ. ეს იყო ჯვაროსან ლაშქრობათა დაგვიანებული და მოულოდნელი ეპილოგი! — მაშინვე შესრულდა ტრაპიზონის ბერძის-წერაც: სამეფო და ქალაქი 1461 წ. დაიპყრეს ისმალებმა, და დატყვევებულ ქვეყანაში მრისხანედ მოიქცნე.

როგორც ტრაპიზონელ კომნენთა პირველი, აპრეთვე მათი უკანასკნელი თათბა ქართველ ბაგრატიონებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. იოანე II-ემ, კალოიანედ წოდებულმა, ცნობილი ალექსანდრე მეფის, მცხეთის ტაძრის განმაახლებელის ასული შეირთო. მისი ძმა და მემკვიდრე კი ტრადიციით დავითის სახელს ატარებდა.

დახმარების გაწევა არც საქართველოს, არც სხვა გისმეს შეეძლო. ფეხ-ქვეშ გათელილი სამეფოს, თითქმის სახელიც ადამიანთა ხსოვნიდან შემდეგ საუკუნოებში წაიშალა.

ტრაპიზონისა და მერე ზღვის გალმა, ყირიმის ნაპირზე, კაფა-ში\*) გამაგრებულმა ოსმალეთმა-კი საფუძველი ჩაჰყარა, მისი გავლენის კავკასიის ქვეყნებში გასაკრცელებლად.

\*) თეოდოსია.

1927.

შენიშვნები.

1) ქლევა-მოსილი ომების „შემოსავლიანობა“ და სამხედრო ნა-  
დავლის ეკონომიური მნიშვნელობა დიდი იქნებოდა. იხ. ივ. ჯა-  
ვახიშვილის მოსაზრებანი, „საქართველოს ეკონომიური ისტო-  
რია“ 1907, გვ. 70-73, 81. ავტორი ფიქრობს, რომ იმ დროის „საქა-  
რთველოს გარეშე პოლიტიკა სამხედრო დასის, ჯარის ხელში იყო  
ჩაგარდნილი“ (72) და „საქართველოს სამხედრო დასის მოუფირე-  
ბელ და მრუდე პოლიტიკას, მეტის მეტს მოლაშერეობას“ იხსენი-  
ებს (2). ამგვარი ზოგადი დასკვნა იმავე მეცნიერის მიერ თამარის  
დროინდელ ომების მიმოხილვას საესებით არ ეთანხმება. იხ. „ქარ-  
თველი ერის ისტორია“, წ. II, 1913.

იმ დროის პირობებში, ქართველებისათვის თავ-დასხმა ზოგ-  
ჯერ იქნება საუკეთესო თავ-დაცვას შეადგენდა. მაგრამ ეს სულ სხვა  
საკითხია. რაც შეეხება ამ ომებში ნაშოვნი სიმდიდრის არა-საფუძ-  
ვლიანობას, მას პროფ. ჯავახიშვილმა. სამართლიანად ხაზი გაუსვა.

უადგილო არ იქნება იბნ-ალათირის შემდეგი მოწმობა  
აქ მოვიყვანო. მისი სიტყვებით, კავკასიის მუსლიმანები ქართვე-  
ლებს საუკეთესო მტრებად სთვლილნენ, იმ მხრივ რომ, რომა გა-  
ემარჯვებოდათ და რომელიმე ქალაქს აიღებონენ, ხარკს აზდევი-  
ნებდნენ ხოლმე და მეტე ისევ უკან თავიანთ სამშობლოში ბრუნდე-  
ბოდნენ. ეს ნათქვამია ლაშა გიორგის მიერ ქ. ბეილაკანის 1222 წ.  
მოოხრების გამო.

2) რომ ცხადი იყოს მათი საბერძნეთის კომნენიანთ ხელმწი-  
ფეთაგან პირდაპირი ჩამომავლობა, ტრაპიზონის მეფეები თავიდანვე  
დიდ-კომნენებად იწოდებოდნენ. თორემ ზოგიერთება ბიზანტია-  
ში საეჭვო კომნენობით ამაყობდნენ. იხ. სპირიდონ ლამპროსის  
საბერძნეთის ისტორია. S. Lampros. Historia tēs Hellados. T. VI,  
cap. III, § th.

3) ამ აზრის კვალი ქართულ ნაწერებში, ზოგიერთ საბუთებ-ში, ახალი პატიოშიც მოიპოვება. დავასახელებ აქ მხოლოდ გ. ვე შა-პელის რუსულ წიგნაკს 1916 წ., რომლის ფრანგული თარგმანიც, რუქითა და სურათებით, 1919 წ. უკნევაში დაიბჭიდა, სათაურით: „ოსმალური საქართველო“. ავტორის აზრით ტრაპიზონი ქართული ქალაქი ყოფილა ოდესმე და მთელი მისი ვილაიეტი—ოსმალური საქართველო აჩისო. ეს უკიდურესი გაზვიადებაა, საერთოდ კი ის-ტორის, ეთნოლოგიის და პოლიტიკური შეგნების ნიადაგზე წარმოშობილი, „სამუსლიმანო საქართველოს“ საკითხი ყოველგვა-რი ყურადღების ღირსია და, სათანადო განმარტებით და განსაზღვრულ ფარგლებში, ეროვნული აზოვნების გამომხატველიც არის. ხოლო მას აქ სრულებით არ ვეხები; არც კერძოთ ტრაპიზონის და ლაზისტანის ბედის ახალი დროის პოლიტიკაში. გაკვრით აღსანიშნავია აქ მხოლოდ ის, რომ 1919 წ. ბერძნებმა „ტრაპიზონის სახელ-მწიფოს“ აზრის თავისებური განახლება „პონტის რესპუბლიკის“ სახით, და სომხებთან ამაზე შეთანხმებაც მოინდომეს,—თორემ ამ ქალაქის და პოვინისის სომხეთთან შეერთება განხრასული იყო. „პონტის რესპუბლიკის“ გეგმა თავიდანვე უსიცოცხლო აღმოჩნდა, როგორც მალე თვით 1920 წ. სევრის ტრაქტატიც, რომ-ლის ძალით ანუ, უკეთ, სიტყვებით საქართველოს და სომხეთს ევა-ლებოდათ, მათ საზღვრებზე შეთანხმებულ იყვნენ, რაიც იგულის-ხმებდა, სხვათა შორის, აგრეთვე „სამუსლიმანო საქართველოს“ და კერძოდ ლაზისტანის საკითხის გარდაწყვეტას.

4) მოწმობათა რიცხვში პირველი ადგილი ეკუთვნის ძველ ფრანგულ ქრონიკას *Conquête de Constantinople*, რომლის დამწე-რი *Geoffroy de Ville-hardouin* ლაშქრის ერთი მეთაურთა-განი იყო. მეცნიერულად გამოცემულია ჯერ *Paulin Paris-ის* მიერ 1838 წ. და შემდეგ მდიდრულად, სურათებით და შენიშვნებით, *N. de Waillys* მიერ 1874 წ.

ამ ქრონიკაზე სალიტერატურო მსჯელობა იხ. *Sainte-Beuve. G. de Villehardouin. (Causeries du Lundi, t. IX).*

ვილარდუენი, ეს, ასე ვსთქვათ, დიდებულთა ხმაა. უბრალო, ლარიბ რაინდთა გრძნობის გამომხატველი არის *Robert de Clary*.

## ტრაპიზონის საქართველო

V. Chroniques gréco-romaines inédites ou peu connues publiées...  
par Charles Hœfl. B. 1873.

ბერძნული ისტორიკოსი არის ნიკიტა ხონიატი. იხ. შენიშვნა 19.

5) 8 ენკენისთვეს 1202 წ. ჯვაროსანთა ფლოტი მართლაც ვენეციიდან ადრიის ზღვაში გავიდა. ალფრედოვანება იყო დიდი, გალობა ისმოდა დაუსრულებელი. მეთაურობდა დოჟი (დუკა) ენრიკო დანდოლო, ძალზე მოხუცებული, მაგრამ მხნე და შესანიშავი კაცი. ბევრმა არც კი ისოდა, რომ ლაშქრობის მიზანი პალესტინა კი არა, მეზობელი დალმაცია ყოფილა, სადაც ისინი წაიყვანეს, ვენეციისათვის ადგილთა დასაპყრობად—და ამ საშუალებით ჩესპუბლიკის გალის გადასახდელად.

შმიდა ადგილთა მაგიერ—დალმაციისკენ: ასე დაადგინეს უფროსებმა საიდუმლო თათბირზე და ეს იყო ლაშქრობის მიზნის ანუ მიმართულების პირველი შეკველა.

თუ როგორ მოხდა ეს მიზნის შეცველა, ამის შესახებ ბეკრი რამ დაიწერა. ზოგი ვენეციე უებს აბრალებდა: ეგვიპტეს სულთანთან საიდუმლო პირობა შეკრესო, ვაჭრობის დიდი შელავათები მიიღეს და ლაშქარს განგებ სხვა მიმართულება მისცესო. ზოგი ეგონა, რომ უმეტესად გერმანულ-ბერძნულ ინტრაგამ იმოქმედაო: ფილიპე შვაბელი, გერმანიის იმპერატორი 1198-1208 წ. მისი ცოლის ძმას, ახალგაზდა ალექსის ეხმარებოდა, საბერძნეთის ტახტის დასაჭერად, წინააღმდეგ ამ უკანასკნელის ბიძის, ძალით გამეფებული ალექსი ანგელოსისა... ზოგი კი იმ აზრს ცავს, რომ შემთხვევით მოხდაო და რომელიმე ერთი მიზნით ვერ აიხსნებაო.

ასე თუ ისე, ამ მოულოდნელმა მიზნის შეცვლამ, „დევიაცია-ამ“ ისეთი გადატრიალება გამოიწვია აღმოსავლეთში, როგორიც იყო კონსტანტინეპოლის დაპყრობა 1204 წ. ლათინთ ფეოდალურმა სამეფომაც (1204-1261) იქ ვერ იხეორა, ბიზანტიაც სასიკვდილოდ დაიჭრა:

იხ. ზოგადი მიმოხილვა, რომის პაპის პოლიტიკის განსაკუთრებული გამორკვევით: Achille Luchaire, Innocent III. La Quer-

## ჯვაროსანთა ღროიდან

stion d'Orient. P. 1907. კერძოდ მიზნის შეცვლის შესახებ: P. Miftrofanov. Izmenenie v napravlenii tchetvertago krestovago pokhoda. Vizant. Vremennik, t. IV, 1897. Gaston Paris et A. Jeanroy. Extraits des chroniqueurs français.

მერე Walter Norden. Der Vierte Kreuzzug im Rahmen der Beziehungen des Abendlandes zu Byzanz. B. 1898, და განსაკუთრებით მისივე დიდი გამოკვლევა: Das Papstum und Byzanz. B. 1903.

6) ცარის აღების შემდეგ (1202 წ. ნოემბერში) ჯვაროსნებმა იქვე დალმაციაში ზამთარი გაატარეს. პაპი ინიკენტი III-ის რისხვა (ეს რა ჩაგიდენია!) იერუსალიმის მავიერ ცარა ღაიჭირეთ, ისიც ჯვაროსან მოლაშერის, პუნგრეთის მეფის სამფლობელი) ძლივს დაამშვიდეს. უკვე მწიფებობოდა მათი ნებისყოფა „მიზნის“ საბოლოო შეცვლისა, და წმიდა ადგილთა ნაცვლად კონსტანტინეპოლის დაპყრობისა.

ჯერ კორფუს კუნძულზე გაჩერდნენ, სადაც ენრიკო დანდოლის და ლომბარდიელ თავადს ბონიფას-დე-მონფერატს, ჯვაროსანთა მეთაურს, ალექსისთან და სხვა ბერძნებთან გარდამწყვეტი თათბირი პქონდათ. მაისში ისევ ზღვაში გავიდნენ და 24 ივნისს 1203 წ. იხილეს კონსტანტინეპოლი.

7) ალექსის (აშ ალექსი IV) და მამა მისს ისააკ ანგელოსს I აგვისტოს 1203 წ. წმ. სოფიაში მეფობის გვირვეინი დაედგათ. ხალხის თვალში კი უცხოელთა, ფრანგთა მიერ, დაყენებული მეფეები იყვნენ, და მალე მომხდარ სხვა გადატრიალებაში ალექსი V დუკამ მურზუფლად წოდებულმა—„სხვილ-წარბამ“—მამა და შეიღი ტახტიდან გადმოაგდო და ალექსი IV მოაკვლევინა კიდეც | თებერვალს 1204 წ.; ზოგიერთების თქმით, საკუთარი ხელით დაახრჩო.

დიდი ხანი არც ამ ალექსი V-ს უმეფინა. ჯვაროსნებმა მაშინვე, 1204 წ. თებერვალში დაამატეს. მარტში ფრანგ-ვენეციელნი იმაზე შეთანხმდნენ, თუ ვის რა უნდა ოგებოდა, როცა ქალაქს და სამეფოს ხელში ჩაიგდებოდნენ. პირველი იერიშით, 9 აპრილს ვერ ააღეს; 12 აპრილს კი 1204 წ. დაიპყრეს კონსტანტინეს ქალაქი „პირითა მახვილითა“;

## ტრაპიზონის საქმე

ბოდუენ ფლანდრიელი, ლათინთა პირველი მეფე ანუ კეის-რად ალიარებული, სოფიის ტაძარში 23 მაისს 1204 წ. იქმნა ცხებული. მან ტყვედ დეჭერილი მურზუფლი მაღალი სვეტიდან გადმოა-გდებინა; თითონ კი ბულგართ მოეკლათ 1205 წ.

8) J. Bartholomaei. Lettres numismatiques et archéologiques relatives à la Transcaucassie, St. Pétersbourg, 1839, p. 57. მისი აზრით, თამარ მეფის მიერ შავი ზღვის ნაპირზე ახალი საქრი-სტიანი სახელმწიფოს დაარსება იმ დროს, როცა ფრანგებმა კონსტანტინეპოლი დაიპყრეს, ამ დედოფლის პოლიტიკურ სიბრძნეს მი-წმობს. ტრაპიზონის სამეფომ 250 წელიწადზე მეტი იცოცხელა. და უამისოდ საქართველო იმ განუწყვეტელი უბედურობით აღნიშნულ სანებში უეჭველად დაიღუპებოდათ. რაც შეეხება ტრაპიზონის 1204 წ. ეკსპედიციის მიზეზს, „ქართლის ცხოვრება“ რომ ისესენიებს, მხო-ლოდ ქართველი ბერის ვიწრო ტვინი ამისთანა რამეს თუ გამოი-გონებდა!

აღექსი III მიერ თამარის ნაჩუქარი ოქროს კონფისკაციას ერთი სხვა წყაროს იგულისხმებს, სახელობო ათონის აღაპები. იხ. მ. ჯანაშვილი „ქართლის ცხოვრება“, კავკასიის. ყ. ოქრის კრებული N 35, 1906, გვ. 155. ხოლო ქართულ ქრონიკაში ეს ოქროს ამბავი ხელოვნურად ტრაპიზონის სამეფოს დაარსებას დაუკავ-შიორეს.

9) J. ცხოვრ. 325. ...., და წარუდეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმა-ნი, სამისონი, სინოპი, კერსუნიდი, კიტორა, ამასტია, არაკლია და ყოველნი ადგილი ფეხლალონისა და პონტოისანი".

სამისონი არის ძველი *Amisus*; კერსუნი ანუ კერასუნტი—ძველი *Cerasus*; ლუკულუსმა იქიდან გადმოცემით ევროპაში პირვე-ლად ბალის ხე მოიტანა: კიტორა შესაძლებელია, რომ პონტის კო-ტიორა იყოს, სადაც კერსუნტეს 10.000 ხომალდებს უცდიდნენ ჰერაკლიაში წასასვლელად; აწინდელი ორდუს ადგილზე, კერასუნ-თის დასავლით. იხ. W. J. Hamilton Researches in Asia Minor, Pontus and Armenia. Vol. I, 267-268. 1842, მაგრამ იქნება ჩვენ აქ უფრო პატლაგონიის *Cythora* გვაქვს.

ამასტია—ძველი ამასტრიონ.

სად იყო ლიმონი? თვით სიტყვა ბერძნულს leimon უდრის, რომლის მნიშვნელობა ზოგჯერ იგივეა რაც limēn ე. ი. ნავთ-სადგური. თურქებიც ლიმან-ს უწოდებენ; შავი ზღვის ნაპირებზე ხშირად გვხვდება და ოუსულშიაც შეთვისებული. „ლიმანი“ ცნობილია სწორეთ „ლაზიის“ ნაპირებაც, მაკრიალის და ოსმალეთას ძევლი (1878-1921) საზღვრის შორის. ტრაპიზონის იქითაც არის. მაგრამ იქნება აյ ლიმნია უნდა ვიგულისხმოთ, ტრაპიზონის მატიანეში უფრო თვალსაჩინო, სადაც ციხეც ყოფილა. კლავიზოს მოგზაურობის დროს იქ მაჭადიანი ამირა იჯდა (1403).

10) ამ ქრონიკის ხელთნაწერი ინახება ვენეციის წმ. მარკოზის ბიბლიოთეკაში, იმ წიგნთა რიცხვში, კარდინალ ბესარიონმა (იხ. შენ. 17) მე-ХV საუკუნეში ვენეციის რესპუბლიკას რომ უანდერა.

ფალ მერაიერის მიერ აღმოჩენილი ეს ქრონიკა პირველად ტაფელმა გამოაქვეყნა 1832 წ. მისი ფრანგული თარგმანი ბროს-სეტმა 1834 წ. Lebeau. Histoire du Bas-Empire. T. XX-ში მოათავსა. თვით ფალმერაიერმა კი გამოსცა მნიშვნელოვანი განმარტებით და გერმანული თარგმანით თავის შრომაში; Original-Fragmente etc. იხ. აქვთ შენიშვნა 11. ფ.-ის ტექსტი გადატექილია ა. ხახანაშვილის მიერ, შესავალით და შენიშვნებით. ყ. ლაზარევის ინსტიტუტის გამოცემაში: Trapezundskaiia khronika etc. izd. A. Khakhanov. Moskva. 1905.

ამ ქრონიკის ახალი კრიტიკული გამოცემა ეკუთვნის ცნობილ ბერძენ მეცნიერს სპირ. ლამპაროსს, Trapezountiakon khronikon tou... Mikhaël Panaretou. Ed. S. Lamprós. V, Neos Hellénom-némou. T. IV, Ath. 1907.

11) Fallmerayer. Geschichte des Kaiserthums von Trapezunt. München, 1827. იხ. განსაკუთრებით მისივე Original-Fragmente, Chroniken, Inschriften und andere Materiale zur Geschichte des Kaiserthums Trapezunt von Dr. J. Ph. Fallmerayer. Abh. d. histor. Classe der kgl. Bay erischen Akademie d. Wissenschaft. München, 1843-6.

ფ.-ის სამეცნიერო მოღვაწეობაზე იხ. პროფ. ა. ვასილევის

## ტრაპიზონის საქმე

შერილი: A. Vasiliev, *Slaviane v Grätzii. Vizant. Vremennik.* T. V, 1898. ისეთს დროს როცა საბერძნეთის ოსმალთავან განთავისუფლება და თვით ბერძნები ევროპაში აღმატებას იპყრობლენ, ფ-მა გამოსთქვა, რომ ეს ახალი ბერძნები სისტომით ბერძნები კი არა, უფრო სლავიან-ალბანელები არიანო. ამ თეორიით გამოწვეული სამეცნიერო აზრის მოძრაობა ბალკანეთის საისტორიო ეთნოლოგიის ნაყოფიერი იყო.

12) George Finlay. *A History of Greece etc. Vol. IV: Mediaeval Greece and the Empire of Trebizond. A. D. 1204-1461.* Oxford. 1877 (მეორედ გამოცემული) იხ. გვ. 318.

13) ბერძენი მემატიანე ისსენიებს შეწევნას და დახმარებას—*tēs pros patros theias autou Thamar. Original-Fragmente...* 2-te Abth., S. 11. München 1846.

14) რომ მთელი 'ეს ისტორია პიპოტეტიური იყო და წყაროებს არ ემყარება, ამის შესახებ იხ. ფინლეი, იქვე, შენიშვნაში.

15) A. A. Kunik. *Osnovanie trapezundskoi imperii v 1204 g.* Utchen. Zap. Akad. Nauk po I i III otd. T. II, 1854. იქვე მისივე Dopolnenia etc. აკადემიკოსმა კუნიკმა († 1899) ტომით გერმანელმა, პეტერბურგის აკადემიაში იძლევა თავისი მოღვაწეობისათვის შესაფერი ასპარეზი - ისე როგორც ფრანგმა ბროსსეტმაც.

16) იხ: H. F. B. Lynch. *Armenia. Travels and studies.* L. 1901. Vol. I. p. 33-36. აქ სახელდობრ ნათქვამია: „1204 წ. ორი ჭაბუკი, კომნენთა სახელოვანი სახლის რტონი, ტრაპიზონის კარის წინაშე აღმოჩნდენ ქართველთა ნაქირავები ჯარის სათავეში.... მათი სახელები იყო ალექსი და დავით. და მათ უწევდა შემწეობას მათი მამიდა თამარ, მათი პაპის ჩამომავალი და ქართველი ქალბატონი“... ამგვარი შესედულება უფრო გამონაკლისად ჩაითვლება ეხლა. რომ ალექსი ტრაპიზონელის დამხმარე საქართველოს დედოფალი იყო, საკმაოდ მტკიცედ მიღებულია. იხ. William Fischer. *Trapezunt und seine Bedeutung in der Geschichte. Z. für allge-*

meine Geschichte etc. Stuttgart. 1886. S. 23. H. Gelzer. Abriss der byzant. Kaisergeschichte (K. Krumbacher.) Gesch. d. Byz. Lit. 1897. Anhang). S. 1049. S. Lampros. Historia etc. T. VI, p.p. 227-231.

17) ეს ბესარიონის თხუზულება, რომლის ხელნაწერი ვენეციაში შენახულია, პირველად გამოსცა უკვე დასახელებულმა სპირ. ლამპროსმა, ათინაში 1916 წ.: *Bessarion eis Trapezounta etc.* იხ. ნაგულისხმევი აღილი მე-47 გვ.

\* ბესარიონი დაიბადა ტრაპიზონს 1403 წ. ბერძენი იყო ტომით, თუ სხვა მოდგმისა, ეს დიდი საბერძნეთის პატრიოტი—არა ცნობილი. მან უკვე 1439 წ. მიიღო კარდინალობა. ეს იყო მთავარი თანამშრომელი პაპი პიო II-ს პოლიტიკისა აღმოსავლეთის საკითხში და დიდი წინამებრძოლი იმ მოძრაობისა, ოსმალთ კონსტანტინებილიდან განსაფეხნად, რომელს რომის ტახტი მეთაურობდა და რომელმა საქართველოდანაც ევროპაში ელჩები მოცვანა 1460-იან წლებში. იხ. ბესარიონის შესახებ ვრცელი მონოგრაფია Ludwig Mohler. Kardinal Bessarion als Theologe, Humanist und Staatsmann, Paderborn, 1923 და უფრო ძველი: Henri Vast. Le cardinal Bessarion (1403-1472). Etude sur la chrétienté et la renaissance vers le milieu du XV<sup>e</sup> siècle. P. 1878. ოსმალეთის წინააღმდეგ ხენებული კოალიციის შესახებ იხ. ჩემი რუსული წერილი: „თავი წერ ვარიაცია ცნობილ თემაზე“. 1925 წ. პრაგაში დაბეჭიდილი სტრუვეს კრებულში.

18) თამარ მეფის და კომნენთა ნათესაობის შესახებ იხ. Brosset. Hist. de la Géorgie. I, p. 413, n. 1—თ. უორდანია. ქრონიკები, I. 275. „თამარი თვის-ტომი და ნათესავი იყო ალექსის ანდრონიკეს შვილისა, რადგან დავით აღმა შენებელის ქალი კატა, თამარის პაპის დაი, ცოლად ჰყვანდა ალექსის, უოროსსა შვილს ნიკიფორე IV ბრიენისას ჯა მისის ცოლის ანნა კომნენისას“.

კომნენთა გვარის სამ თაობათა წევრები საქართველოს მეფეთა წყალობით სარგებლობდნენ.

## ტრაპიზონის საქმე

თამარის მამის, გიორგი III მეფობის დროს, დაახლოებით 1167 წ. შემოვიდა საქართველოში ანდრონიკე კომნიანისი ცოლშვილით, და გიორგი მეფემ „მისცნა ქალაქნი და ციხენი კმასა-ყოფელნი მისნი“. ეს ანდრონიკე კომნენი, გამოჩენილი პიროვნება, ბიზანტიის ისტორიაში ძალიან ცნობილი, შემდეგში, 1183-1185 წლებში საბერძნეთში ხელმწიფობდა. ერთი მისი შვილი სახელად ალექსი იყო ის „ალექსი კომნიანისი, ანდრონიკეს შვილი“ ორ-მელსაც თანახმად „ქართლის ცხოვრებისა“ თამარმა „მისცნა“ ლა-ზია და სხვა, ქართველთა მიერ დაპყრობილი, ადგილები (იხ. აქვე გვ. 83). ეს იგივე ალექსი უნდა იყოს, რომლის ქმრად მოყვანას ზო-გიერთები თამარს ურჩევდნენ. ამაოდ—რადგან საქმრო „ახლოს თვისობდა“—ნათესავად ითვლებოდა. ეს კომნენი საქართველოში ცხოვრობდა.

დასახელებულმა ანდრონიკე კომნენმა საქართველოში ცო-ლიც ჩამოიყვანა, ქართული ქრონიკით: „სახითა მშვენიერითა და ბრწყინვალითა“. ეს არ იყო მისი კანონიერი მეუღლე. არამედ უკი-ძლი ძმის, ისაკ კომნენის, ასული თეოდორა, იერუსალიმელი ფრანგი მეფის ბოლუენ ანუ ბალდუინის ნაცოლარი ცნობილია ამ ქალის რომანტიული თავ-გადასავალი. თეოდორას და ანდრო-ნიკეს თავისუფალი კავშირი ორთოდოქს წრებში, რა თქმა უნდა, სკანდალად და უწესოებად ითვლებოდა. სწორეთ ამ სიყვარულის ნაყოფი, ზემოდ დასახელებული ალექსი ანდრონიკეს ძე, ამისათვის დიდი ბიზანტინისტის Ducange-ის კატალოგში გულ-ახლალად შეტანილია ობორტუ Alexius Comnenus, ex ince-  
sttu Andronici cum Theodora Comnena concubitu natus. (Fam. august. byzant. p. 191).

ამგვარად ეს ალექსი თუმცა დედაც, მამაც კომნენები ჰყავდა. უკანონო შვილი იყო. მისმა უწესო დაბადებამ მისი საქმე, როგორც თამარის საქმროსი, ხომ არ გააფუჭა? მართლაც, ეკლესიის და კა-ნონთა დამცველების თვალში ეს აღბათ დიდი დაბრკოლება იყო. უარის ფორმალური მიზეზი-კი სხვა გამოიგონეს: ახლო ნათესავია და არ შეიძლება. „მიჯნურთა“ და რაინდთა „პარტიაში“ ანუ ჯგუ-ფებში პირიქით, ამ ანდრონიკე და თეოდორაზე „სახითა ბრწყინვა-

## ჯეროსანთა დროიდან

ლითა და მშვენიერითა“<sup>4</sup> სხვა აზრისა იქნებოდნენ. მეფემაც ძალიან კარგად მიიღო.

საქართველოში ზემოსვეტილ ანდრონიკეს, მერმინდელ კეი-სარს ანდრონიკე კომნენს, 1185 წ. რომ დაიღუპა, ერთი სხვა შვილიც ჰყავდა, პირველ ცოლთან, სახელად მანუელ, და სწორეთ მისი. შვილი აღექსი ტრაპიზონს 1204 წ. გააძეფეს..

უნდა ითქვას, რომ ეს დინასტიათა ნათესაობის საკითხი, 1204 წ. ამბავის გასაგებად მნიშვნელოვანი, ვერ არის საბოლოოდ გამორჩეული. თ. უორდანია (იხ. ზემოდ) მხოლოდ იმეორებს — 1893 წ. — ბროსსეტის ძეველ განმარტებას; მან იქნება არც კი იცოდა კუნიკის 1854 წ. დაბეჭდილი გამოკვლევა, რომელშიაც გენეალოგიათა შედარებას დიდი ადგილი ეჭირა. კუნიკის აზრით კი, დავით II-ის ქალის 1118 წ. კომნენთა სახლის რომელიმე წევრთან შეულება არაა საკმარისი იმის გასაგებად, თუ რა მიზეზით ალექსი ანდრონიკეს ძე 1187 წ., თანაბმად „ქართლის ცხოვრებისა“. თამარის ახლო ნათესავად ითვლებოდა; ანუ რისთვის იგივე თამარი 1204 წ., თანაბმად პანარეტის ქრონიკისა, ალექსი მანუელის ძის ტრაპიზონელის მამას მხრივ ძალუად გამოდის. კუნიკმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ ორ სამეფო სახლთა ნათესაობას ალბათ კიდევ სხვა რაიმე საფუძველი უნდა ჰქონოდა, გარდა კატას და ალექსი ბრიენის მეუღლეობისა; იქნება ანდრონიკე კეისრის პირველი ცოლი, მანუელის დედა, თამარის ნათესავი, მამით ანუ დედით, ყოფილიყო და სხ.

კუნიკის მოსაზრებანი (გვ. 719, 720, 788) საყურადღებოა და შესაძლებელია, რომ მათი დასამტკიცებელი საბუთები შემდეგში აღმოჩნდეს<sup>5</sup>). ჩვენ მიზნისთვის ამგვარი ძიება საჭირო არ იყო. თვით ორ დინასტიათა ნათესაობა ხომ უეჭველია და სწორეთ ესაა მნიშვნელოვანი. მერე ნათესაობის საზომიც სუალებადია ეპოქათა და წრეთა მიხედვით. და შეიძლება რომ თამარის დროს მისი პაპის-დის დაქორწინებით დამკვიდრებული ნათესაობა, აკადემ. კუნიკის თვალში არა საკმარისი, ახლო ნათესაობად მიაჩნდათ, თუნდაც რომ ეს ალექსი და მანუელ კომნენტი დავით II-ის ასულის ჩამომავლობა არ იყო.

<sup>4</sup>) ან და უკვე დაბეჭდილ, ჩემთვის ხელ-მიუწოდომელ, ქართულ საისტორიო მასალებში ანუ რომელიმე გამოკვლევაში მოიპოვება.

მართლაც, ამ მეფის ასულის და მისი ქმრის აღექსის ჩამომა-  
ვლიბა არ არის ცნობილი, თუმცა თვით ეს აღექსი ბრიენი (ბრიენ-  
ნისა), კომნენად წადებული (ვინაიდგან დედა მისი ანნა კომნენი-  
სა ასული იყო აღექსი I კეისრისა), ბიზანტიის ისტორიაში არ არის  
უცნობი.

საკვირველია ისიც, რომ თვით ამ დავით ალმაშენებელის ქა-  
ლის და აღექსი ბრიენის ცოლ-ქმრიბის ამბავი ცოტა ბუნდოვანია.  
კატას კონსტანტინეპოლის ჩამოსხლა და მისი საქმროს ვინაობა ეჭ-  
ვის გარეშეა. პქნიდა კი ადგილი მათს ჯვარის წერას? ამის შესახებ  
უტყუარი ცნობები, ვგონებ, არ მოიპოვება. და კუნიკმა ის აზრი  
გამოსთქვა, რომ იქნება მას სხვა რომელიმე კომნენი შეერთოს. ხო-  
ლო შემდეგში ყურადღება მიაქციეს ბიზანტიის მწერალი თეოდო-  
რი პროტომოსის ერთს-საჭორწილო ხოტბას (ეპითალამიოს), სწო-  
რეთ ნიკ. ბრიენის და ანნა კომნენის ორ ძეთა ჯვაოის-წერის გამო  
წარმოთქმულს. სამწუხაროდ ამგვარ ნაწარმოებში გარკვეული ცნო-  
ბები იმჟიათია. არც ნათქეამია აქ კინ არიან ის სახელოვან მთა-  
ვართა ასული, ვისაც ეს ორი მეფეთა ძესი ცოლებიდ ირ-  
თავენ.

საფიქრებელია კი რომ აღექსი ბრიენმა მაშინ სწორეთ დავით  
II-ის ქალი შეირთო, რომელიც საგანგებო ელჩებმა საბერძნეთში  
საქართველოდან 1118 წ. წაიყვანეს.”)

მიუხედავად ამ დასკვნაა და არა პირდაპირი  
ცნობა. საკითხს კი შემდეგი საყურადღებო გარემოება ართულებს.

\* 1) ზემოხსენებული ხოტბა დაბეჭდილია Migne. P. G. I. 133.  
1864 წ. სეպტემბერი 1397-1407. იხ. 1404 გ. 9. აღტბზთა მეფის ასულის შესა-  
ხებ, კომნენტატორის ერთი შენიშვნა იქვე 1060-1.

როდის დაიწერა ეს ხოტბა? ანუ, უკეთ რომ ესთქვათ, როდის  
დაქორწილდნენ ეს ძენი და ასული ედ. კურტი, შინაარსის  
მიხედვით, ეიქრობს რომ ეს 1122 წ. უნდა მომხდარიყო; მისი აზრით,  
1118 წ. მოყვანილი დავით II ს ასული ამ ოთხი წლის განმავლობაში  
ალბათ დედამთილის ე. ი. ანნა კომნენისას სახლში იჩრდებოდა ჩვე-  
ულებისამებრ. Ed. Kurtz. Unedierte Texte aus der Zeit des Kai-  
sers Iohannes Komnenos. Byzant. Zeitschrift. B. XVI. 1907. S. 86-87.

დავით II-ის ასულს და აღექსი ბრიენის შეილის შეუდლებას  
კატეგორიულად ადასტურებს კომნენთა ეპოქის მკვლევარის F.  
Chalandon. V. II, p. 16-17.

რაც ცა დავით II-ის ქალი კონსტანტინეპოლის ჩამოიყვანეს, კეისარი ალექსი კომნენი (1081-1118) მომაკვდავის სარეცელზე იწვა. დავით აღმაშენებელის და ამ მეფის შორის საკითხი პირველის ასულის და მეორის ასულის შვილის დაქორწინებისა, უძრაველია დიპლომატიური გზით იქნებოდა მოწესრიგებული. მაგრამ ალექსი I-ის სიკვდილმა საქმე ხომ არ შეაფერხს? მისმა შვილმა და მემკვიდრემი იოანე კომნენმა (1118-1143) მოინდომა დაუყონებლივ თავი კეისრად აღიარებინა და შპ. სოფიაში მეფედ ცხებულიყო. მან ისოდა, რომ არსებობდა ჯგუფი, მისი დაის ანნა კომნენის მომხრე, რომელიც რაღაცა შეთქმულებას აწყობდა შის წინააღმდეგ. იოანეს ისე ეჩქარებოდა, რომ მიიღო თუ არა მამის მისაგან სამეფო ბეჭედი, მის სიკვდილსაც არ დაუტადა და მანგანის (მანქანათა ე. ი. არსენალის) სასახლიდან, სადაც ალექსი კეისარი ავადმყოფი ცხოვრობდა, და აწყვეტილია, გამოსვლა გადასწყვიტა მთავარი დიდი სასახლის დასაჭერად და სამეფო ველიგინის დასაბურობად. და აი თავისი ამალით მანგანის სასახლიდან გამოსულ მეფეს პირველი შეხვდნენ სწორეთ საქართველოს ელჩები—და მათ პირველთ მეფობაც მიულოდეს და მეფედ აღიარეს. ამას მოწმობს ზონარა. *Zonarae epit. t. III, XVIII, 28. p. 761, ed. 1897.* მის ცნობებს მუტალტი იქნება აზვიადებს, რომა ამბობს რომ „აფხაზთა ჯარმა“ იოანეს გარდამწყვეტი წუთში უშველაო. იხ. Ed. Muralet. *Essai de chronographie byzantine.* 1871, p. 120. Cf. Kurtz o. c. შესწორებანი. რასაკვირვებია, ზონარას მოწმობა ისე კი არ უნდა ვევსმოდეს, რომ ორიოდე ელჩმა ქუჩაში რაღაცა იყვირეს, და ეს ისტორიაში ჩასწერი იყო, თუ კი მათმიერ მეფედ აღიარებამ ასე იმოქმედა, ალბათ დიდი ამაღლაც ახლადათ, იქნება სხვა იქ მცხოვრები ქართველებიც მათ შეუერთდნენ, და ამგვარად ახალ კეისარს პსიქოლოგიურ მომენტში ზურგი გაუმაგრეს.

ანნას და ნიკიფორე ბრიენს გაუტრუვდათ კეისრობის იმედი. მათ (უფრო კი პირველს) ეგონათ რომ ხანგრძლივი სენით შესუსტებული ალექსი, რომელსაც მისი ცოლი და ასული უკლიდნენ, მათ ხელში იყო; და იოანეს გაბედული მოქმედება და მამის მისის დასტური—სამეფო ბეჭედის გადაცემა—მათვის მოულოდნელი იყო. გაბრაზებულებმა მომაკვდავი კეისარი სულ მიატოვეს, და ასე მარ-

## ტრაპიზონის საქმე

ტოობაში სული დალია ალექსი I-მა. იხ. მთელი ეს ეპიზოდი შალა-  
ნო ონის შრომაში. F. Chalandon. Jean et Manuel, 1912. Ch. I.

ქართველთა ეს მანიფესტაცია, პოლიტიკურად მნიშვნელოვა-  
ნი და ბერძენ ისტორიკოსის მიერ აღწერილი, შემთხვევითი არ იქ-  
ნებოდა. ალექსი I დიდი ხანია ავად აყო და ცველამ იცოდა რომ არ  
მორჩებოდა, სასახლის ინტრიგების უნდა სტოდოდათ. დავით II-ის  
ეღრჩებმა ალბათ შევნებულად და თანახმად მეფისაგან მიღებული  
დარიგებისა, კანონიერ მემკვიდრეს, იოანე კომნენს მხარი დაუჭი-  
რეს. მთი ამგვარი გამოსვლა, სხანს, ანნა კომნენისათვის სახარალო  
იქნებოდა: და მისი შვილი არ იყო კატაის საქმრო, იმ ქართველთა  
მეფის ქალისა, რომელიც ამ ეღრჩებმა საბერძნეთის დედა-ქალაქში  
მოიყვანეს? როგორ მიიღებულენ ეხლა ამ ქალწულს ნიკიფორე ბრი-  
ენნის ოჯახში? და ახალ პირობებში ხომ არ დაბრკრლდებოდა სა-  
დინასტიო კავშირი იმ სახით, როგორც განსრახული იყო? საჯითნი  
ბუნებრივად იბადება. ხლოო ისიც საფიქრებელია, რომ ალექსი I-ის  
მც. წონებულ საქმეს—საბერძნეთის და საქართველოს სამეფო სახლთა  
ახალ<sup>1)</sup> დაკავშირებისას—ეხლა მისი მემკვიდრე იგისრებდა, მით  
უმეტეს რომ ცოტა პირადი მიზეზიც ჰქონდა.

საერთოდ იოანე კეისარი სამეფოს მტკიცე ხელით განაცემდა.  
მისმა დამ ანნამ, მისი გამეფების შემდეგ მისგან დაშორებულმა,  
უფრო მწერლობას უძლენა თავისი ნიკი; ნიკიფორე ბრიენმა კი კარ-  
გი განწყობილება შეინახა ახალ კეისართან, და უნდა ვიტიქროთ  
რომ 1122 წ. ალექსი ბრიენ-კომნენმა მართლაც დაგით II-ის ასული  
შეირთო, და მათმა კავშირმა შემდეგში ეს ნაყოფიც მოიტანა: თამარ  
მეფის მიერ კომნენთა ჩამომავლობის პატრიონობა და 1204 წ. ტრა-  
პიზონის ტახტზე აყვანა!

19) Nicetac Choniatae Liber de rebus post captam urbem  
gestis (ed. 1835). P. 828, 842. ნიკიტა არის 1180-1206 მომხდარ ამ-

<sup>1)</sup> დავით II მამიდა და ბაგრატ IV ასული მართა, ბიზანტია-  
ში მართა, იყო ცოლი მიხაელ VII დუკასის, რომელიც 1071-1078 წწ.  
კეისრობდა. მართა, სიმშვენიერით და ნიჭით გამოჩენილი, კარგათ  
ცნობილია ბიზანტიის ისტორიაში, ალექსი I კომნენის ხანშიც.

ბავრა ალმწერი. 1204 წ. შემდეგ თ. ლასკარისის შრეში ნიკიაში ცხოვობდა. იხ. Krumbacher. Gesch. d. byzant. Litteratur.

20) იხ. N. de Wailly-ს უკვე დასახელებული გამოცემა ვილ ჰარდუნის ქრონიკისა, სადაც მოთავსებულია აგრეთვე Histoire de l'Empereur Henri par Henri de Valenciennes. §§ 550-554. P. 334-5.

ერთგულობის სსენება აქ იმას ნიშნავს ოომ ლათინთ მეფის და დავით კომნენის შორის პატრიარქური კავშირი იყო: დავითი ჰენრიკის ვასსალი ყოფილა. იხ. აქვე გვ. 107-8.

21) 1203 წ. საქმის თაობაზე ივ. ჯვარიშვილმა („ქართ. ერის ისტორიია“, I, 49) შემდეგი მსჯელობა გამოსთქვა: „ქართველებმა მხოლოდ მე-XIII საუკუნის დასაწყისს ჩაიგდეს მთელი ეს ქვეყანა (ე. ი. შავი ზღვის ნაპირი: „ლაზია, ტრაპიზონი... არაკლია“) ხელში ...მაგრამ იმის მაგივრად, ოომ მრავალ საუკუნების განმავლობაში დაშორებული და მოწყვეტილი ლეიძლი ძმები ლაზები და ჭანები ქართველობისაკენ სამეფოსთვის მიემატებინა, თამარ მეფემ ტრაპიზონის სამეფო დაარსა და თავის ნათესავს ალექსი კომნენს ანდრონიკეს შვილს უბოძა“.

ამგვარი დასკვნა ბუნებრივია ახალი დროის ისეთ მცნებათა მიხედვით, როგორიც არიან იორედენტიზმი, ეთნიურ პრინციპზე აგებული პოლიტიკა ანუ საზღვრები და სხვა. მე-XIII საუკუნეში ეროვნული ერთობის შეგნება ისეთი ლომა და გარევეული არ იქნებოდა. კერძოდ, ზღვის ნაპირი ტრაპიზონიდან ჰერაკლიამდე ყოველ შემთხვევაში საქართველოს გაერთიანების სქემის გარეშე დარჩებოდა. ჭანეთი კი უფრო ვიწრო დარღლებში რომ აეიღოთ, თუნდაც ტრაპიზონითურთ, ეს მხარე 1204 წ. საქართველოს პოლიტიკურ სფეროში ხომ ერთგვარად მოთავსდა, და იმ დროის სახელმწიფო მოღვაწეთა თვალში ეს ალბათ შემოერთებას წარმოადგენდა; ყოფილა კიდეც, თანამედროვე პოლიტიკური ტექნიკის თვალსაზრისით (პატრიარქური დამოკიდებულება). ვინ იცის, სხვა პირობებში ქართული ვანათლება იქაც გავრცელდებოდა და ბერძნულის ადგილს დაიწერდა. ტომობრივი ნათესაობა თანდათან ეროვნულ გაერთიანე-

ბასაც დაუთმობდა ადგილს და მაშინ საქართველოს ახალი ნაწილი მართლაც მიემატებოდა. ისტორიის ფაქტიური მსელელობა სულ სხვა იყო.

22) ალექსი კომნენი ზოგჯერ კლლეთა და ლაზთა ბატონად ითვლებოდა; აგრეთვე კლლეთიდის მფლობელად. იხ. Nicophori Gregorae Historiae Byzantinae. T. I., 1829, p. 149.

კოლხიდა, ლაზია, ივერია; კოლხი, ლაზი, ივერი—ამ ტერმინებას მნიშვნელობა ცოტა ბუნდოვანი იყო. „კოლხების“ და „ივერთა“ ხსენება უყვარდათ რადგან ამაში ძველი ბერძნული ტრადიცია იხატებოდა. „ლაზი“ უფრო მდაბიური ეგონათ. ამ სახელთა ისტორია და აღნიშნულ ტომთა და ქვეყნების გამორკვევა თუნდაც მხოლოდ სატრაპიზონოსა და საქართველოში მეტად რთული საგანია და მსაქანი უფრო მეტად რთული საგანია და მსაქანი უფრო მეტად რთული საგანია.

23) ამ პატრონ-ყმობას იხსენიებს მაგალითად Vincentius Belvacensis—Vincent de Beauvais, მე-XIII საუკ. ცნობილი მწერალი. თანახმად ვინცენტისა, ალექსი ტრაპიზონელი უკვე 1211 წ. სელჩუკ სულთნის უმად სჩანს! ისის საყურადღებოა, რომ ეს კომნენი აქ ბატონად და არა ხელმწიფედ ითვლება. ამ ალექსის სამეფო ხარისხს თვით დიუკანუი, ბიზანტინისტთა სახელოვანი პატრიარქი, უარპყოფს. იხ. Du Cange. Familliae byzantinae, ed. 1680, p. 192. მართლაც, მრავალ ბერძნთა თვალში ტრაპიზონელი ალექსი უფრო „ბატონი“ და არა მ-ფე იქნებოდა. კერძოდ ტრაპიზონელთ „კეიის-რობას“ თავდაპირეელად უფრო პროგრამის, მისწრაფების მნიშვნელობა პქონდა; მერე-კა მასში მეგალომანიაც იხატებოდა.

ცნობილ ქართულ ნაწერში, 1920 წ. ტფილისში დაბეჭდილ „სელმწიფის კარის გარიგება“-ში, რომელიც მისი გამომცემელი, ე. თაყაიშვილის განმარტებით მე-XIV საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი, მოყვანილია შაირი:

ვინ ნაჭარ მაგევს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს  
და ნათევამია რამ არსენი იყალთოელისა არისო, ე. ი. დავით ॥

## ჯვაროსანთა დროიდან

დროინდელი ყოფილა (ამ „გარიგებით“). იქნებოდა მოთავსებულია ამ 12 მეტეთა სიაც, ფრიად საყურადღებო, მაგრამ, თუ არა ეცდები, თვით „გარიგების“ დაწერისაგან შეთხული. იქ სხვა ჩეფეთა შორის ტრაპიზიკანდულიც იხსენიება. ეს ანაქრონიზმია; ტრაპიზიკონს 1204 წლამდე „მეფიები“ ვის გაუგონია. ისე კი დავითის თანამედროვე ტრაპიზიზე მთავართა საქართველოში სტუმრად მოსელა ადგილად წარმოსადგენია, მით უმეტეს ორ მ ცნობილია იმ დროის ჭანეთის დიდი ადგილობრივი გარები, სეპარატიზმის მომხრე. ყოველ შემთხვევაში, სხანს რომ ამ სიაში ტრერმინი „მეფე“ გარკვეულ მნიშვნელობას მოკლებულია.

უფრო კი საფიქრებელია, რომ „გარიგების“ სია ხელოვნურია და განვებ მწიფობრულად შედგენილია, რათა გაამართლოს ა. იყალთოელის მიერ 12 მეტეთა ხსენება. ეს რიცხვი (12; სხვა ვარიანტით 7) აღმართ პირობითია.

რაც თურქულ მოთხრობას შეეხება ის. მთელი თავი.: ამბავი სულთნის (იზეფდინ-კეიკავუსის) სინოპისკენ წასვლისა, „სელ-ხუკ-ნამე“-დან ამოღებული ე. ი. ამ მატიანის შემოვლებული რედაქციიდან, რომელიც გამოსცა ფრანგ ორიენტალისტ Ch. Schefer-მა და რომლის რუსული თარგმანი დაიბეჭდა 1894 წ. P. Melioranaskii. Seldjuk—nameh kak istotchnik dlja istorii Vizantii v XII i XIII vekakh. Vizant. Vremennik. T. I. ეს სელჩუკთა მატიანე ხშირად სიმართლეს ე. ი. ნამდვილად მომსდარ ამბებს ამაზინჯებს და ასხვაფერებს—რაც სულთნებისთვის უსიამოვნოა, მას მაღავენ და სხვა; ასე მსჯელიბს ამ ისტორიულ წყაროთა ევროპიელი გამომცემელი M. Th. Houtsma. იხ. მიხი წინასიტყვაობა Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure d'après l'abrégué du Seldjouk nameh d'Ibn-Bibi. Leide 1902. მანთლაც, ჩვენი ისტორიკოსი ძალიან ახირებულად ხსნის, თუ რა ყოფილა იმ ომის მიზეზი, როცა დამარცხდა ერზერუმთან ქართველთაგან სულთანი რუქნ-ედდინ სულემან-შაჰი. იხ. პ. მელიორანსკის თარგმანი, გვ. 621-622.

მაგრამ ამბავი კირ-ალექსის ტყვედ წაყვანისა მთავარ ხაზებში ძალიან რეალისტურად აღწერილია და ბევრს საყურადღებო ცნობებს შეისავს.

## ტრაპიზონის საქმე

24) იხ. უკვე დასახელებულ Fallmerayer-ის და Finlay-ის თხუმულებათა გარდა: William Fischer, Trapezunt und seine Bedeutung in der Geschichte. 1886. მიხიდეთ: Trapezus im 11 und 12 Jahrhundert. (Mitteilungen des Instituts für österreichische Geschichtsforschung. B. 10. 1889).

25) ამ მხრივ საყურადღებოა რომ კორიდეთის ცნობილი ბერძნული სახალების ერთ-ერთი ქართული მინაწერი ე. ი. იქ ჩაწერილი გუჯარი მეფე დავით ნარინთან (1259-1293) ერთად ასახელებს აგრეთვე ტრაპიზონელ მეფეს გიორგის (1266-1280). იხ. N. Mart. Izv. Akad. Nauk, 1911, p. 223-4.

26) მაგალითად „ტრაპიზონის ქრონიკაში“ ვკითხულობთ, რომ, როდესაც კირა-ანნა, კირ ალექსი III-ის ასული, ივერთა და აფხაზთა მეფეს კირ-ბაგრატს მიათხოვეს. დიდის ამბით ლაზიაში წაიყვანესო, სადაც მეფე ბაგრატის ჩამობრძანდა, და მაკრიალს (მაკროს-ეგიალს ანუ გრძელი ნაპირი) ჯვარი დაუწერიათ (1367). ხუთი წლის შემდეგ ისევ ჭანეთში შეხვდნენ ერთმანეთს სიმამრი კომნენი და სიძე ბაგრატ მეფე. იქიდან ცხრა ხომალდით (გალერით) და ორმოცი ნავეთ ბათომს მისულან, სადაც გურიელიც ეახლათ. ეს იყო 1372 წ.

ჭანარეტს თუ დავუკარეთ, ეს გურიელი ყმობის შესამოწმებლად გამოცხადებულა. მაგრამ ვისი ყმა იყო? ტრაპიზონელი მეფისა — ასე იგულისხმებს ბერძენი მწერალი; თუმცა ამას ცხადად არ ამტკიცებს, არც გვეუბნება, ვისი იყო მაჟინ ეს ლაზია, მაკრიალი, ბათომი და სხვა იქ დასახელებული ადგილები. ბათომი საკითხის გარეშეა. მაგრამ გონიას ფალმერაიერი ტრაპიზონის სამეფოს საზღვრად სთვლიდა, იმ შოსაზრებით რომ შემდევში იქვე ოსმალეთის და საქართველოს საზღვარი ყოფილა. მერე კი აზრი გამოიცვალა და გურიელის მამულად იცნო. მაგრამ მაკრიალი?

ზემო მოყვანილ შემთხვევაში უფრო საფიქრებელია რომ ჯვარის წერის ადგილი ბაგრატის სამფლობელოში იქნებოდა, და არა მისი ტრაპიზონელი სიმამრის მამულში, რომელიც საქართველოს მეფესთან შედარებით პატარა დინასტიი იყო. გურიელიც

## ՀՅԱՀՈՍՏԱՆԴԱ ՊՐԵՄԻՋԱ

მაშინ ბაგრატის ყმა იქნებოდა. ცოტა შემდეგ კი, როცა თამერლანის ომებმა საქართველო ძალიან შეასუსტეს, წარმოსაღებია საგურიელი ზღვის ნაპირის ტრაპიზონისკენ „ორიენტაცია“. მაგრამ ეს უფრო გამონაკლისი იქნებოდა.

27) უკვე გსთქვით რომ ტრაპიზონის სამეფოს ეროვნული სიმარტიული ტრიუმფი და მთლიანობა აკლდა. მის ისტორიაში ღრი მიმართულებაა: ზოგადი ბერძნული, ბიზანტიური, და კერძო, ადგილობრივი: ტრაპიზონის ისტორიკოსები ზოგიერთ იქაურ პოლიტიკურ ბრძოლას სწორეთ ამთა ხსნიან, მაგალითად ესრედ წოდებულ სეილარ-მეზონხალდთა შორის განხეთქილებას. ამ მოვლენას სულ უკანასკნელად რუსის ბიზანტიინისტი უსპენსკი-ც იხსენიებს, და იმ წინააღმდეგობას უთითებს ორმელიც ტრაპიზონის არისტოკრატიას ორ ბანაკად ჰყოფდა და ამ გვარად მეფის წინაშე ასულსტებდა—სახელმობრ, ქართული (უფრო კი ჭანური) და სომხური მოდგმის ადგილობრივი კვარები ერთ ჯგუფში ყოფილან, ბიზანტიის ბერძნებიკი, დედა-ქალაქიდგან ახალი ძალებით ხშირად გამაგრებულნი. მეორე ჯგუფს წარმოადგენენ. მართალია, ადგილობრივი აზნაურობაც ძალიან გამერმებული იქნებოდა. იხ. F. I. Uspenskii. *Sotzi-alnaja evoluzia i feodalizatzia Vizantii. Annaly izd. Ross. Akad. Nauk, kn. II, 1923, p.p. 113-4.*

სხივი დასავალისა

## ს ს ი გ ი დ ა ს ა გ ა ღ ი ს ა

1207-8

1

მე-XII საუკუნის უკვე პირველ წლებში ფრანგ ჯვაროსნებმა შეიგნეს მაშინდელი საქართველოს მხიშენელობა მათი სამსედოო ახალ შენთა არსებობისათვის სირია-პალესტინაში. ეს ნათლად იხარება წმ. საფლავის ხუცესი ანსის 1108-9 წ. წერილებში, ერთს სხვა ცდაში რომ განვიხილავთ (ერთი ჯვარის გარშემო, აქვე).

მაშინ დავით II-ემ ჯვაროსნებს მტკიცედ აგრძელობითა რომ ჩრდილოეთში, სარკინოზთა წინააღმდეგ, მათ მოკავშირე ჰყავდათ.

საქართველოს გაძლიერება, წინა-აზიის ძალათა თახასწორობაში შესამჩნევი, საკმაოდ ხანგრძლივი იყო. და მას დიდი ყურადღებით იხსენიებს ჯვარისას ომთა მე-III საუკუნის გამოჩენებით და საფუძვლიანი აღმწერი ვიღერმ ანუ ვილპელი, ტვირის ფრაგი აოქიეპისკოპოზი (დაახლ. 1130-1190). <sup>1)</sup>

დავით II-ის სურათში იერუსალიმელ ფრანგ მწიგნობარშა, თუ მკითხველს ახსოვს. ცოტა რამ ზღაპრულიის შეიტანა; საქართველოს შეფე „გოგ და მაგოგ“-ის დარაჯად გახადა და ამგვარად საშუალო საუკუნეებში ერთი მეტად გავრცელებული ლეგენდა გამოიყენა. <sup>2)</sup>)

დავით აღმაშენებელის მიერ კავკასიის „დარაჯობა“ ხომ ისტორიულად უტყუარი ფაქტია. ზღაპრულია აյ მხოლოდ კავკასიის მთით შეზღუდული „გოგ და მაგოგი“. ხოლო ზღაპრებით სიხაშდვილის ამშენება და გართულება მაშინაც ჩვეულებრივი რამ იყო, ეხლაც კაცობრიობის ყოველ-დღიურ საწუგეშო საზრდოს წარმოადგენს.

თან და თან კი, მიღებული ტრაზიციის ნიადაგზე, თვით ეს ისტორიული დავით II, რომლის გამარჯვებამ თდესმე ანტიოქიის ჭანცლერი გოტიე ისე აღაფრთოვანა (იხ. აქვე გარშემო ერთის ომისა) და ეს მეფე შორეულ ქვეყნებშიც ასახელა, \*) ზღაპრულ არსებად იქცა, იმ მიღია-სპარსეთის მეზობელი და მებრძოლი, ქრისტიანი „მეფე დავით“ად, რომლისგან შე აIII საუკუნეშიც ჯვაროსანთ ოცნება დახმარებას მოელოდა!

ბუნებრივი იყო რომ ეს მწიგნობრული ფანტაზია ერთს სხვა, უფრო გაერცელებულ და კარგათ ცნობილ თქმულებას დაუკავშირეს: რომლით სადღაც აღმოსავლეთში, უფრო-კი ინდოეთის მიდამოებში, ძლიერი ქრისტიანი სამეფო არის, სადაც ვინმე „იოანე ხუცესი“ მეფობს. \*) „იოანე ხუცესის“ დიდი იმედი ჰქონდათ ამ გაკირკებულ ჯვაროსნებს... და იფიქრეს რომ ეს განთქმული და საიდუმლო იოანე ხუცესი და „დავით მეფე“ ერთი პირია. ამისათვის, ევროპის ერთობლივი იმდროინდელ ქრონიკებში არა ერთხელ იხსნიება „მეფე დავით, იოანე ხუცესად წოდებული“! ”

ამგვარ ბუნდოვან ოცნებათა ახსნა, რასაკვირველია, თვით ჯვაროსანთა ნარიგრასა და გაჭირვებაში უნდა ვეძიოთ. ხოლო ამით ჩვენთვის უფრო გასაგები ის სულისკვეთებაც ხდება, რომელმა იქვე და იმავე პირობებში ერთი სხვა ლეგენდაც წარმოშვა, ჯვაროსანთა დროის ფრიად დამახასიათებელი.

2

ჯვაროსნებს ქალიან უჭირდათ საქმე სირია-პალესტინაში; სარკინოზებს ემარჯვებოდა — იერუსალიმი სალაპედინმა (სალადინმა) „წარულო“ ფრანგებს 1187 წ.

შმიდა ქალაქის დასაბრუნებლად ამოძრავდა მესამე ჯვაროსანთა გამოლაშქრება (1189-1192) — საფრანგეთის, გერმანიის და ინგლისის მეფეთა მეთაურობით.

... ეერც რიშაპ ლომბულის სარდლობაშ ქრისტიანობას ჯვარ-შმულის საფლავი დაუბრუნა. და იერუსალიმის სამეფოს აწ მარტი ზღვის ნაპირი შეადგენდა; ანტიოქია და სირიის ტრიპოლიც ჯერ-ჯერობით შეინარჩუნეს ჯვაროსნებმა.

## ჭივი დასავალისა:

სალადინის ლირსეული ძმა და მემკვიდრე მალექ ალადილ, ეგვიპტეს სულთანი და სირიის მფლობელი, მისდევდა იმავე პოლიტიკას—მუსლიმანთა გაერთიანებისას. ამასთან მათში ძლიერდებოდა ჯიპატის—წმიდა ომის—მიღრევილება: ჯვაროსანთა სიმსწრივე კი ეფრობაში სუსტდებოდა. აღმოსავლეთში, მცირის წინაშე დარჩენილ ფრანგთათვის დადგა რომ განსაცდელისა:

ესრედ წოდებული მეოთხე ლაშქრობის გამგეებმა, განსაკუთრებით ვენეციამ და საფრანგეთიდან წამოსულმა მხედრობამ, მაპ-მადიანებთან სირია-პალესტინაში შებრძოლებას კონსტანტინეპოლის ალება ირჩიეს 1204 წ. მთელი მათი ყურადღება მათ ხელში ჩავარდნილ ბიზანტიის ნანგრევებმა მიიპყრეს. ”).

რა უნდა დამართოდა ამასობაში ევროპიელ ჯვაროსანთა იმ სამხედრო ახალშენებს და ციხე-ქალაქებს, გაძლიერებულ აღმოსავლეთის სელმწიდებებს რომ ჯერ წინუდგნენ და მამაცურად თავს იტავდნენ? საითგან მოელოდნენ დახმარებას?

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც ქ. ბეზანსონის პატრიონის და არქიეპისკოპოზს (ბეზანსონი მაშინ საკუთარ მღვდელთმთავრებს ემორჩილებოდა; საფრანგეთის სამეფოს გვიან შეუერთდა) შემდეგი არა-ჩვეულებრივი წერილი მოუკიდა, ზღვის-გალმიდან გამოგზავნილი...

სწერს ლათინურად ვინმე ფრანგი რაინდა:

„ქრისტეს მიერ სასიქადულო მამას. და პატრიონის საყვარელსა ა(მედეს), ლეთის განგებით ბეზანსონელ არქიეპისკოპოზს, გ... დე ბუა, მდაბალი მხედარი, ამენ. ვიცი ჩემი კეთილდღეობა თქვენთვის სასიხარულოა, ამისათვის საცნობელ იყოს თქვენდა. რომ, ნებითა ლეთისათა, მე და მეულე ჩემი ჯანმრთელად და უვნებელად ვიმუოფებით.

აღთქმის ქვეყნისა: და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილთ ამბავთაგან შემდეგი განვიზრას მოკლეო აღმენიშნა—სულ თუ არა, ზოგიერთი რამ მაინც, რაც უფრო საყურადღებოდ ჩანს პირველად საცნაურ იყოს თქვენდა რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი აქვს სარკინოჩებთან; ანტიოქიის სამთავროსაც, რომელმან ურიცხვი

\* იხ. ამ წიგნში „ტრაპიზონის საქმე“.

## ჭევაროსანთა ღროიდან

დევნა განიცადა ხან ბაბილონის სულთნისაგან, ხას სომხეთის მეფი-საგან, ხანვრძლივი დაზავება აქვს ზემოთქმულ სულთანთას.

აწ ისმინეთ სხვა ომ საკვირველი და საყურადლებო. ამბად მივიღე, და საქმის სიკეშმარიტე სანდო მოციქულთაგას გავიგეთ, ომ ივერიითაგან ვინჩე ქრისტეანენი, ვიორიგენებად წოდებულის, ურისხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთვანებელ დახმარებით ძალითა ფრიიდ აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდევ სწრაფად აღდგენ, და იღეს რა უპვე 300 ციხე და 9 დი-დი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტი ხაცარ ტუტად აქცი-ეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარ-მართთა ქალაქთაგან უფორ წარჩინებული ყაფილა და დიდი. იმ ქა-ლაქის პატრიანი ბაბილონის სულთნის შვილი იყო; და ზემო ნათ-ქვაშ ქრისტეანთაგან ტყველ ქმნილს, თავი მოეკვეთა, თუმცა უზომო იქროს განძის მიပება აღუთქვა.

აერძოდ რადა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნული წმიდა იერუ-სალიმის მიწის სახსნელად მოვლეს და მთელ საწარმართოს დაი-მორჩილებენ. შეფე მათი წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექ-სანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებათ. ჭაბუკი ეს დედის მისის დედოფლის უძლიერესის თამარის ძელებს თან ატარებს, ოომელმაც სანამ ციხესლობდა, იერუსალიმად წას-ვლის აღთქმა ასადგა, და შვალსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალე-ბოდა, ომ ძლიერი მისი უფლის საფლავთან წაესვენებიათ. მან კი, დედის თხოვნათა ყურადმლებელმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმიდა ქალაქში წარ-მართთა ხებით თუ უნებლივედ.

გატყობინებთ აგრეთვე, ბატონი "... და სხვ. ")

3

უს ეპისტოლე, აღმოსავლეთის, ჯვაროსანთა ოომელიმე ახალ-შენსა ანუ ბანაქში დაწერილი, სირია-პალესტინის ამბებთას ერთად საყურადლებო ცნობებს აგრეთვე თამარ შეფის და ლაშა გილოვიზე შეიცავს.

უფრო მნიშვნელოვანია აქ თამარ მეფის, ვეონებ; სრულებით უცნობი ანდერძის ხსენება; ისიც რომ ამ წერილის შედგენის

## სხივილასავალისა

დროს ეს დედოფალი სირიის ფრანგთა შორის უკვე მიტვალებულად ითვლებოდა. როდის გარდაიცვალა თამარ მეფე? ეს ხომ რაღაცა ბურუსით არის მცული. და შესაძლებელია ორმ ამ ფრანგულ ხა-ბუთს რაიმე ფასი პქონდეს ამ საჭიროის გამოსარკვევადაც.

სამწუხაროდ ეპისტოლე უთარილო, ასე რომ რაიმე უშუალო და ახალი ქრონოლოგიური მოწმობა მასში არ მოიპოვება. თავით-განვე ერთი რამ იცოდნებ: წერილი იყო ეპისკოპოზი ამედე დე ტრემლეი-ს სახელზე გაგზავნილი, რომელიც ბეზანსონელად 1195-1220 წ.წ. იჯდა. ამ ქრონოლოგიურ ფარგლებში წერილსაც მიიღებ-და და იქ მოხსენებული ამბებიც უნდა მომხდარ იყო. ხოლო ამგვა-რი დაასლოვება არაა საკმარისი.

თვით ამ ნაწერის შინაარსი საშუალებას გვაძლევს მისი შედ-გენის დროის გამოსარკვევად.

რაც აქ ქართველების ლაშქრობაზეა ნათქვამი, ნამდვილ საქ-მეთა გამოძახილი უნდა იყოს. მაგრამ ამ სწობებს გაზვიადება და გადასხვაფერება ეტყობა. ამ წერილის თარიღის გამოსაშვარავება უფრო ალებილი იქნება, თუ კი მის, ასე ვთქვათ, ადგილობრივ იხფორმაციას გამოვიყენებთ. მართლაც, ბეზანსონელი ეპისკოპოზის კორრესპონდენტი ისეთ რამესაც იხსენიებს რაც მას ჭორად ანუ ამბად კი არა პქონდა გაგონილი, არამედ ბრტყიცედ უხდა სპონადა

### 4

წერილში ნათქვამია რომ ა) იერუსალიმის სამეფოს ბაბილო-ნის სულთანთან დაზავება აქვსო და ბ) ანტიოქიის სამთავრომაც ამ ბაბილონის სულთანთან ზავი შეპკრა.

„ბაბილონი“ მაშინ ქაიროს ნიშნავდა, და ამ „ბაბილონის სულთნის“ ვინაობა სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს არის სალადინის ზემოთ უკვე დასახელებულის ძმა და მემკვიდრე, ეგვიპტეს სულთა-ნი და სირიის ამირთა მბრძანებელი მალექ-ალ-ადილ ანუ მალექ-ადელ (1200-1218). ცნობილია ზავი მის მიერ იერუსალიმის სამე-ფოსთან (იერუსალიმის უკვე მოკლებული) ექვსი წლით დადებული 1204-1210 წ. მეტე, ხანმოკლე ომიანობის შემდეგ ახალი ზავი ჩამო-გდეს 1211-1227 წლამდინ.

ამ თან დაზავებისაგან რომელი იგულისხმება ფრანგი რაინდის

## ჯვაროსანთა დროიდან

წერილში? ამას უფრო ადგილად მივხვდებით თუ კი იქვე მოხსენებულ „ბაბილონის სულთანთან“ ანტიოქიის სამთავროის დაზავებას მივაქცევთ ყურადღებას.

ჩრდილო სირიაში მდებარე, ეს ანტიოქიის ჯვაროსანი სამთავრო სწორეთ მაშინ განსაკუთრებული პირობებში იმყოფებოდა. მის წინააღმდეგ მუდმივ სადინასტიო და „მეზობლურ“ ომს კილიკიის სომები მეფე ლეონ II აწარმოებდა, ხოლო ამ ბრძოლაში ბოემონდ IV ანტიოქელს ალეპოს ამირა, მალექ-ადელის ყმა ანუ ვას-სალი მთარს უჭერდა, ე. ი. მუსლიმანი — ქრისტიანის. მაშასადამე ანტიოქიის მთავარი ამ ხანაში სარკინოჩებს არამაც თუ არ ებრძოდა, არამედ მათვან დახმარებასაც სომეხთ წინააღმდევ ლებულობდა.

ამ პირობებში, რა დაზავება უნდა დადებულიყო ბოემონდის და მის მოკავშირე მუსლიმანთა შორის? საქმე ისაა რომ ანტიოქიის ხსნებული მთავარი იმავე დროს ტრიპოლის პატრიკიის იყო. და ეს ქალაქი ჯვაროსანთათვის ერთი მთავარი ბაზათაგანი ყოფილა სირიაში. 1207 წ. იქიდან ზოგიერთ ფრანგ მეომრებმა საშედრო მოქმედებას დაიწყეს; ამის საბასუშოდ მალექ-ადელი ტრიპოლიზე იერიშით მივიდა. ეს შეტაკება დიდ ხანს არ გაგრძელდა, და მალექ-ადელმა ბოემონდ ტრიპოლისელ-ანტიოქელთან მალე ზავიც შეჰკრა.

ეს იყო ივ ჯისის გასულს 1207 წ. და. თუ არ ვსცდები, ანტიოქიის და სულთანის სწორეთ ეს დაზავება უნდა იგულისხმებოდეს ფრანგის ეპისტოლეში.

მისი სიტყვებით, ანტიოქიის სამთავრო კილიკიის სომეხთაგ 5 მრავალ გზის დარბევას განიცდიდა — მართლაც, ცნობილია ლეონის შემოსევანი 1203, 1204, 1205 წ.წ. — მაგრამ ამ მეფესთნ დაზავებას კი კერძოდ არ იხსენიებს. ეს იმით აიხსნება, რომ ეს სომეხთ მეღვა ლეონი 1206 წ. ალექპოს ამირას ეომებოდა, ანტიოქელი ბოემონდის მოკავშირეს; და როცა იმავე 1206 წ. მათ (ე. ი. ალექპოს ამირა — ლეონ II) შორის დაზავება მოხდა, ანტიოქიაც, ალაბის ანუ ალექპოს მოკავშირე, მის პირობებში მოათვეს. ზავი რვა წლით იქმნა დადებული.

ამნაირად ირკვევა რომ ფრანგი რაინდის წერილში მოხსენებულია იერუსალიმის სამეფოს. და მალექ-ადელის, 1204-1210 წ. და-

ზავება; და იმავე სულთნის „და ანტიოქელი ბოეშონდის შორის და-  
დებული 1207 წ. ივლისის ზავი. 1206-1214 წ. ანტიოქიის დაზავება.  
რომა დე ბუამ თ: ვისი წერილი გავზავნა, კერ ახალი რამ უნდა ათ-  
ფილიყო (ანტიოქიას ზავი დიდი სნით აქვსო). ამისათვის საფიქრებე-  
ლია რომ ეს წერილი 1207 წ. შედგენილია, ალბათ სექტემბერში (და-  
წერი საჩქაროდ ერთს ახალ ამბავს უმატებს, რომელიც ეხება მცირე  
აზიაში მომხდარ დიდ მიწის ძერას, და თითონ ამბობს, ეს ამბავი  
აგვისტოს ბოლო შვიდეულში გავიგეთო), მაგრამ მივიღოთ 1207-  
1208 წ. \*)

5

ესლა ჩვენთვის უფრო ადვილი იქნება იმისი გამორკვევა, თუ  
რომელია ეს ქართველთა ლაშქრობა, ფრახვის მიერ ისეთის ალტაც-  
ებით აღწერილი.

ფრანგი მხედარი ამ ომის თანამედროვეა. იგი მოელის ახლო  
მომავალში ძლევა-მოსილი ჯარის პალესტინაში ჩასვლას. ეს წე-  
რილი უთუოდ მაშინ დაიწერა რომა წინა-აზიაში ქართველების ზე-  
მო ევფრატზე დიდ გამარჯვებათა ხმა გავრცელდა.

1207-8 წ. თარიღის მიხედვით საფიქრებელია რომ მნიშვნელო-  
ვანი ქალაქი, ევფრატზე მდებარე და ქართველთა მიერ დაბყრობილი  
არის კარი (კარინ ე. ი. ერზერუმი); და თუთ ომი, რომლის მსელე-  
ლობამ ჩვენი რაინდი ისე გაახარა, ის უნდა იყოს, რომელშიც უფ-  
რო ადრე სასტიკად დამარცხდა რუმის სელჩუკი სულთანი რუქ-  
ედინი. \*)

ამ ბრძოლის ასპარეზი ბასიანი იყო, სახელდობრ ის „პასი-  
ნის“ ველი, მე-XIIX საუკუნის ომებში რომ ხშირად იხსენიება.

ერზერუმი ქართველებმა პირველად რომ აიღეს, „მონაპირედ“  
და „მცველად“ იქ ივანე ახალციხელი დააყენეს. მაგრამ ხელიდან  
მალე წაუვიდა, ვინაიდან მეორედ გარემოსვა და აღება დასჭირდათ.  
ბოლოს დაიპყრეს, ხოლო ქალაქმა უშუალო ქვეშეგრდომობა

\*) ე. წოდებული „ბოლოსტიკეს ომი“, რომლის თარიღი სა-  
ეჭვო (1204-1206).

## ჯვაროსნთა დროიდან

სთხოვა,\*) ამისათვის თამარმა „უბრძანა ქესა თვისსა გიორგის რა-  
თა შევიდეს და თვით მიითვალოს ქალაქი და ციხე“, ეს უნდა 1207-8  
წ. მომხრარ იყო.\*\*)

საერთოდ ერზერუმის ორგზის დაპყრობა და რუქ-ედდ ნის  
დამარცხება ძლიერ, ხანგრძლივ და რთულ პოლიტიკურ და საომარ  
მოქმედებას წარმოადგენდა. მისი ბოლო ეპიზოდი, ისიც დიდი ჯა-  
ზივიადებით და გადასხვაფერებით, აღწერილია ფრანგი რაინდის წე-  
რილში. კერძოდ გაზვიადე ზულია ლაშა-გიორგის მნიშვნელობა: იჯი  
მაშინ თავის მშობლებს ახლდა. სხვა არაფე ი. მაგრამ სწორეთ მე-  
მკვიდრის ჯარში ყოფნა კარის აღების დროს, რომელიც ფრანგსა  
თითქმის სარდლობად მიაჩნია, ნებას გვაძლევს ვიჟიქროთ რომ მისი  
წერილ ერზერუმის აღებას იგულისხმებს. \*)

ამგვარად ეს ცნობებიც წერილის 1207-8 წ. თარიღს ადასტუ-  
რებენ: „აოგილობრივი“ და „გარეშე“ ინფორმაცია ერთმანეთში  
ზეთანხმებულია. და ცხადია რომ ეს ფრანგ ული მოწმობა იმას იმე-  
ორებს, რაც სხვა წყაროებიდანაც ცნობილია. მისი საკუთარი ფასი  
უფრო ისაა რომ ცოცხლად გვიჩვენებს, თუ როგორი შთაბეჭდი-  
ლება საქართველოს ამ ძლიერმა ბრძოლამ სირია-პალესტინაში  
მოახდინა.

მაგრამ ჯვაროსანი მხედრის ამ ეპისტოლები 1207-1208 წ.  
თამარ მეფე უკვე მიცვალებულად იხსენიება. და ეს ცნობა საქმეზ  
ართულებს.

### 6

რომ კარის დაპყრობის დროს თამარ მეფეც და დავით სოს-  
ლანი ჯერ ცოცხლები იყვნენ, ეს უეჭველია. ქართული ცნობები  
ამას კატეგორიულად ცხად ყოფენ.

ფრანგის წერილში არაა აღნიშნული როდის მიიცვალა თამა-

\*,.... ითხოვდეს... რათა არა განსტეს კარი, ვითარ ანისი და  
დვინი, არამედ სამეფოდ დაიჭიროს“.

\*\*) „ოცდამესამედ გინა-თუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა  
მისისასა წელიწადსა“... ქ. ტ. 509.

## სხივი დასავალისა

რო. იგულისხმება მხოლოდ რომ ერზერუმის გარშემო ატეხილი ომების ეპოქაში (თუნდაც რომ ამ ქალაქის აღების შემდეგ) დაახლოვებით 1207-8 წ. უკვე ცოცხლად არ ითვლებოდა.

სპეციალისტების აზრით კი თამარი 1212-1214 წ. გარდაიცვალა.<sup>1)</sup> ხოლო თ. უორდანიას შემდეგიც აქვს აღნიშნული: „სამი ქართული ქრონიკული ცნობა გვაქვს, რომელიც გვიჩვენებს თამარ მეფის გარდაცვალებას 1206 და 1207 წელს“.  
(ქრონიკები, ტ. I, 297). ამ მკლეოდარის აზრით ეს ცნობები უმცირია. ივ. ჯავახიშვილის დასკვნა კატეგორიულია: „თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად უნდა 1213-1214 წ. ვიცნათ“. (ჩარ. ერის ისტ., 634); ესეც მიუსცდავად იმისა რომ „არა ერთი და ორი წერილი არსებობს, სადაც 1207 წ. პირდაპირ თამარის გარდაცვალების თარიღად არის დასახელებული“. (იქვე 618-619).

ეს ფრანგული მოწმობაც ცნობების ამ ჯგუფს უნდა უკუმატოთ. განსაკუთრებით საყურადღებოა რომ ერთ ქართულ ნაწერში ნათქვამია: „ამას წელსა (1207) კარი აღღეს და თამარ დედოფალი გარდაიცვალა“... (თ. უორდანია, ქრონ. I, 294). ე. ი. სწორეთ როგორც ფრანგი რაინდის წერილში, თუ კი იქ კარი—ერზერუმი იგულისხმება, აქაც კარის აღება და თამარის სიკვდილი რაღაცნარი დაკავშირებით იხსენიება.

საერთოდ, თამარ მეფის ისტორიის ქრონოლოგიაში ბევრი რამ ეხლაც საეჭვოა და არა საბოლოოდ გამორკვეული. ამ დედოფლის გარდაცვალების თარიღად 1207 წ. მიუღებელია, და უარყოფილია მკლეოდართა მიერ, მრავალი ცნობების მიხედვით.

ამისათვის საფიქრებელია, რომ დავით სოსლანი როდესაც მიიცვალა (სწორეთ კარის აღების შემდგე, 1207 წ.) ხმა გავრცელდა თამარ მეფის სიკვდილის და ამ სახით და დიდი ამბის შთაბეჭიდილებით ზოგიერთებს ჩაუწერიათ ეს ყალბი<sup>2)</sup> ცნობა (საქართველოშიც! რაიცა საკვირველია) და ჩვენამდე მოაღწია გაუსწიო რებლად.

იბნ-ალ-ათირის ამგრანი მოწმობა (რომ ქართველი მეფე 1207 წ. მოკვდა) უკვე მ. ბროსსეტის მიერ სწორეთ დავით სოსლა-

<sup>1)</sup> ბროსსეტ: 1212; თ. უორდანია: 1213; ივ. ჯავახიშვილი: 1213-1214.

## ჯვაროსანთა დროიდან

ნის გარდაცვალებით ახსნილი იყო, და ფრანგი მეცნიერის ეს აზრი შემდეგ თ. უორდანიამაც გამოიყენა იმ ქართულ მოწმობათა ასახსნელად, სადაც თამარის სიკვდილის თარიღად 1207 წ. არის ნაჩვენები ეს სისტემა ივ. ჯავახიშვილმა კიდევ გაამაგრა და ამაზე უკეთესი არ მოიპოვება. მეტი გზა არ არის, ეს უყურადლებოდ დატოვებული ფრანგული მოწმობაც, სხვა ამგვარ ნობებთან ერთად, დავით სოსლანის სიკვდილით გამოწვეულ ხმათა გამოძახილად უნდა ვიტნათ.\*)

### 7

ხოლო ამ შემთხვევაში სულ ერთია, თამარ მეფე როდის მიიცვალა საყურადლებოა ის, რომ 1207-8 წ. კავკასიიდან მოყოლებული ხმელთა-შუა ზღვის ნაპირამდე ხმა გავრცელდა, საქართველოს მეფე თამარ მიიცვალა, და იმავე დროსაც ამბავი ქართველთა დირი გამარჯვებისა სომხეთში. მაშინ ხალხის ფანტაზიას და ჯვაროსანთა ოცნებას სწრაფად შეექმნათ ეს ლეგენდა, ფრანგ რაინდმა რომ გადმოგვცა: თამარს სიცოცხლეში აღთქმა მიეცა იერუსალიმად წასვლისა; და მიიცვალა-რა, ეხლა შეიღლმა მისმა დედოფლის ძვლები წამოილო და ძლევა-მოსილი ლაშქრით წამოიდა წმიდა ქალაქს მისალწევად და სარკინოზთა შესამუსიავად, რათა დედა მისი ცოცხალი თუ არა, მიცვალებული მაინც შესულიყო იერუსალიმს.

პოლიტიკურმა წადილმა და დიდმა გაჭირვებამ აქაც თავისებური ზღვაპარი ანუ მითი წარმოშვა.

თამარ მეფის ანდერძის შესრულება რას ნიშნავდა? იერუსალიმის მუსლიმთაგან განთავისუფლებას და ჯვაროსან-სამთავროთა უკადურეს განსაცდელისგან ხსნას!

საქართველოს მოსალოდნელი დახმარებით უცებ დაიმედე-

\* ) ქრონიკით ისედაც მეტი ადგილი დავუთმეთ, ვიდრე განზრაც ული გვერდა და აქ განმარტებას ვერ გავაგრძელებთ. აშანალი მოწმობის არსებულ დასკვნებთან შეთანხმება ვცადეთ.

უკანასკნელად ბ. სარგის კაკაბაძე მ გაკვრით გამოსთქვა რომ თამარ მეფე მართლაც 1207 წ. მიიცვალა. იხ. მისი ვეფხის-ტყაოსანი-ს ახალი გამოცემის წინა-სიტყვაობაში.

ბული რაინდი სამშობლოში ერთს ნაცნობ მღვდელთ-მთავარს დაუყონებლივ წერილს უგზავნის, გაკონილი ამბის შესაფერი გაზირადებით, რომ იქ, საფრანგეთს, საჯვაროსნო ქადაგება ამით წაქებოს და მას ა'ალი საზრდო მიაწოდოს. სწორეთ ამგვარ საპროპაგანდო ეპისტოლებს მაშინ ეკლესიებსა და კრებებში საჯაროდ ჰკითხულობრნენ ევროპის ქვეყნებში.

თამარ მეფე ჯვაროსანთა გრძნობას და ქრისტეს საფლავის ფახსნის საჭიროებას უსათუოდ იზიარებდა. როცა სალა გინმა იერუსალიმი დაიპყრო, დედოფალმა წმიდა ჯვრის გამოსყიდვაც მოინდომა, თუმცა წადილი ვერ განახორციელა. <sup>10)</sup>

რამდენად მართალია მისი წმიდა ადგილთა ნახვის სურვილი და იქ დამარხვის ანდერძი, დე-ბუა რომ გადმოგვცემს? ვგონებ, მისი კვალის ძებნა ამაო იქნებოდა.

ამ თქმულებას გარკვეული საფუძველი არ უჩანს, არც გვესტმის თუ ლაშა-გიორგის მართლად ფირჩად მოსვლია მისი დედის ნაშთისათვის იერუსალიმის-კენ სამხედრო ძალით გზა გაეხსნა. სამაგიროდ უეჭველია ამ მოთხრობის ღრმა დესვი იმ ღროვის სულთა განშეყობილებაში, მისი ისტორიული შესაძლებლობა და ერთნაირი განყენებითი სინამდვილე. ამისათვის ეს მითი იმდროინდელი საქართველოს სახელისა და ჯვაროსანთა სულის-კვეთების მაჩვენებელ და მჟევრ-მეტყველ ძეგლად მიგვაჩნია.

## 8

თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში მისი მონარქიის მდგომარეობა ისეთი ჩანდა რომ ქართველთაგან დახმარების იმედი არც უსაფუძვლო იყო. საქართველოს მეფის სიჩია-პალესტინაში საომარი ინტერვენციის გეგმა ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობის დროს (1218-1221) მართლაც რომ მწიფებება და დიპლომატიური ურთიერთობის საგნად ხდება. მაშინ სწორეთ ლაშა-გიორგის ელჩებმა ჯვაროსნები დამიეტაში ნახეს. რუსულანის ცნობილ წერილში პაპი პონორის მიმართ, რომელიც რომში 1224 წ. მიიღეს, პირდაპირ ნათქვამია რომ მისი ძმა, მეფე ლაშა-გიორგი მზად იყო იერუსალიმის დასახსნელად გამოელაშქრა, მაგრამ მონგოლ-

## ჯვაროსანთა დროიდან

თა ძოულოდნელ შემოსევამ და მერე მის სიკვდილმა დააბრკოლა. თავის მხრივ ივანე მხარგძელიც, ამირ-სპასალარი, ცალკე წერილში ამტკიცებს, რომ თათართაგან თავდასხმამ ხელი შეგვიშალა, თორემ სარკინოზთა წინააღმდეგ ლაშქარს უკვე ვამზადებდით.

რაც 1208 წ. ოცნებად სჩანს, 10-12 წლის შემდეგ განხორციელებას უახლოვდებოდა. ესაა ხენწებული სალეგენდო გამოლაშქრების „შესაძლებ ღობა“.

რამდენად სარწმუნოა რომ 1219-1220 წ. ე. ი. მონგოლთა პირველი შემოსევის წინ, საქართველო მართლაც სირია-პალესტინის საქმეებში სამხედრო ჩარევას ამზადებდა; და რამდენად წინა-აზიის მაშინდელი ვარემოებანი ამისათვის ხელსაყრელი იყო, ეს სხვა საკითხია.

ბუნებრივი იყო რომ აღმოსავლეთის ფრანგი მხედრობა საქ-მეს უმთავრესდ საჯვაროსნო თვალსაზრისით ისახავდა; ისიც რომ საქართველოს დედოფალიც და მისი ამირ სპასალა, ი და ყმა ივანე მხარგძელი აფიციალურ წერილში ფრანგთათვის გასაგებ „ჯვაროსან“ ენას ხმარობდნენ.

საქმის ნამდვიალი ვითარება, რაც საქართველოს შეუძლება, უფრო რთული იქნებოდა.

მიუხედავად იმისა რასაც რუსუდანის წერილში ვკითხულობთ, ლაშა-გიორგის და მისი წრის ჯვაროსნობა ფრიად საეჭვოა.

სწორეთ თამარის მემკვიდრეს და მის თაობას ჯვარცმული ქრისტეს თაყვანის-ცემა და მისი საფლავის დახსნის წადილი კი არა, სულ სხვა რამე ახასიათებს.

### 9

ფორმალური სარწმუნოება, საგვარეულო ტრადიცია—მისი „დავითიან-იესეიანობა“—და რომელიმე ანგარიში თუნდაც რომ მას ქრისტეს ჯვარისათვის ომს და ბრძოლას უკანახებდნენ; მიჯნური რაინდის თავისუფალმა გულმა და დიდ აყვავებულ სახელმწიფო ფოზე ბატონობის ბეღნიერებამ ჭაბუკი გიორგი სხვა გზით წაიყვანა; და ეს ჯვაროსანთა სამხედრო ლვაწლის და იერუსალიმის დაპყრობის გზა არ იქნებოდა.

თამარის ღროის განუწყვეტელი ომიანობის შემდეგ, ლაშა-  
გიორგის ხანას ერთგვარი პსიქიური რეაქცია, იქნება დალლილო-  
ბაც ეტყობა. „...იშვებდა და იხატებდა და ყოველგნით იყო შვება  
და მხიარულება“... განმეორებით აღნიშნულია მისი მეფობის  
ქრონიკაში, „დედათა უწესოთა“ და „ფრიადი ლვინის“ სმის აალკე  
ხსენებით. (იხ. „უამთა აღმწერელი“-ს შრომა, ქარ. ცხოვრებაში  
შეტანილი).

ამას უნდა დავუმატოთ „ძველთა“ და „ახალთა“ წინააღმდე-  
გობა, ზნეობრივი დისციპლინის და მიღებულ წესთა შესუსტებაც.  
უველანი „განძლეს და იშვებდეს“, უმთავრესად კი „სიძვათა და  
მთვრალებათა შინა“ „უწესონი კაცნი მეფის კარსა ზედა არა  
ყოფის ლირსნი და აწ კარსა ზედან მყოფნი“. ხოლო „გათალიკონთა  
ორთავე და თავადთა ამის სამეფოსათა და უმეტეს ივანე ათაბაგს  
უმძიმდა საქმე ესე, არლარა ინებეს მასთან სამარადისო ყოფა არა-  
მედ განეშორნეს“ ე. ი. მეფისაგან.

თუ კი ამ (მერმინდელ) აღწერას დავუაჯრეთ, თამარ მეფის  
მეყვიდიდე თაობის ნამდვილი ლერთები ვენერა და ბახუსი ყოფი-  
ლან. ამგვარი შეხედულობა უთუოდ შემდეგი მწარე გაჭირვების  
ნაყოფია და ქრონოგრაფის ზნეობრივ-საჩრდინებრივი ტენდენ-  
ციით ასახსნელია. ნამდვილად კი ეს იქნებოდა სიმდიდრესა და  
უზრუნველობაში გაზრდილი, განათლებული. ხელოვნებაში დაწი-  
ნაურებული და საკმაოდ თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოება;  
სწორედ ის, რომლის მკლავია შ. რუსთაველი. ხოლო ჩვენ აქ იმ  
ეპოქის ხასიათზე სიტყვას ვერ გავაგრძელებთ.

კერძოდ თვალსაჩინოა ვიორგის არა სახელმწიფო ანგარიშით  
და ჩვეულებისამებრ, არამედ თავისუფალი სიყვარულით დაქორწი-  
ნება: ცოლის არა რომელიმე სატახტო ქალაქით. არა ედ... ველის-  
ტიხიდან (სოფელია კახეთში) მოყვანა და ბევრი სხვა.

ეს მთელი განვითარება, ქრონიკაში აალმხრივად აღწერელი,  
თავისთვალ ძალიან შინაარსიანიც არის და საყურადღებო. საეჭ-  
ვოა კი რომ ამ, ასე ვსთქვათ „მიჯნურ რაინდთა“ რეუიმს ქრისტეს  
საფლავისათვის გული ნამეტნავად სტკივოდა. მეთ უმეტეს რომ  
მომავალ გარეშე გართულებათა წინამორბედი ნიშნები და შიგნი-  
თი დაბრკოლებანი უკვე თამარის უკანასკნელ წლებში ცხადი იყო.

მაღვე კი შინა-აზიის პოლიტიკურ ცელის მებრძობა—სპარსეთის ხეარაზმელთა ხელში გაერთიანება, მონგოლთა იმპერიის დამყარება —საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა რომ ჯვაროსან გამოსვლაზე ოცნებაც არ შეეძლო. \*)

10

თამარ მეფის ეს ანდერძი, ლაშა-გიორგის იერუსალიმად გამოლაშქრებაც ზღაპრულია, ხოლო ამგვარი ლეგენდა, ცოცხალ გრძნობათა სარკე, წარსულის მკვლევარსაც ჩააფიქრებს; განსაკუთრებით კი ლირსია სიტყვა-კაზმული მწერლობის მიერ ჯეროვანი დამუშავებისა.

ქორნიკის მოწმობით თამარი გელათს დამარსეს, მიუხედავად ამ ოფიციალური ცნობისა, მისი საფლავის ადგილი საიდუმლობით არის დაფარული. ფრანგი რაინდის თქმით კი, დედოფლის ნაშთთა დასასაფლავებლად ლაშა-ვიორგი მუსლიმანთა მიერ დაბყრობილ წმ. ქალაქს ომით ემუქრება: ძველი რომანტიული პოეზია ასეთ პანგს უყურადღებოდ განა დასტოვებდა?

მაგრამ აქ უმროვლი და ფართო ფრესკის ყაშლა შეიძლება.

ზოგადი გარემოებანი ფრანგი მხედრის იმედს —ქართველთა იერუსალიმზე გამოლაშქრებისას —თითქმის ამართლებდა. ხოლო ეს

\*) ლაშა-გიორგის მეფობის ძველმა „ლმწერმა მის „უწესოებაზა“ მეტად ხაზი გაუსვა და მის და რუსულანის დროის გარყვნილებას მონგოლთა ახალი ძალა და სალი ზნეობა დაუპირისპირა. მათი ბატონიბა განრისხებული განვების იარაღად და ჩადენილ ცოდვათა სასჯელად აღიარა, თანახმად იმ დროის აზროვნებისა. ამასთანავე დიდი სიღრმით და რეალიზმით, კარგი ხელოვნებითაც საქართველოს მდგომარეობა დაგვისურათა.

რა თქმა უნდა, ჩვენ დროისთვის არ არის სავალდებულო ძველ ქრონიკებში მოთავსებული ზოგიერთი ზნეობრივი, მსჯელობანი, არც მათი ისტორიის ფილოსიფია. —საქართველოს თანდათანი დაცემის მიზნები და საფეხურნი რთული რამეა, რომლის ახსნა ორიოდე ფორმულით არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, გიორგის და რუსულანის საქართველო —იგივე „ოქროს ხანის“ საქართველოა, საერთაშორისო ტევოლიური ციათაგან დაზიანებული.

## სხივი დასაცლისა

ისტორიული შესაძლებლობა უარყოფილი იქმნა, ჯერ თვით ქართველთა ახალ სულის-კვეთების მიერ, მერე კი გარევნული მდგრამარეობის სწრაფი და ძირითადი ცვლილებით.

„ჯვარ ასნული“ და „მიჯნურთა“ ხაზების ამ წინააღმდეგობი დან ხომ ნამდვილი დიდი დრამის შინაარსს ამოიცებდა, ვისაც ძალუმს, და ამისათვის ამბავთა მთელ წყობას გამოიყენებდა, თქმულებასა და ისტორიულ გადმოცემაში რომ ირკვივა, და რომლითგან შემდეგი დაახლოვებითი სქემა ბუნებრივად გამომდინარეობს.

თამარ მეფის ანდერძი და სიკვდილი; ლაშა-გიორგის და ქართველთ მხედრობის თათბირი; მათი იერუსალიმის-კენ გამოლაშქრება დედოფლის კუბოთი; ლაშა-გიორგის გმირული მისწრაფება უფლის საფლავისადმი, ქრისტიანობის და საქართველოს განსაღილებ უად ვენერა და ბახუსის ...აპოლლონისაც მიმზიდველი ძახილი; ამ ძალთა და შთაგონებათა გამარჯვება, მიუხედავად მრწყინვალე ძლევა-მოსილი პირველი ომისა; თამარის ნაშთთა საიდუმლო მიუწოდომელ ადგილს დასაფლავება--და ქართველ რაინდთა ჭაბუკი მეფით ლაბრუნება, გამარჯვებით და ურიცხველი სიმდიდრით—არა იერუსალიმით, არამედ ევფრატის ნაპირთავან; და მერე განცხომა, შვება მათი იმ „ადგილთა მწუანგილოვანთა ზედა“, საიდანაც ადესმე მათი წინაპრები ძალით გამოიყვანა, დიდ საქმეთათვის, დავით ალმაშენებელის ფოლადის მკლავმა. ...განცხომა დაუსრულებელი და მშვენიერი; ომიც, რაინდთა სავარჯიშო,—სანამდის გამოიჩნდეს ერთს დღეს, ვით ლვთის რ. სხვა, ალმასავლეთით მშვილდოსნათა უძლეველი რაზები და „იქმნა უკუქცევა..., დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა“.

ერთის სიტყვით ფრანგი რაინდის მიერ გადმოცემული ლეგენდის გართულება და გალრმავება შეიძლება, ღცნების და სინამდვილის შეულლებით. ვიმეორებ: ეს სიტყვა-კაზმული მწერლობის გალია.

თამარ მეფის სახე დიდებული სიმბოლოთი ასრულებს ძველი საქართველოს ცხოვრების უმთავრეს ხანას. და აი ამ დასავლისკენ გარდახრილი მზის ერთი ოქროს სხივი აღმოსავლეთში დაკარგულმა უცნობ რაინდმა შეგვინახა.

1926.

მ ე ნ ი მ გ ნ ე ბ ი.

1) V. Historia rerum in partibus transmarinis gestarum a tempore successorum Mahumeth usque ad annum Domini MCLXXXIV. Edita a venerabili Willermo Tyrensi Archiepiscopo. Paris, 1844, lib. XI, cap. XVI. Cf. Guillaume de Tyr et ses continuateurs. Texte français du XIII<sup>e</sup> siècle, revu et annoté par M. Paulin. Paris, P. 1879-1880. Vol. I, p. 406-407.

2) ამ თქმულების შესახებ კავკასიის (დარუბანდის და კასპის) კართან დაგავშირებით იხ. H. Yule. Travels of Marco Polo. Ed. Cordier, 1903, vol. I.

ზოგადი ცნობები: J. K. Wright. The Geographical lore of the time of the Crusades. New-York. 1925, pp. 72, 73, 287-8.

3) ზოგჯერ დავით II შესახებ შემცდარი ცნობების გვხვდება. მაგალითად 1136 წ. ერთს ნორმანდიაში მყოფ მწერალს თავის ქრონიკაში შემდევი, ჯვაროსან ჩაინდთაგან გაგონილი ჟეუტანია: 1123-1124 წლებში დავით ქართველთა მეფეს და თოროს კილიკიის მთავრის მმას, ერთ სულთანთან ტყვედ დაჭერილი რაინდები მათ სახლში ანტიოქიაში წამოეყვანათ; ...per conductum David, Georgiensis regis, et Turoldi de Montanis Antiochiani redierunt. Orderei Vitalis angligenae... Historiae ecclesiasticae libri tredecim. T. IV. P. 1852, p. 257.

4) „იოანე ხუცესი“—prestre Jean, presbiter Johannes etc.—შესახებ იხ. მაგალ. Henri Cordier. Les voyages en Asie au XIV<sup>e</sup> siècle du bienheureux frère Odoric de Pordenone. Paris, 1891, p. 442.

## სხივი დასავალისა

ამ ლეგენდის წარმოშობის საკითხი მეტად რთულია და არც ისე მნიშვნელოვანი. სხვათა შორის, ის აზრიც გამოითქვა, რამ „ითანა ხუცესის“ თქმულება ივანე ორბელიანის (დემეტრე და გიორგი III მეფეთა ამირ-სპასალარი) სახელით უნდა აიხსნებოდეს იხ. მიმოხილვა მარკო პოლოს მოგზაურობის ცნობილ ინგლისურ გამოცემაში: II. Yule, *The book of Ser Marco Polo*, ed. 1903, vol. I, pp. 231-8. Cf. J. K. Wright, o. c. pp. 114, 283-6, § 533.

5) ზღაპრული „მეფე დავითის“ და „ითანა ხუცესის“ ზღაპრულივე ივივეობა, ისტორიული დავით II სიკვდილიდან ერთი საუკუნის შემდეგ, ალნიშნულია მრავალ ქრონიკებში. ეს ცნობები ეხებიან განსაკუთრებით დამიატის ომის ხანას (1219-1221) და ჯვარო-სანთა მეხ უთე გამოლაშქრებას. მაგალითად ინგლისში ერთს მატიანეში 1228 წ. ჩაიწერა აომ 1221 წ. მთელ საქრისტიანოში ხმა ვაგრტელდა, მეფე დავით ითანა ხუცესად წოდებული ინდოეთიდან უდიდესი ჯარით წამოვიდა და მიღია-სპარსეთი დაიბყრაო. Radulfus de Coggeshale. *Chronicon anglicanum* (c. c. 1228): 1221... Rumores per totam Christianitatem circumquaque dispersi sunt, quod rex David cognomento Ioannes presbiter, de India cum maximo exercitu adveniens Persidem et Median... sibi subiugaverat. V. Testimonia minora de quinto bello saero e chronicis occidentalibus excerpit et... edidit Reinhold Röhricht. Genevae, 1882, p. 334. მნიშვნელოვან ხაკითხს ქართველთა და ჯვაროსანთა ურთიერთობისა ამ დამიატის ანუ დამიეტის (ეგვეპტები) ომის დროს ჩვენ აქ სრულებით არ ვხეხდით.

6) „Reverendo in Christo patri et domino diligendo A(madeo), Dei providentia archiepiscopo Bisanc(ino), G... de Boyx, humiliis miles, amen. Cum de prosperitate mea neverim vos letari, sciatis, quod Dei gratia ego et uxor mea sani et incolumes permanemus. De rumoribus Terre promissionis et aliarum regionum circumiacentium hee vobis breviter proposui significare, etsi non omnia tamen aliqua, que magis admiranda videntur. In primis sciatis, quod regnum Ierusalem treugas habet cum Saracenis et etiam principatus Antioch(iae), qui innumeras persecutiones tum per soldanum Babilonie, tum

per regem Armenie passus est, per longum tempus treugas habet eum predicto soldano. Audiatis etiam alia que nova admiratione consideranda sunt. Audivimus et rei veritatem per certo(s) nuncios didicimus, quod de Hiberia quidam christiani, qui Georgeni dicuntur, cum innumera multitudine militum compeditum, divino inspirante auxilio, manu fortiter armata, contra infideles paganos insurrexerunt alacriter et jam CCC castella et LX maximas urbes subjugantes, relinentes forciora, debiliora in cinerem redegerunt. Predicatarum urbium quedam sub Eufrate sita cunctarum urbium paganarum erat nobilissima et magna. Dominus hujus urbis preerat filius soldani Babilonis, qui captus a predi ci christianis capite truncatus est, quamvis auri infinitam pecuniam promitteret se daturum. Quid dicam per singula? Tales quales predixi ad terram recuperandam sancte Iherusalem venient totam paganiam subjugentes. Rex eorum nobitis sexdecim annos par Alexandro viribus et probitate, non tam in fide. Iste puer ossa matris sue regine potentissime Thamar secum portat, que, dum viveret, votum fecit eundi Iherusalem et, si moreretur, rogavit filium suum, ut ejus ossa ad sepulchrum Domini deffer(r)entur. Iste ergo precibus matris adquiescens votum matris sue restaurare desiderat et eam in sanctam civitatem, volentibus et nolentibus paganis, promisit repellere. Mando vobis iterum, domine<sup>6</sup>, etc.

ամ Վերոնիկոս գյուղանո Տահոնիս Տաթելմիոյոց ծօթլուռտեյքա՛ն օնախյօնա ալՎերոնիկոս Տատանաժան շահմարլընց ծօթլուռտեյքա՛ն: *Histoire littéraire de la France. Ouvrage commencé par des religieux bénédictins... et continué par des Membres de l'Institut (Académie des Inscriptions et Belles-Lettres).* T. XXI. Paris, 1847.

Եցմոռ Ծածկյալու լատոնշորո Ծյյէսթո Յորզելագ զաթուսա հյշուսք-մա տայոս կրյօնութիւն: *Regesta Regni Hierosolymitani (MXCVII-MCCXCI)* edidit Reinhold Röhricht. Oeniponti, 1893, pp. 233-4. 868.

7) Յօրովոյոտ, ամ յձուսեմոլց Ծածկյալու Վելութիւն և ԱՅգուռնօթքնեն: Նեցատա Մարտոս, ոմ տարունու Տաթուալյոց ծօթլուռտեյքա՛ն,

## სხივი დასაგალისა

რომელიც თამარის სიკვდილისათვის იყო მიღებული. იმ გამოკვლეულში რომელიც პარიზის 1847 წ. დაიბეჭდა (იხ. ზემოთ, შენიშვნა 6) ამ წერილის თარიღი და ნაწერნებია 1202 წ. (დაახლოებით), სწორეთ თამარ მეფის ვითომებული და 1201 წ. გარდაცვალების მიხედვით. რერიხტ-ის მიერ ლათინური დედნის გამოცემაში-კი (იხ. იქვე) ეპისტოლებს თარიღად, დაახლოებით, 1213 წ. აღნიშნულია, და თამარ მეფის გარდაცვალების წელიწადად—1212 წ., თანახმად ბროსსეტის დასკვნისა.

8) დაზავების თარიღები იხ. W. E. Stevenson. *The Crusaders in the East. Cambridge. 1907.*

Soldanus Babilonicus ბალდაცს კი არ იგულისხმებს, არამედ ქაიროს, უკეთ ვსთვევათ, ძველ მემფისს რომელიც Babilonia-დ იწოდებოდა. იხ. Ducange, *Glossarium etc.* T. I, 521.

9) ერთერუმის ანუ არტერუმის გზათა ჯვარედინზე მდებარეობა და ამ მიზეზით დიდი სამხედრო და საგვარეულო მნიშვნელობა ცნობილია. საქართველოს გზის ანუ გურჯი-ბალაზის კლიტე, ეს ქალაქი ქართველების ხელში ჭოროხის და მტკვრის ხეობათა დამცველი სიმაგრე იქნებოდა.

იმ დროს სამ ურთიერთ მებრძოლთა გავლენის ქვეშ იყო მოქცეული: რუმის სულთნის, საქართველოს და შაპ-ი-არმენის ე. ი. ხლათის ანუ ახლათის (ვანის ტბასთან) მფლობელისა რომელიც მალექ-ადელის შეილი იყო ე. ი. აიუბიანთ დინასტიის წევრი.

1206-8 წ. როგორც ვხედავთ, საქართველომ აჯობა.

კარის ომის შესახებ იხ. ქართლის ცხოვრების ცნობები; ბროსსეტის „დამატებანი“; თ. კორდანიას ქრონიკები, წ. I; ი. ჯავახიშვილის ისტორია, წ. II. ზოგიერთებს ყარსი პგონიათ.

აქ დაბეჭდილ წერილში „ბაბილონის სულთნის“ შეილის მოკვეთილი თავი იხსენიება (იხ. გვ. 152). ეს ცნობა საეჭვოა. კარის ომირა ქალაქს დიდხანს იტავდა, მერე კი ქართველებს კაპიტულია-ციით გადასუა. შესაძლებელია, ქრთამიც მიიღო, თავსაც უგნებლად შეინახავდა. მაგრამ კარინ-არზრუმის პატრინად, როგორც ვნახეთ,

ხლათის მფლობელი ითვლებოდა, და ეს იყო მაშინ სწორეთ ეგვიპტე-სირიის ანუ „ბაბი იონის“ სულთნის ღვიძლი შეიძლი და სალადანის ძმისწული, სახელად მალექ-ელ აუკად ანუ ნეჯმ-ედდინ აიუბ. ასე რომ უსაფუძრლოოდ კი არ დაასახელა ფრანგმა „ბაბილონის სულთნის“ ძე, ზემო ეფფრატზე დამარცხებული; მხოლოდ თავი მოაკვეთინა უბრალოდ.

მალექ-ადელის შვილის ყოველი დამარცხება ჯვაროსანთათვის სასიხარულო იქნებოდა, ეს ადვილად გასაგებია. ხოლო ეს ნეჯმ-ედდინ აიუბ ხლათის მმართველი იყო, და საკითხი იპადება: ამ ეპისტოლეში ხლათის ომი და ქართველების ვანის ტბის ფრონტზე 1208-11 წ. სხვა ბრძოლანი ხომ არ იგულისხმება? ეს საეჭვოა. კერძოდ, ხლათის ომი, იყანე მხარგდელის შემთხვევეით დატყვევების მიზეზით, ნააღრევი დაზავებით დაამთავრეს ქართველებმა. ვანის ტბის ნაპირზე ვერ შესძლეს მათი უპირატესობა გაემტკიცებინათ.

10) 1192-3 წ. ბერძენთ კეისრის ელჩი სხვათა შორის სალადი ნის მიერ იერუსალიმში დატყვევებული წმ. ჯვარის დაბრუნებას სთხოულობდა. მაშინ ქართველთ მეფესაც წინადადება მიესა, 200.000 ოქროთი ჯვარის გამოსყიდვა უნდოდა; მაგრამ არ დასთანხმდნენ სარკანოზნი. Behā-ed-din. Anecdotes etc. Recueil, Historiens orientaux, t. III, P. 1884, p. 299. ბერძენთა და ქართველთა ეს ცდა და ელჩების მოსვლა ცხენიება აგრეთვე „ორ ბალთა წაგნში“. Le livre des deux jardins, ib. t. V, Paris, 1906, p. 33. ქართველ მც. ციქულთა მეორე მიზანი იყო - იერუსალიმს და მის შახლობლად მონასტერთა და მიწათა, ქართველებს რომ წაართვეს, დაბრუნება.

მკითხველმა უნდა ისოდეს რომ სალადინის და მალექ-ადელის მამა კავკასიელი მუსლიმანი იყო, ტომით ქურთი, დვინელი. ქ. დვინი (სომხეთში) ქართველებმა გიორგი III დროსაც აიღეს, უფრო კი მე-XIII საუკუნის პირველ წლებში.

ისაავ II ანგელოსის და თამარ მეფის გარდა, სხვებმაც სცა-ას ამ ჯვარის დახსნა, მავრამ ამაოდ; მაგალ. გერმანიის მეფემ ფრე-დერიკ ბარბაროსამ.

## სხივი დასავალისა

ეს ჯვარი, რომლის ისტორია საეჭვოა და ბუნდოვანი, 1187 წ.  
სალადინს ხელში ჩაუვარდა. 30 წლის შემდეგ, დამიეტის ომის  
დროს, როცა სარკინოზებს გაუჭირდათ საქმე, ჯვარის დაბრუნება-  
ზე თითქმის დასთანსმდნენ, მაგრამ ბოლოს ჯვაროსნები დამარცხ-  
დნენ (1221 წ.), და ჯვარი ისევ მუსლიმანებს დარჩა. მერე რა დაე-  
მართა მას, გარკვეულად არაა ცნობილი. Cf. W. W. Seymour,  
*The Cross.* 1898, p. 120.



## ს ა რ ჩ ე ვ ა

ჭინასიტყვაობა . . . . .	5 გვ.
შინაარსი . . . . .	6
ნაწილი პირველი	
<b>1125—1925 . . . . .</b>	<b>9</b>
ერთი ჯვარის გარშემო . . . . .	13
1108 წლის წერილები გალანის მიმართ პარიზელისა	
თარგმანი . . . . .	28
ტექსტი . . . . .	31
შენიშვნები . . . . .	34
გარშემო ერთის ოშისა . . . . .	43
გოტიე-კანცლერის „ანტიოქიის ომები“, ნაწყვეტი	
თარგმანი . . . . .	66
ტექსტი . . . . .	67
შენიშვნები . . . . .	69
ნაწილი მეორე	
<b>ტრაბიზონის საქმე . . . . .</b>	<b>79</b>
შენიშვნები . . . . .	115
სხივი დასავალისა . . . . .	135
შენიშვნები . . . . .	150
1207-8 წ. წერილი ამედეს მიმართ ბეზანსონელისა	
თარგმანი . . . . .	137
ტექსტი . . . . .	151

## მეცნიერების გასწორეა

გვერდი	სტრიქონი	უნდა იყოს
10	ზემ. 5	მე-XI-ე
13	ქვემ. 10	მღვდელთ
14	— 13	იქაურ
19	ზემ. 7	ებლა
—	— 10	პირველობს.
—	ქვემ. 12	შინაარსი ოომ
22	— 11	ე. ი.
26	ზემ. 17	პიპონეზა
27	— 8	ჰეონდათ
—	— 10	<i>antemurale</i>
28	ზემ. 4	საფლავის
—	— 8	ფრი-
—	ქვემ. 1	გაკეთებული.
29	ზემ. 10	ბურჯია.
31	— 13	ნახევარი
—	ქვემ. 5	W(ibelinum)
36	ზემ. 7	იხ
—	ქვემ. 8	ფიცარნი იგი
40	ზემ. 5	და
45	ქვემ. 10	მიუჩედავად
48	— 6	განთავისუფ-
53	ზემ. 13	სამ-
58	— 3	დობეი-
60	ზემ. 10	სამხედ-
61	ქვემ. 8	კომპრომისის
62	— 9	მომავალი.
63	— 5	ალბათ:
—	— 17	ქრისტიანი
64	ზემ. 12	შემდეგ
—	ქვემ. 1	საქმე
—	— 11	დაკავშირება
65	— 2, 3	დანიჭი უძვირფასესი:

გვერდი	სტრიქონი	უნდა იყოს
68	ზემ. 11	pro lege
69	— 3	conflictu
—	ქვემ. 11	etc.
70	ზემ. 8	სხვები
—	— 11	როგორც
71	ქვემ. 5	სხ.
73	ზემ. 12	სამდლობელო.
82	— 10	დაგლასაკებული
83	— 12	ნაამბობი.
86	— 3	ოთულია
—	— 11	ვალაშქრების
89	— 9	წლისა.
93	— 16	ბიზან-
98	— 6	შეეტანა.
100	ქვემ. 4	ნიკეას
103	ზემ. 9	კვალი ამ ბრძოლის
104	ქვემ. 6	მაშინვე,
—	— 1	ნიკეაში
105	— 10	აფტო-
112	— 3	შესაქმნელად
113	— 13	კომსენებმაც
114	— 2	გაგ-
118	— 1	მახვილისათა
121	შენ. 14	პიპოთეტური
123	ზემ. 18	ნაცოლარი.
124	— 15	თანახმად „ქ. ც.“-სა,
126	ქვემ. 10	იყო.
128	ზემ. 1	ნიკეაში
137	— 14	ხელმწიფებს
—	ქვემ. 3	ჩანს.
138	— 4	ლაშა
139	— 7	დასახელებული
—	— 13	სცოდნოდა.

ყდა ვერა ფალავასი.

აიშუო და დაიბეჭდა ელ. პატარიძის  
ხელმძღვანელობით გალანტინიეში.

---

Imprimerie Zindy-Peter - Audincourt (Doubs)

